საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№8 (243)
5 – 11 მარტი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6 ვიღაცამ ვირის აბანოს გადაუფრინა

# ბარაქიანი პანღური



დააკვირდით მათ სახეებს. საქართველოს დამაქცევრები გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან უკრაინის დამაქცევრებს, რადგან არც ერთნი არიან ქართველები და არც მეორენი — უკრაინის თავგადაკლული მოყვარულები. ეს «ძია სემის შტამპოვკაა» — მეხუთე კოლონაა მათი სახელი. მათგან ხსნა მხოლოდ პანღურია, ბარაქიანი პანღური, რადგან სხვა ენა, გარდა ბარაქიანი პანღურისა, ბარაკ ობამას, მათ მამამთავარს, არ ესმის! 13



## შავი და თეთრი ყირიმში გამოჩნდება 4

8 «ევროპას ერთიანი უკრაინა არ სჭირდება»

«არავის უნდა ქვეყანა, რომლის თავკაცის არატრადიციული ორიენტაციის იქნება» 9

## «მაიდანმა» მსოფლიო წესრიგი შეცვალა 5



«ამერიკამ «ნაცისტების» ბუნდლისგან დაწნული თოკი «ოცნებას» ლაგამად ამოსდო» 11



## ჯეკ მეტლოკი: აშშ-ს უფლება არ აქვს, რუსეთი გააკრიტიკოს და, მით უმეტეს, დაემუქროს 3

«დასავლეთი რევანშს არა «ქართული ოცნების», არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ გეგმავს» 12

## ფარული სამხედრო გადატრიალება 22

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ უკრაინაში ტერორი არ შეწყდება და ვითარება არ შეიცვლება, რუსეთი უკრაინის ახალი პრეზიდენტის ლეგიტიმურობას არ ცნობს, რადგან ასეთ ვითარებაში პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება მოფაშისტო ელემენტი აღმოჩნდეს.



## თომას დე ვაალი: საქართველოს შეშინებული ლიდერი პირველი დაესხა თავს და რუსეთის არმიამ რამდენიმე საათის შემდეგ უპასუხა

**„ყირიმის კრიზისი: სამი გაკვეთილი კავკასიისგან“, — ამ სათაურით აქვეყნებს „კარნეგის ცენტრი“ ბრიტანელი ჟურნალისტის, თომას დე ვაალის სტატიას ყირიმში შექმნილ ვითარებაზე.**

სტატიის ავტორი პარალელებს ავლებს ყირიმში განვითარებულ მოვლენებსა და 2008 წელს საქართველოში მომხდარ ომს შორის. მაგრამ მისივე თქმით, ყირიმში შექმნილ ვითარებას და 2008 წლის ომს შორის აშკარად სხვაობა არსებობს, რადგან ყირიმი უფრო დიდია და რუსეთს იქ უფრო დიდი ფსონი აქვს დადებული.

„ბევრი ადამიანი ჯერაც იყენებს ფრაზას „რუსეთი შეიჭრა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში“. მაგრამ ეს არ არის ის, რაც ნამდვილად მოხდა. ოსები და ქართველები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ადგილობრივ შეტაკებებში. რუსეთის 58-ე არმია მზადყოფნაში იყო. საქართველოს შეშინებული ლიდერი პირველი დაესხა თავს და რუსეთის არმიამ რამდენიმე საათის შემდეგ უპასუხა“, — წერს თომას დე ვაალი.



## მოსამართლეებს დანიშვნამდე სამწლიანი გამოსაცდელი ვადა დაუწესდებათ

**რამდენიმე დღის წინათ თბილისში მოსამართლეთა უვადო დანიშვნის, გამოსაცდელი ვადის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.**

„სასამართლო სისტემაში უნდა არსებობდეს შეფასების სისტემა. ის მოსამართლე, რომელიც 3 წლის განმავლობაში კარგად იმუშავებს, დაინიშნება სამუდამოდ და, ვინც ვერ იმუშავებს, ის ვერ დაინიშნება. ეს სისტემა სხვა ქვეყნებში მოქმედებს და იმ 7 ქვეყნიდან, რომლებშიც შეფასების სისტემა მოქმედებს მოსამართლეებისთვის, მოვიწვიეთ მოსამართლეები, რომლებიც აფასებენ სხვებს, რომლებიც ყოფილან შეფასებულნი, რომ გვითხრან, როგორ კეთდება ეს და როგორი სისტემა იქნება ჩვენთვის გასაზიარებელი. ქართველი მოსამართლეები, დიახაც, უნდა შეფასდნენ მანამ, სანამ სამისდღემჩიოდ დაინიშნებიან და გადაწყვეტენ ადამიანების ბედს“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კონფერენციაზე.

ვლადიმერ პუტინი:

# უკრაინაში რუსეთის სამხედრო ძალების შეყვანა მხოლოდ «უკიდურეს შემთხვევაში» მოხდება

**4 მარტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვთან ახლოს, ნოვო-ოგარიოვოში, გამართა პრესკონფერენცია, რომელიც უკრაინაში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა.**



**„რუსეთი არ განიხილავს ყირიმის მიერთების საკითხს და მოსკოვი არ შეეცდება უკრაინაში სეპარატიზმის გაღვივებას, რადგან მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უფლება, გაარკვიონ თავიანთი ტერიტორიების ბედი“,** — განაცხადა პრეცკონფერენციის დაწყებისთანავე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„კამუფლაჟიანი ადამიანები, რომლებმაც თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ყირიმის რამდენიმე ობიექტი, „თავდაცვის ადგილობრივი ძალების წარმომადგენლები“ არიან და მათ მომზადებაში რუსეთი არ მონაწილეობდა.**

ვლადიმერ პუტინმა **ლეგიტიმურად ცნო ყირიმის პარლამენტის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერმინისტრად სერგეი აქსიონოვის დანიშვნა**: „პარლამენტის სესიაზე აქსიონოვის არჩევისას ყველა პროცედურა იყო დაცული და კანონის დარღვევს ადგილი არ ჰქონია.

**შეიარაღებული პირების მიერ ყირიმის პარლამენტის შენობის დაკავებამ ნახევარკუნძულის მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია, სწორედ ამიტომ შექმნეს მათ თავდაცვის კომიტეტი და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ყველა შეიარაღებული ფორმირება.**

რაც შეეხება რუსეთის მიმართ სანქციებს, **შედეგებზე მხოლოდ მათ უნდა იფიქრონ, ვინც ამ სანქციების დაწესებას აპირებენ.** ეს ორივე მხარეს დააზარალებს. მთავარი ის არის, რომ მათ მხარი დაუჭირეს გადატრიალებას და ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობას.

ჩვენ მზად ვართ დიდი რვიანის სამიტისთვის, მზად ვართ კოლეგების მისაღებად, თუკი მათ აქ ჩამოსვლა სურთ, მაგრამ, თუ არ სურთ, ნება მათია, არც არის საჭირო,“ — განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **უკრაინაში რუსეთის სამხედრო ძალების შეყვანა მხოლოდ „უკიდურეს შემთხვევაში“ მოხდება, თუმცა მოსკოვი უფლებას იტოვებს, ძალა გამოიყენოს ყირიმის რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად,** ჯერჯერობით კი ამის აუცილებლობა არ არის.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია ევრომაიდნელთა მოტივები: „მე მესმის იმ ადამიანებისა, რომლებიც კარდინალურ ცვლილებებს ითხოვენ და არა ხელისუფლების ფასადის შელამაზებას. უკრაინელები მიეჩვივნენ, რომ თაღლითების ერთ ჯგუფს სხვა თაღლითები ცვლიან, უბრალო გლეხი კი „სისხლისმსმელი“ ნიკოლოზის დროსაც იტანჯებოდა, კუჩმას, იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდებშიც. ეს რევოლუციური ვითარება კი უკრაინის დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან შეიქმნა“.

## «იანუკოვიჩი კიდევ ბევრის დასაფლავებას მოესწრება, ვინც მისი გარდაცვალების შესახებ ხმას ავრცელებს!»

## შედეგებზე მხოლოდ მათ უნდა იფიქრონ, ვინც ამ სანქციების დაწესებას აპირებენ

**რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინაში 2014 წლის თებერვალში განვითარებულ მოვლენებს ანტიკონსტიტუციური და შეიარაღებული ძალის მიერ მოწყობილი გადატრიალება უწოდა** და თქვა, რომ არ ესმის, რატომ გადადგა უკრაინის ოპოზიციამ ასეთი ნაბიჯი, რადგან იმ მომენტში უკრაინის ხელისუფლება უკვე წავიდა დათმობაზე და დაეთანხმა კონსტიტუციური რეფორმის განხორციელებას, აგრეთვე, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს. თანაც **იანუკოვიჩს პრეზიდენტის პოსტზე ხელახლა არჩევის შანსი არ ჰქონდა.**

რუსეთის პრეზიდენტმა ურჩია უკრაინელებს, უახლოეს ხანში ჩაატარონ რეფერენდუმი და მიიღონ ახალი კონსტიტუცია. რუსეთი კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს ამ ქვეყანასთან სავაჭრო და ჰუმანიტარულ ურთიერთობას, რაც იქ ვითარება გამოსწორდება და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. **თუ უკრაინაში ტერორი არ შეწყდება და ვითარება არ შეიცვლება, რუსეთი უკრაინის ახალი პრეზიდენტის ლეგიტიმურობას არ ცნობს, რადგან ასეთ ვითარებაში პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება მოფაშისტო ელემენტი აღმოჩნდეს.**

რაც შეეხება უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის, გარდაცვალების შესახებ უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ იანუკოვიჩი ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს“.

**„მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩი ჩვენს ტერიტორიაზე გამოჩნდა, მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ორი დღის წინათ. ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს. იანუკოვიჩი კიდევ ბევრის დასაფლავებას მოესწრება, ვინც მისი გარდაცვალების შესახებ ხმას ავრცელებს,“** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

# რადიაციული ნარჩენები უკრაინაში საქართველოს გავლით ჩავა?!

**საინფორმაციო-სააგენტო „საქინფორმმა“ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა:**



„2014 წლის 27 თებერვალს წყარომ, რომელიც, მისი მტკიცებით, შვეიცარიაში — ციურიხში იმყოფება და მკითხველთა აუდიტორიისთვის ინკოგნიტოდ დარჩენა სურს, „საქინფორმს“ აუწყა, რომ ერთ იტალიურ საზღვაო პორტში, ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულ სარდინიაზე დასაწყობებულია რადიაციური ნივთიერებების ნარჩენები სირიიდან. თუმცა ეს ამ ნარჩენების შენახვის საბოლოო პუნქტი არ არის — სატრანზიტო ტვირთი უკრაინაში გადაიგზავნება, როგორც კი იქ ხელისუფლებას ე. წ. უკრაინული ოპოზიცია ოფიციალურად ჩაიგდებს ხელში.

და რადგანაც სევასტოპოლის პორტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ბაზა იმყოფება, „საქინფორმი“ შიშობს, რომ სახიფათო ტვირთი უკრაინაში საქართველოს გავლით ჩავა შემდეგი მარშრუტით: კუნძული სარდინია-ფოთის პორტი-პორტი ილიჩოვსკი. „საქინფორმის“ რედაქცია კომპეტენტური არხებით შეეცდება, შეამოწმოს ესოდენ კონფიდენციალური ინფორმაცია და მკითხველს უახლოეს ხანში შეატყობინოს“.

„აშშ-ის მხრიდან სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ ლექციის წაკითხვა შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც პრეტენზია განსაკუთრებულ უფლებებზე, რომლებიც სხვებს არ აქვთ“.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯეკ მეტლოკი: აშშ-ს უფლება არ აქვს, რუსეთი გააკრიტიკოს და, მით უმეტეს, დაემუქროს

**აშშ-ის ყოფილმა ელჩმა სსრკ-ში თავისი ქვეყანა ფარისევლობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამერიკის საქციელი საერთაშორისო არენაზე მას რუსეთის გაკრიტიკების და, მით უმეტეს, დამუქრების უფლებას ართმევს**



აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს ყოფილმა თანამშრომელმა, აშშ-ის ელჩმა სსრკ-ში ჯეკ მეტლოკმა თავისი ქვეყნის ხელისუფლება ფარისევლობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მისი საქციელი საერთაშორისო არენაზე უფლებას ართმევს აშშ-ს, უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო რუსეთი გააკრიტიკოს და, მით უფრო, დაემუქროს მას.

აშშ-ის ერთ-ერთ საუკეთესო ელჩად და პოსტსაბჭოთა რეალობის უდიდეს სპეციალისტად წოდებულმა მეტლოკმა თავის ბლოგზე დაწერა:

„აშშ-ის საქციელი საერთაშორისო არენაზე აქარწყლებს მის განცხადებებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ.

**რუსები არცთუ უსაფუძვლოდ ირწმუნებიან, რომ აშშ რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობით დაინტერესებულია მაშინ, როდესაც ეს მის ინტერესებს პასუხობს**. ამერიკის მთავრობების ნამსახურობის ჩამონათვალი მიუთითებს, რომ მათთვის ხელსაყრელ მომენტში ტერიტორიულ მთლიანობას უგულებელყოფენ, როგორც ეს მოხდა მაშინ, როცა ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაარღვიეს სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა, შექმნეს კოსოვო და შემდეგ აღიარეს მისი დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, მხარი დაუჭირეს სუდანიდან — სამხრეთ სუდანის, ეთიოპიიდან — ერითრეის და ინდონეზიიდან აღმოსავლეთ ტიმორის გამოყოფას.

რაც შეეხება სუვერენიტეტის დარღვევას. რუსეთს შეუძლია მიუთითოს, რომ აშშ პანამაში ნორიეგას დასაკავებლად შეიჭრა, გრენადაში კი იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა მძევლებად ამერიკის მოქალაქეების აყვანა (თუმცა ისინი მძევლებად არავის აუყვანია); შეიჭრა ერაყში გამოგონილი საბაბით, თითქოსდა სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა და იერიში მიჰქონდა ხალხზე თავისი უპილოტო საფრენი აპარატებით და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აშშ-ის მხრიდან სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ ლექციის წაკითხვა შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც პრეტენზია განსაკუთრებულ უფლებებზე, რომლებიც სხვებს არ აქვთ.**

სხვა ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად, რუსეთი ერთობ მგრძნობიარეა თავის საზღვრებთან უცხო ქვეყნის სამხედრო საქმიანობის მიმართ. აშშ-ის ყოფილი რესპუბლიკური ადმინისტრაცია დაუფარავად ცდილობდა უკრაინის შეთრევას ნატოში, ხოლო ბარაკ ობამას ამჟამინდელი დემოკრატიული ადმინისტრაცია ამას კატეგორიულად არ გამორიცხავს.

უკრაინა სახელმწიფოა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ნაცია — 22-წლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში აქამდე არ გამოჩენილა ლიდერი, რომელიც უკრაინული იდენტობის საყოველთაო გაგების გარშემო მოქალაქეებს გააერთიანებდა. **დღევანდელი არეულობა უკრაინაში გამოწვეულია არა რუსეთის ჩარევით, არამედ იმით, რომ ეს ქვეყანა უწესრიგოდ იქნა შეკრული ერთმანეთთან არცთუ შესაბამისი ნაწილებით.**

თავისი ისტორიით, გეოგრაფიული მდებარეობითა და ეკონომიკური კავშირებით უკრაინას არ შეუძლია, იყოს აყვავებული, ჯანსაღი და ერთიანი ქვეყანა რუსეთთან მეგობრული (ანდა თუნდაც არამტრული) ურთიერთობის გარეშე“.



# სერგეი მარკედონოვი: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების წინ წაწევა მხოლოდ ვლადიმერ პუტინს შეუძლია

**აშშ-ის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი სერგეი მარკედონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების წინ წაწევა მხოლოდ ვლადიმერ პუტინს შეუძლია და, ამ თვალსაზრისით, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან მისი შეხვედრა პოზიტიური ნაბიჯი იქნება.**

„მხოლოდ ვლადიმერ პუტინს შეუძლია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პროცესი წინ წასწიოს. ცუდია თუ კარგი, ეს არის რეალობა. დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაწილი ურთიერთობების ნორმალიზაციისა, რომელიც ეხება რიტორიკას, ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ურთიერთობებს, თითქმის ამოწურულია. ახლა საჭიროა ახალი იდეები, პუტინმა საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზა ორი იდეა: პირველი — შარშან დეკემბერში, რომელიც ეხებოდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას; ხოლო მეორე – ოლიმპიადის მსვლელობისას თებერვალში მარგველაშვილთან შეხვედრებს. ჩემი აზრით, ამ შეხვედრისგან დიდ გარღვევას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ თვითონ ფაქტი შეხვედრის, ფსიქოლოგიური თუ ემოციური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“, — განაცხადა მარკედონოვმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეხვედრა შედეგს არ გამოიღებს და მხარეები მხოლოდ თავიანთი პრობლემებით შემოიფარგლებიან, ფაქტი მაინც პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

# კონსტიტუციის გადასინჯვისას ერთ-ერთი მთავარი თემა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი იქნება



**საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი თემა ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხი იქნება. როგორც პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, არ შეიძლება თვითმმართველობა დაელოდოს, როდის აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.**

ხუთი სამუშაო ჯგუფიდან, რომლებიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში იქმნება, ერთი ჯგუფი სწორედ სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობისა და თვითმმართველობის საკითხებზე იმუშავებს.

„დროა, კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიღების შემდეგ დავფიქრდეთ, რამე საკითხები კიდევ გადავდოთ მომავლისთვის თუ მივიღოთ გადაწყვეტილებები და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმირება ამ ეტაპზე როგორც არის შესაძლებელი, დავასრულოთ და არ დაველოდოთ გარკვეული პრობლემებისა და საკითხების მოგვარებას. ცხინვალისა და სოხუმის პრობლემის მოგვარებამდე დანარჩენი ქალაქები, სოფლები, რეგიონები — დანარჩენი საქართველო იყოს მოლოდინის რეჟიმში და გასაკეთებელი არ გაკეთდეს, არ იქნება სწორი. არ შეიძლება, თვითმმართველობა დაელოდოს იმას, თუ როდის აღდგება ტერიტორიული მთლიანობა. არ არის არგუმენტი ის, რომ რომელიმე სოფელი და ქალაქი სუპერცენტრალიზებულად მართული იყოს იმიტომ, რომ ეს თემები მოსაგვარებელი გვაქვს. 20 წელი გავიდა, მაგრამ არ ვიცით, რა შეიძლება იყოს ამაზე კომისიის პასუხი, კიდევ დაველოდოთ 20 წელი თუ მივიღოთ გადაწყვეტილება. ამ თემას საფუძვლიანი გააზრება სჭირდება“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



# საქართველო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 150 სამხედროს გაგზავნის

**„საქართველო მორალურ ვალდებულებად თვლის ევროკავშირის მისიაში 150 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას,“ — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.**

მინისტრის განცხადებით, მისიაში წვლილის შეტანა მხოლოდ ევროკავშირის დახმარებას არ ისახავს მიზნად, ეს საქართველოსთვის მორალური ვალდებულებაც არის. საქართველო მიზნად ისახავს საფრანგეთისა და აფრიკის კავშირის ძალების დახმარებას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება კრიტიკულ ზღვარს აღწევს. ეს იქნება ქვეყნის პირველი წვლილი ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მისიაში და ასევე პირველი ოპერაცია აფრიკაში.

ალასანიას განცხადებით, თავდაპირველად საუბარი იყო აფრიკაში 600 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნაზე, თუმცა ოპერაციის მეთაურმა განაცხადა, რომ მისიის შემადგენლობა 800-დან 1000-მდე სამხედრო მოსამსახურე იქნება. ზუსტი რაოდენობა კი მომავალ კვირაში, მოლაპარაკებების შემდეგ გაირკვევა.

ოპერაციის მეთაურის, ფრანგი გენერლის — ფილიპ პონტიეს განცხადებით, აფრიკაში ჯარების გადასროლა მარტის დასაწყისში უნდა დაიწყოს. მისიის მიზანი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ ბანგის აეროპორტში და მის ახლომდებარე ორ რაიონში „უსაფრთხო თავშესაფარის“ შექმნაა, რათა ლტოლვილებს დაბრუნების საშუალება მიეცეთ. აეროპორტის მახლობლად მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების შედეგად იძულებით გადაადგილებული 100 000 ადამიანი უმძიმეს პირობებში იმყოფება. მისიაში წვლილის შეტანას ძირითადად ევროპის ქვეყნები გეგმავენ, მათ შორის პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია და რუმინეთი. საუბარია პორტუგალიასა და ესპანეთზეც.

ქვეყანაში თითქმის მილიონი ადამიანია იძულებით გადაადგილებული და მათ დასახმარებლად საფრანგეთმა თავის ყოფილ კოლონიაში უკვე გაგზავნა 2000 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც აფრიკის კავშირის 6 000 სამშვიდობოს უწევენ დახმარებას. საქართველო, რომელიც უკრაინასთან ერთად ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის წევრი ქვეყანაა, ევროკავშირის მალის მისიაში, სამხედრო წვრთნის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ოფიცრის გაგზავნასაც გეგმავს.



# ორმაგი დემოკრატია

**ექსპერტ კახი კახიშვილის განცხადებით, საკვირველია, როცა უკრაინაში გუბერნატორებისა და მოსამართლეების გადაყენებას და პროკურორების პასუხისგებაში მიცემას დემოკრატიას უწოდებენ, საქართველოში სასამართლოში დაკითხვაზე დაბარებას კი — პოლიტიკურ დევნას.**

„ყველაზე საინტერესო „ნაციონალების“ ლოგიკაა. უკრაინაში პრეზიდენტი ძალიან სწრაფად გადააყენეს და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. გადააყენეს ასევე გუბერნატორები და მოსამართლეები, დაიწყეს ტიმოშენკოს და სხვა გახმაურებული საქმეების ხელახლა გამოძიება და ამ საქმეების პროკურორები პასუხისგებაში მისცეს. აი, ამას უწოდებს „ნაციონალური მოძრაობა“ დემოკრატიას, საქართველოში კი თურმე სასამართლოში მოწმის სტატუსით დაბარება პოლიტიკური დევნაა. ჩემთვის ძალადობრივი ქმედებები კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ არც ზედმეტი უსუსურობა და უუნარობა ვარგა,“ — აღნიშნა კახიშვილმა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ თვალწინ იბადება რუსეთის მოდერნიზებული საგარეო პოლიტიკა და, შესაძლოა, ახალი სახელმწიფო იდეოლოგიაც კი. ეს „დიდი რუსული მობილიზაცია“, ამა თუ იმ ფორმით, უდავოდ მოახდენს გავლენას ურთიერთობაზე ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან, მათ შორის საქართველოსთან.**

# შავი და თეთრი ყირიმში გამოჩნდება

**მშფოთვარე 1979-ში ცნობილმა რუსმა მწერალმა ვასილი აქსენოვმა დაწერა რომანი „კუნძული ყირიმი“, რომელიც გვიანდელ სსრკ-ში ძალზე პოპულარული იყო. მან მკითხველს შემდეგი ისტორიული ალტერნატივის განხილვა შესთავაზა: დავუშვათ, რომ ყირიმი კუნძულია და არა ნახევარკუნძული და, ამ გეოგრაფიული წინაღობიდან გამომდინარე, წითელმა არმიამ 1920-ში მისი დაკავება ვერ მოახერხა. რომანში აღწერილია თეთრგვარდიელების მიერ შექმნილი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელსაც ბრეჟნევის მმართველობის წლებში საბჭოთა კავშირი იერთებს, რასაც ხელს უწყობს გაერთიანების იდეის პოპულარობა ყირიმის მოსახლეობაში. როდესაც ყირიმში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ამ რომანის ავტორის მოგვარე სერგეი აქსენოვი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკისგან ერთგვარ (გეო)პოლიტიკურ „კუნძულს“ ქმნის, ლიტერატურის მოყვარულებმა ამაში არა მხოლოდ ბედის ირონია, არამედ ისტორიის სარკაზმიც დაინახეს.**



## სისხლიანი დაპირისპირების კერა ნებისმიერ წუთს შეიძლება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებშიც გაჩნდეს

უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, დაკარგა კონტროლი ყირიმზე. ელვისებური ოპერაციის ფარგლებში შეიარაღებულმა პირებმა, რომელთაც მოსკოვი ადგილობრივ მოხალისეებს, ხოლო დასავლეთი რუს სპეცრაზმელებს უწოდებს, ნახევარკუნძულის საკვანძო ობიექტები დაიკავეს და ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში ზემონახსენები აქსენოვი და მისი თანამოაზრეები მოვიდნენ. ამ პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ არ სცნობენ ახალ ხელისუფლებას კიევში და უკრაინის პრეზიდენტად კვლავინდებურად იანუკოვიჩს თვლიან. მათ რუსეთს დახმარება სთხოვეს და 30 მარტისთვის დანიშნეს რეფერენდუმი, რომელზეც ყირიმის მომავალი სტატუსი უნდა განისაზღვროს. **რუსული წყაროების ცნობით, ყირიმში მყოფმა ათასობით უკრაინელმა სამხედრომ „ყირიმის ხალხის ერთგულების“ ფიცი დადო, იგივე გააკეთეს უკრაინის საზღვაო ძალების ახალდანიშნულმა სარდალმა და ავტონომიის უშიშროების შეფმა. კვირის მიწურულს „კუნძული ყირიმი“ რუსეთის (ფაქტობრივი) პროტექტორატის ქვეშ რეალობად იქცა.**

გეოგრაფიული ფაქტორების გამო, ყირიმში შეჭრა უკრაინის ხერსონის ოლქის მხრიდან ძალზე რთულია და ეს გასული საუკუნეების ომებში არაერთგზის დადასტურდა. ახალ მთავრობას ამისთვის აუცილებელი რესურსი არ გააჩნია. „მშვიდობიანი შტურმის“ ტაქტიკა, სხვა რეგიონებიდან აქტივისტების ჩაყვანით და „ევრომაიდანის“ მოწყობით, ყირიმში, დიდი ალბათობით, ვერ იმუშავებს, ნახევარკუნძულისა და ხერსონის ოლქის დამაკავშირებელ მაგისტრალებზე გაძლიერებული ბლოკპოსტებია, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი შესაბამისი იდეების მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას არ ავლენს. **რაც შეეხება უკრაინელ ძალოვნებს, უპირველესად, პოლიციელებს, მათი დიდი ნაწილი, მაიდანის ეპოპეის შემდეგ დემორალიზებული და ყველანაირად არიდებს თავს მოქმედებას, რომელმაც შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანოს. ასე რომ, ისეთი დაჯგუფების ფორმირება, რომელიც ყირიმში შეღწევას და იქ მყოფი რუსული კონტინგენტის დამარცხებას შეძლებს, პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს.** შეიქმნა სიტუაცია, როდესაც მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ **კრემლი და ყირიმის ახალი ხელისუფლება კიევში მყოფ მთავრობას პუტჩისტებს და ლამის ფაშისტებს უწოდებს და მასთან დიალოგზე არ მიდის.**

პრობლემა ყირიმით არ შემოიფარგლება, **სისხლიანი დაპირისპირების კერა ნებისმიერ წუთს შეიძლება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებშიც გაჩნდეს.** ვლადიმერ პუტინმა რუსეთის პარლამენტისგან მიიღო სანქცია მთელ უკრაინაში (და არა მხოლოდ ყირიმში) შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე. იმ დღეს, რაღაც მომენტში, ბევრს მოეჩვენა, რომ რამდენიმე საათში ევროპაში ახალი ფართომასშტაბიანი ომი დაიწყება, ზოგს კი ბარბარა ტაკმანის გენიალური ფრაზა გაახსენდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინარე პერიოდს ეხებოდა: **„ომი არავის უნდოდა. ომი გარდაუვალი იყო“.**

**ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა პროცესებზე შეიძლება მოახდინოს არა ყირიმმა ან სამხრეთ-აღმოსავლეთმა, არამედ იმ გაურკვევლობამ, რომელიც კიევში, უკრაინული პოლიტიკის ავანსცენაზე სუფევს.** ორშაბათს ეუთოს თავმჯდომარის სპეცწარმომადგენელმა უკრაინაში — **ტიმ გულდიმანმა** საკმაოდ საგულისხმო განცხადება გააკეთა: **„დღევანდელ ვითარებაში მონოპოლია ხელისუფლებაზე სახელმწიფო ინსტიტუტების ხელში სრულად გარანტირებული არ არის. ჩვენ ვხედავთ, რომ ქუჩებში წესრიგს უზრუნველყოფენ მოძრაობა „მაიდანის“ მიერ შექმნილი უსაფრთხოების ძალები. ესაა გამოწვევა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, მათ ხელისუფლება უნდა დაიბრუნონ“.** იმავეს თქმა, ალბათ, უკრაინული პოლიტიკის უკლებრივ ყველა ასპექტზე შეიძლება. პარლამენტარებს კიევში მუშაობა „ქუჩის“ მუდმივი ზეწოლის ქვეშ უწევთ, ხოლო რადიკალები ამ მომენტისთვის „ზომიერებზე“ უფრო სერიოზულ ძალისმიერ რესურსს ფლობენ, მიუხედავად იმისა, ფორმალური თვალსაზრისით, ოფიციალურ სტრუქტურებს სწორედ „ზომიერები“ აკონტროლებენ.

**იმისთვის, რომ სიტუაცია კიევში უკეთ აღვიქვათ, ალბათ, მეხსიერებაში 2004 წლის „კულუარული ომი“ უნდა აღვადგინოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ერთმანეთს, ერთი მხრივ, „კოლექტიური სააკაშვილი“, მეორე მხრივ კი, „კოლექტიური ჟვანია-ბურჯანაძე“ უპირისპირდებიან. თუ რადიკალები, უხეშად რომ ვთქვათ, „უკრაინელი სააკაშვილები“ გაიმარჯვებენ, რუსეთის შემდგომი ძალისმიერი ჩარევის ალბათობა, სავარაუდოდ, გაასმაგდება.**

ვინაიდან დასაწყისში ალტერნატიული ისტორიის ჟანრი გავიხსენეთ, ალბათ, ურიგო არ იქნება იმის წარმოდგენა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინული ოპოზიცია 21 თებერვლის შეთანხმების ერთგული დარჩებოდა და იანუკოვიჩს კიევიდან არ გააძევებდა. დღეს ყველას როდი ახსოვს, უკრაინაში აშშ-ის ელჩის — **ჯეფრი პაიეტის** რეპლიკა, რომელმაც ბევრი გულმხურვალე „მაიდანელი“ გააღიზიანა: **„ჩვენ ვთვლით, რომ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უნდა უხელმძღვანელოს ქვეყანას, მან უნდა შეცვალოს კონსტიტუცია და პოლიტიკური წყობა“.** როგორც ჩანს, ამერიკელები კარგად აცნობიერებდნენ საფრთხეებს, რომლებიც პროცესების რადიკალიზაციას მოჰყვებოდა. 21 თებერვლის შეთანხმების რეალიზებას, დიდი ალბათობით, მოჰყვებოდა „უკრაინული კოაბიტაციის“ პერიოდი, როდესაც დაუძლურებული და დისკრედიტებული იანუკოვიჩი (როგორც სააკაშვილი 2013-ში) თანდათან გადააბარებდა ოპოზიციურ მთავრობას სახელისუფლო ბერკეტებს, არ მოხდებოდა რადიკალების სახიფათო გაძლიერება და პროცესი, სავარაუდოდ, პრეზიდენტად იულია ტიმოშენკოს არჩევით დაგვირგვინდებოდა.

კრემლი თანახმა იყო ამ ვარიანტზე, მიუხედავად იმისა, რომ ახალი თამაშის დაწყება საკმაოდ რთულ სასტარტო პირობებში უწევდა და, პაიეტის კომენტარს თუ დავეყრდნობით, ის ობამას ადმინისტრაციასაც აძლევდა ხელს. მაგრამ ოპოზიცია, რადიკალების ზეწოლით, გამწვავებაზე წავიდა და იანუკოვიჩი კიევიდან ისე გაიქცა, რომ გადადგომას ხელი არ მოაწერა. შედეგად შეიქმნა ბუნდოვანება ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, რომელიც კრემლმა გამოიყენა. **იანუკოვიჩი, რომელიც საკუთარ თავს კვლავინდებურად ლეგიტიმურ პრეზიდენტად თვლის, შეურთდა ყირიმის ახალი ლიდერის, აქსენოვის, თხოვნას მოსკოვისადმი, დახმარება აღმოუჩინონ და, დიდი ალბათობით, ხელს მოაწერს ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც ახლო მომავალში შეიძლება კრემლს დასჭირდეს.**

**სავარაუდოდ, სწორედ 21 თებერვლის შეთანხმების დარღვევის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა ჩათვალა, რომ უკრაინაში რუსეთის ინტერესების სრული უგულვებელყოფა ხდება და გაცილებით ხისტად ამოქმედდა.** დღეს, როდესაც უკრაინაში განვითარებულ პროცესებს ვუყურებთ, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ **ბიძინა ივანიშვილი სავსებით მართალი იყო, როდესაც ქართველ ამომრჩევლებს მოუწოდებდა, მოთმინება გამოევლინათ, სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის პროცესში ყველა წამოსადგენი პროცედურა დაეცვათ და კანონის ჩარჩოებიდან ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი არ გასულიყვნენ.** ამის გამო ქვეყანამ საკმაოდ ბევრი დრო დაკარგა, თუმცა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ მის მოსისხლე მტრებსაც კი არ დაუყენებიათ, რომელმაც საქართველოს უამრავი საფრთხე აარიდა.

მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია უკრაინაში ძალზე რთულია, ზოგიერთ რეგიონში კი თითქმის უმართავი, საბედისწერო ზღვარი, რომლის მიღმა დეესკალაცია შეუძლებელი გახდება, ჯერჯერობით გადალახული არაა. ძნელი სათქმელია, მოახერხებენ თუ არა გარე მოთამაშეები კონსენსუსის მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს რადიკალების გავლენის ეტაპობრივ შეზღუდვას და ხელისუფლებაში იულია ტიმოშენკოს ან სხვა (შესაძლოა, ნაკლებადსიმპატიური, მაგრამ საკმარისად პრაგმატული) კომპრომისული ფიგურის მოყვანას. ერთი რამ კი ცხადია, **„კუნძული ყირიმი“, დიდი ალბათობით, რუსულ პროტექტორატად ჩამოყალიბდება, სადაც უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას სიმბოლური ხასიათი თუ ექნება; ვარიანტი, რომლის ფარგლებში, კრემლი იძულებული გახდება ყირიმზე კონტროლი დათმოს ან თუნდაც შესუსტოს, დღესდღეობით ძნელი წარმოსადგენია.**

დღეს ბევრს საუბრობენ „ახალ ცივ ომზე“, რომლის დაწყება, სავარაუდოდ, მოსკოვსა და პეკინს სტრატეგიული ალიანსის შექმნისკენ უბიძგებს, რაც აშშ-ის ინტერესებში ნამდვილად არ შედის. **დღეს ვაშინგტონში, უკრაინის მომავალთან დაკავშირებით, ორი ძირითადი იდეა გამოიკვეთა, რომლებიც ყველაზე ლაკონურად, ერთი მხრივ, სენატორმა ჯონ მაკკეინმა, მეორე მხრივ კი, გამოჩენილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ჩამოაყალიბეს.** მაკკეინმა თქვა, რომ უკრაინა ნატოს წევრი უნდა გახდეს, ხოლო ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ მან, ფინეთის მსგავსად, ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს და არ გაწევრიანდეს ალიანსებში, რომელთაც რუსეთი მის წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ საუბარი ამ თემაზე დღეს, როდესაც წინასადეფოლტო უკრაინაში სრული ქაოსია, ნაადრევი ჩანს, მასზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, მაინც მნიშვნელოვანია. **უკრაინის მოვლენებმა რუსეთი, ფაქტობრივად, სამობილიზაციო რეჟიმში გადაიყვანა; აქ იგულისხმება არამხოლოდ სამხედრო ღონისძიებები, არამედ ზოგადად მზადება ყოვლისმომცველი დაპირისპირებისთვის დასავლეთთან** (და „საუკუნის ალიანსისთვის“ ჩინეთთან). **ჩვენ თვალწინ იბადება რუსეთის მოდერნიზებული საგარეო პოლიტიკა და, შესაძლოა, ახალი სახელმწიფო იდეოლოგიაც კი. ეს „დიდი რუსული მობილიზაცია“, ამა თუ იმ ფორმით, უდავოდ მოახდენს გავლენას ურთიერთობაზე ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან, მათ შორის საქართველოსთან.**

ბჟეზინსკი, პუტინის რუსეთის მიმართ უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, ფრთხილობს, კრემლის დამშვიდებას ცდილობს და დასავლეთის ლიდერებს კომპრომისისკენ მოუწოდებს; მაკკეინი კი მიიჩნევს, რომ კომპრომისების დრო დასრულდა. **ორ ბანაკად გაყოფილი ამერიკელი პოლიტიკოსები ამ ორ მიდგომას და კრიზისში ჩარევის კონფრონტაციულ და „რბილ“ სცენარებს შორის მერყეობენ. ამ კონტექსტში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპულსებს, რომლებიც ევროკავშირიდან, უპირველესად, გერმანიიდან წამოვა** (ყირიმთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანია თურქეთის პოზიციაც). ალბათ, სასურველია, რომ ამ ბუნდოვან, საშიშ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით დააკვირდეს პროცესებს, სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად, არ შეეცადოს თავი „პაპზე დიდ კათოლიკედ“ წარმოაჩინოს და მაქსიმალურად ფრთხილად იმოქმედოს.

**შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები მხოლოდ საკუთარ თავს ანიჭებენ „პრევენტიული დარტყმების“, დაბომბვების და სხვა ამგვარი „დემოკრატიული“ ქმედებების უფლებას. მათთვის ეს შეიძლება, რუსეთისთვის — არა. ეს რომ ასე ვერ იქნებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომმაც დაადასტურა, მაგრამ მაშინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შტატებმა და ევროპამ საკუთარ მამაძაღლს — სააკაშვილს გადააყოლა.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მაიდანმა» მსოფლიო წესრიგი შეცვალა

## აღარც აშშ არის ერთადერთი ჰეგემონი და აღარც მარტო რუსეთია მის პირისპირ

**ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების პროუკრაინული განცხადებები (იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, თითქოს საქართველოში ბატალიონები იქმნება უკრაინაში საომრად!) გასაკვირი არ არის; ისინი ევრომაიდანს საკუთარი რევანშის დასაწყისად აღიქვამენ. ერთ-ერთი „ნაციონალი“ კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს: „მიმაჩნია, რომ ამ პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ნატო. ნატოს მეტი აქტიურობა სჭირდება. ალიანსის საბრძოლო ძალები მზადყოფნაში უნდა იყვნენ მოყვანილი. 2008 წლის აგისტოში სწორედ ნატოს ხომალდების შემოსვლამ და განცხადებებმა განაპირობა ის, რომ თბილისთან 30 კმ-ში მოახლოებული რუსეთის ჯარი შეჩერდა და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გადარჩა“.**



ჰენრი კისინჯერი



ჯეკ მეტლოკი

**საბჭოთა კავშირში აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯეკ მეტლოკი: შეერთებული შტატების ქცევა საერთაშორისო არენაზე აზრს უკარგავს მის განცხადებებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ**

**აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰენრი კისინჯერი: რუსეთის პოზიციის სწორად გააზრებისთვის ისტორიას უნდა ჩავხედოთ**

საზოგადოდ, ცნობილია, რომ რუსის ჯარს პამპერსები და წყალი „აჩერებს“ ხოლმე, მაგრამ უკრაინის შემთხვევაში ეს ვერ მოხერხდა: თურქეთმა უარი განაცხადა ნატოს ხომალდების შავ ზღვაში გატარებაზე. მეტიც, თურქეთის ხელისუფლება აღიარებს რუსეთის ინტერესებს ყირიმში და ამ მომენტს საკუთარი ინტერესების ევროპის ტერიტორიებზე დასაფიქსირებლადაც იყენებს.

თითქოს ამ ყველაფერს ვერ ხედავდეს, საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი, „ნაციონალების“ კვალდაკვალ, ერთმანეთს ასწრებენ უკრაინისთვის სოლიდარობის გამოხატვას. ევროპაში კი აშკარად იცვლება დამოკიდებულება იქ მიმდინარე მოვლენების მიმართ. **„ხანმოკლე წარმატებული ომი“** (იგულისხმეთ სახელმწიფო გადატრიალება) **ვერ შედგა. საქართველოსგან განსხვავებით, როცა 2003 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა, ხოლო სახელმწიფო ვერტიკალის გადაბარება დასავლეთიდან მხარდაჭერილმა სააკაშვილმა საკმაოდ სწრაფად მოახერხა, უკრაინაში მოვლენები ასე მარტივად არ დალაგდა.**

**მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ევროპამ მაინც „შეამჩნია“, რომ მაიდანზე ბენდერელი ნაციონალისტები, „სახიფათო მემარჯვენე რადიკალები“ დგანან. რომ ოპოზიციის ლიდერები არაფრის გადამწყვეტნი არ არიან. რომ არ შეიძლება, რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა.** გერმანული Der Spiegel წერს, რომ მოსკოვის ემოციური დამოკიდებულება ყირიმის მიმართ გასაგებია, რადგან ეს „ძირძველი რუსული რეგიონია“ („der Kernbereich Ruslands“). ერთ-ერთი წამყვანი გერმანული გაზეთი FAZ ენების შესახებ უკრაინის თვითგამოცხადებული ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის შესახებ წერს. მისი ინფორმაციით, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუილ ბაროზუ ესაუბრა არსენ იაცენიუკს, რომელმაც გარანტია მისცა, რომ ეს „საკამათო კანონი“ მიღებული არ იქნებოდა. გაზეთი წერს, რომ უკრაინის აღმოსავლეთის მოსახლეობამ („ethnische Russen“ — ეთნიკურმა რუსებმა) ეს კანონი პროვოკაციად შეაფასეს. ტელეკომპანია BBC-მ გამოაქვეყნა მძაფრსიუჟეტიანი ვიდეოჩანაწერი მაიდანის ნეონაცისტი ბოევიკების შესახებ.

**„რუსეთის პოზიციის სწორად გააზრებისთვის ისტორიას უნდა ჩავხედოთ“. სხვათა შორის, ამას აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი, 91 წლის ჰენრი კისინჯერი აცხადებს, რომელსაც სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის დიდოსტატი შეარქვეს. ისიც კი არ უწონებს თეთრი სახლის ადმინისტრაციას ევრომაიდანზე მიმდინარე მოვლენებისთვის „დემოკრატიული“ იარლიყის მიწებებას. მისი განცხადება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დასავლეთის, განსაკუთრებით შეერთებული შტატების ჭმუნვა რუსეთის ჩარევის შესახებ უკვე სასაცილოდ გამოიყურება.**

4 მარტის შეხვედრაზე ჟურნალისტებთან **ვლადიმერ პუტინს** ჰკითხეს, რაზე ესაუბრებოდა იგი დასავლელ პარტნიორებს. რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ეს კონფიდენციალური საუბრებია, მაგრამ ზოგიერთ საჯარო განცხადებაზე დაყრდნობით მაინც თქვა: **„როცა ჩვენი მოქმედებების არალეგიტიმურობაზე ლაპარაკობენ, მე მათ ვეკითხები — განა თქვენი ქმედებები ყოველთვის ლეგიტიმურია? ისინი მიპასუხობენ, რომ ასეა. მაშინ მე მათ ვეკითხები: მაშ, რა მოხდა ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში და სხვაგან? სხვათა შორის, ლიბიის შესახებ რეზოლუცია სრულიად თვითნებურად გამოიყენეს, როცა საუბარი იყო საჰაერო სივრცის დახურვაზე, სინამდვილეში კი დასავლეთმა დაბომბვები განახორციელა“.**

ასე იყო სერბეთშიც, როცა ნატოს სამხედრო ძალებმა ჩაიდინეს ის, რაც რუსეთს უკრაინაში (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით) არ ჩაუდენია. ეს აბსურდული სურათი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები მხოლოდ საკუთარ თავს ანიჭებენ „პრევენტიული დარტყმების“, დაბომბვების და სხვა ამგვარი „დემოკრატიული“ ქმედებების უფლებას. მათთვის ეს შეიძლება, რუსეთისთვის — არა. ეს რომ ასე ვერ იქნებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომმაც დაადასტურა, მაგრამ მაშინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შტატებმა და ევროპამ საკუთარ მამაძაღლს — სააკაშვილს გადააყოლა.**

სააკაშვილისგან განსხვავებით, უკრაინაში ეყოთ იმის გონიერება, რომ რუსეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ შესულიყვნენ. ალბათ, ცოტა მოგვიანებით იმასაც გავიგებთ, ვისი დამსახურებაა ეს, მაგრამ ევროპა, რომელმაც უკრაინასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ რუსეთთან მოლაპარაკებაზე იმთავითვე უარი თქვა, ახლა დილემის წინაშე აღმოჩნდა; ნათელია, რომ რუსეთის გარეშე იმ ჩიხიდან გამოსვლა, რომელშიც „დემოკრატიზირებული“ უკრაინა აღმოჩნდა, მეტად გართულდება. ასევე უარობდა ევროპა უკრაინისთვის დახმარების გამოყოფას, მაგრამ ახლა ჯიბეშიც ჩაიყვეს ხელი და ისიც გააცნობიერეს, რომ უმძიმესი შეცდომა იყო უკრაინის არჩევანის წინაშე დაყენება: ან ევროპა, ან რუსეთი!

აშშ-ის ერთ-ერთ საუკეთესო ელჩად აღიარებული **ჯეკ მეტლოკი** საკუთარ ბლოგში წერს: **„შეერთებული შტატების ქცევა საერთაშორისო არენაზე აზრს უკარგავს მის განცხადებებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ. რუსეთს საფუძვლიანად შეუძლია ამტკიცოს, რომ აშშ ტერიტორიულ მთლიანობაში დაინტერესებულია მხოლოდ მაშინ, როცა ეს მის ინტერესებშია. ამერიკის მთავრობათა ნამოქმედარი ნათლად აჩვენებს, რომ ისინი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის იგნორირებას ეწევიან, როცა ეს მათ ხელს აძლევთ. როგორც სერბეთში, როცა ნატოს მოკავშირეებთან ერთად ხელყვეს ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, შექმნეს და აღიარეს კოსოვო; გარდა ამისა, ხელი შეუწყვეს სუდანისგან სამხრეთ სუდანის გამოყოფას, ერითრეისა — ეთიოპიისგან, აღმოსავლეთ ტიმორისა — ინდონეზიისგან.**

**რაც შეეხება სუვერენიტეტის დარღვევას, რუსეთს შეუძლია თქვას, რომ შეერთებული შტატები პანამაში ნორიეგას დასაპატიმრებლად შეიჭრა, ხოლო გრენადაში შევარდნა იმით დაასაბუთა, თითქოს ამერიკის მოქალაქეების მძევლად აყვანას აპირებდნენ (თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა); ერაყში გამოგონილი საბაბით შეცვივდნენ, თითქოს სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა...**

**ერთი სიტყვით, აშშ-ის მხრიდან ლექციების კითხვა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობაზე აღიქმება, როგორ აშშ-ის პრეტენზიები განსაკუთრებულ უფლებებზე, რაც სხვას არ შეიძლება ჰქონდეს“.**

იმედია, ჯეკ მეტლოკს ჩვენებური „ინტეგრატორები“ რუსეთუმეედ არ მონათლავენ. იგი სიმართლეს წერს, მაგრამ **ეს სიმართლე მიუღებელია ჩვენი პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილისთვის, რომლისთვისაც საქართველოს ინტეგრირება ევროპასა და ნატოში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი ეროვნული ინტერესები.**

დღეს, ჰენრი კისინჯერისგან განსხვავებით, ვიქტორია ნულანდი (ნუდელმანი) არ უარყოფს, რომ შეერთებულმა შტატებმა 5 მილიარდი დოლარი დახარჯა კიევის ევრომაიდანზე. ამ მოვლენებში ჩარევას ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ, შემდეგ კი უკვირთ, რომ, მაგალითად, რუსეთი იმავე სქემებს იყენებს და სამართლიანად მიუთითებს მათ საკუთარ ნამოქმედარზე.

დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ იმაზე, რომ ობამა პუტინთან შედარებით ძალიან სუსტი ლიდერია. სინამდვილეში პიროვნული ფაქტორი აქ უმთავრესი არ არის (თუმცა ამასაც აქვს მნიშვნელობა). **შეიცვალა მსოფლიო, გეოპოლიტიკური ვითარება, მრავალჯერ განმეორებული სქემები, რომლითაც შეერთებული შტატები არაერთ ქვეყანაში შეიჭრა ან სახელმწიფო გადატრიალებებს შეუწყო ხელი, უკვე აღარ მუშაობს. აღარც აშშ არის ერთადერთი ჰეგემონი და აღარც მარტო რუსეთია მის პირისპირ.**

**როგორც კი ობამამ რუსეთის იზოლაციაზე დაიწყო ლაპარაკი, ჩინეთის ხელმძღვანელობამ ღიად განაცხადა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოზე რუსეთის საწინააღმდეგო ნებისმიერ რეზოლუციას ვეტოს დაადებს. როგორც კი ობამა რუსეთის მიმართ ეკონომიკურ სანქციებზე ალაპარაკდა, ჩინეთმა უპასუხა, რომ შტატებისგან მთელი ვალის გასტუმრებას მოითხოვენ ოქროთი.** ფორტნოქსში კი, ოქროს ნაცვლად, დიდი ხანია, ვოლფრამის ზოდები აწყვია და ეს ამერიკელ ბანკირებზე უკეთ არავინ იცის! რუსეთმა საპასუხოდ მიანიშნა, რომ, მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, მზად არის, დოლარზე უარი თქვას.

ვინ უფრო დაზარალდება ამ „სანქციების“ განხორციელების შემთხვევაში, რთული გამოსაცნობი არ არის. ისევე, როგორც ძნელი არ არის იმის მიხვედრა, ვინ გაუგრილა ცხელი შუბლები მაიდნიდან რადაში შეჭრილ „ოპოზიციას“, როცა მათ განაცხადეს, რომ რუსეთი ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმს არღვევს და ამიტომ უკრაინა ბირთვული იარაღის შექმნას დაიწყებს! ეს მემორანდუმი რუსეთის გარდა, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ იყო ხელმოწერილი, როცა უკრაინას ბირთვულ შეიარაღებაზე უარი ათქმევინეს ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ, თუმცა ტერიტორიულ მთლიანობაზე უკვე მოგახსენეთ.

**ჩვენ თვალწინ ალგორითმი — ან დასავლეთი ან რუსეთი — იცვლება. „რუსეთუმეების“ წოდების ჩამორიგებამ უკვე დაკარგა აზრი. რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებენ ისინი, ვინც ამას არასოდეს აღიარებს ხმამაღლა. რაშია საქართველოს ხსნა? უკრაინული ანდაზისა არ იყოს, ოეზიტ არაეპეკ ქთიტკმ ვ აეაორ თუ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე ვიზრუნოთ?**

დრო მიდის და ბევრი რამ იცვლება. ამ დღეებში პარლამენტის წევრმა თინა ხიდაშელმა პროვოკაციულ კითხვაზე, ახლაც უნდა ველაპარაკოთ თუ არა პუტინს, ნათლად და მკაფიოდ უპასუხა: **„ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს, რომლის გამოც პუტინს არ უნდა ველაპარაკოთ“.** ჯანსაღი და მართებული პოზიციაა: ჩვენი ეროვნული ინტერესები ამას მოითხოვს და იქნებ სწორედ ახლა არის ის მომენტი, როცა საქართველო მეტის მოგებას შეძლებს. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი სოსო ცინცაძე ამბობს ხოლმე, **„ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ჯანსაღი სახელმწიფოებრივი ეგოიზმი“,** სხვაგვარად არ გვეშველება. **„მაიდნური“ პათოსი კი ტვინგაცხელებულ „ნაციონალებს“ დავუტოვოთ: თბილისში ისინი ვერც მაიდანს შეკრებენ და ვერ მეიდანს!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რა სისულელეც უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ, „ნაციონალური რევანშის" ჰიპოთეტური საფრთხე მაინც გააერთიანებს მის გარშემო დაახლოებით იმავე რაოდენობის ამომრჩეველს, რამდენსაც 2012-ში. ეს საკმაოდ მოსახერხებელი საშუალებაა ხელისუფლებაში ყოფნის გასახანგრძლივებლად, მაგრამ მისი შემდგომი გამოყენება პოლიტიკურ პროცესს სრული დეგრადაციის გზას გაუყენებს, რეალობასთან წინააღმდეგობაში შეიყვანს, რის გამოც ადრე თუ გვიან მთელი სისტემა დაიმსხვრევა.

# ვილაცამ ვირის აბანოს გადაუფრინა

**ვანო მერაბიშვილს 26 მაისის საქმეზე 4,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ფრანგულმა სასამართლომ დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე უარი თქვა. გოგა ონიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით 20 ათასი ლარის გირაო შეუფარდეს. გიგი უგულავა სასამართლო პროცესისთვის ემზადება. მსგავსი ცნობები ბოლო დროს ერთი მეორის მიყოლებით ვრცელდება და ხანდახან გაუგებარი ხდება, მიხეილ სააკაშვილის პარტიაზე ვსაუბრობთ თუ „მიშკა-იაპონჩიკის" ბანდაზე. პოლიტიკური ცხოვრების მატიანე აშკარად კრიმინალური ქრონიკის დაიჯესტს დაემსგავსა. რას მოუტანს ეს ყოფილ მმართველ პარტიას და სრულიად საქართველოს?**

## ტკივილი ხერხემლის არეში

ვანო მერაბიშვილისთვის მორიგი განაჩენის გამოტანა აშშ-ში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტს დაემთხვა და ამ ნიადაგზე „ნაციონალების" რიგებში ფართოდ გავრცელდა უცნაური და, ალბათ, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში თეთრი სახლი ჩაერეოდა, ხოლო საქართველოს ახალი ხელისუფლება შეშინდებოდა და, აქედან გამომდინარე, სასამართლო მერაბიშვილს გაამართლებდა ან მხოლოდ სიმბოლურად დასჯიდა. ამ ხავსს „ყოფილი ხერხემლის" გულშემატკივრები ბოლო მომენტამდე ეჭიდებოდნენ. რაც შეეხება მათ ოპონენტებს, ისინი 26 მაისის ეპიზოდში მერაბიშვილის გამართლებას გამორიცხავდნენ; პროკურატურის ზოგადი უნიათობისა და კოაბიტაციის პერიოდის არაერთი იმედგაცრუების მიუხედავად, საკითხის ზეპრინციპული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამის წარმოდგენა უბრალოდ არ შეეძლოთ.

**ვაშინგტონს, ცხადია, ხელს აძლევს, რომ საქართველოში „სათადარიგოთა სკამზე", რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ჯგუფი ჰყავდეს და „ნაცმოძრაობა" ამ მხრივ გამონაკლისი არაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მერაბიშვილის გამო საქართველოს ახალ ხელისუფლებას დაუპირისპირდება.** 26 მაისის, ისევე, როგორც გირგვლიანის, საქმე ქართული საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და უცხოელების ჩარევა მასში ავტომატურად გამოიწვევს ანტიდასავლური ემოციების ამოფრქვევას. ამასთანავე, **„ნაცმოძრაობის" სხვა ლიდერები მერაბიშვილს ძალთა ზედმეტი დაძაბვის გარეშე, მეტწილად სიმბოლურად იცავენ, ზოგიერთი მათგანი კი, სავარაუდოდ, კმაყოფილია, რომ კონკურენტი მოიშორა.** პროცესი, ასე თუ ისე, გამჭვირვალედ, ყველა ნორმის დაცვით მიმდინარეობს, ხოლო ბრალდება უკავშირდება მშვიდობიანი დემონსტრანტების სადისტურ ცემას, რომელიც ვიდეოზეა აღბეჭდილი და ასობით თვითმხილველი ჰყავს, რაც არა მხოლოდ ართულებს მერაბიშვილის ადვოკატირებას, არამედ მას უაღრესად არაპოპულარულს ხდის. ამასთანავე, **„ორი გვამის მაძებარ" ვანოს, როგორც პოლიტიკოსს, პოზიტიური პერსპექტივა არ აქვს, მისი იმიჯი გასწორებულია მიწასთან და, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, მისი აქტიური დაცვა ან ზეწოლა ახალ ხელისუფლებაზე დასავლელი პარტნიორების მხრიდან ერთობ არარაციონალური ხდება.**

**ვაშინგტონს, ცხადია, ხელს აძლევს, რომ საქართველოში «სათადარიგოთა სკამზე», რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ჯგუფი ჰყავდეს და «ნაცმოძრაობა» ამ მხრივ გამონაკლისი არაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მერაბიშვილის გამო საქართველოს ხელისუფლებას დაუპირისპირდება**



**«ორი გვამის მაძებარ» ვანოს, როგორც პოლიტიკოსს, პოზიტიური პერსპექტივა არ აქვს, მისი იმიჯი გასწორებულია მიწასთან და, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, მისი აქტიური დაცვა ან ზეწოლა ახალ ხელისუფლებაზე დასავლელი პარტნიორების მხრიდან ერთობ არარაციონალური ხდება**

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს, **გამორიცხული არაა, რომ მათ „განტევების ვაცის" იმპროვიზებული თეორიის ტყვეობაში მოექცნენ. მათ დასჭირდათ საკმაოდ ბევრი დრო, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ არანაირი „ტოტალური პატიება" არ იქნება და თითოეული მათგანი შეიძლება დაკითხონ და გაასამართლონ, როგორც „ჩვეულებრივი მომაკვდავი".** შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი მივიდა დასკვნამდე, რომ პარტიამ ერთი წლის წინ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც კონსულტაციებზე ახალ ხელისუფლებასთან უარი თქვა შეთანხმებაზე შემდეგი პრინციპით — „ნაწილობრივი ამნისტია (ჩინოვნიკების ქვედა და საშუალო რგოლისთვის) — საკონსტიტუციო ცვლილებების სანაცვლოდ (სააკაშვილის დიქტატორული უფლებების შეკვეცა)". მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება ვერ გაათავისუფლებდა პასუხისმგებლობისგან მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, ის შექმნიდა პრეცედენტს და შესაბამისად, ნიადაგს მეორე მსგავსი შეთანხმებისთვის, რომელიც უკვე მაღალჩინოსნებს შეეხებოდა. მაშინ, ალბათ, საჭირო იყო სწრაფი თანხმობა, ვიდრე „ქართული ოცნების" მომხრეები გონს მოეგებოდნენ და პროტესტს გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ახალმა ხელისუფლებამ კანონის უზენაესობის პრინციპით ვაჭრობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ უარმა მაშინ „ნაცმოძრაობას" ტაქტიკური წარმატებაც კი ვერ მოუტანა — ივანიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებს მაინც მიაღწია.

შემდეგ დაიბადა პოლიტიკა, რომელიც, სავარაუდოდ, ყველაზე ოდიოზური ფიგურების გაწირვას, მათი აქტივების გადანაწილებასა და პარტიის ბირთვის შენარჩუნებას გულისხმობს, იმ იმედით, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების გასამართლებას მოითხოვს მერაბიშვილის, ახალაიას (ქარდავას და ა. შ.) დასჯით დაკმაყოფილდება და ამ პრობლემის გამო, ხელისუფლებაზე ზეწოლას აღარ მოახდენს. **პატიმრობაში მყოფი თანაგუნდელების დაცვამ დროთა განმავლობაში თითქმის ფორმალური ხასიათი მიიღო. შეეძლო თუ არა „ნაცმოძრაობას" განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოსთან თუნდაც 3 ათასი აქტივისტი დაეყენებინა ან დასავლურ მედიაში გაცილებით მასშტაბური კამპანია ეწარმოებინა? ალბათ, შეეძლო. შეეძლო თუ არა სააკაშვილს, არ ეპასუხა ჟურნალისტებისთვის „თავი დამანებეთ", როდესაც მერაბიშვილზე კითხვა დაუსვეს. სავარაუდოდ, ესეც შესაძლებელი იყო. სოციალურ ქსელებში არც ისე რთულია იმ უკმაყოფილების დაფიქსირება, რომელსაც მერაბიშვილისა და ახალაიას ახლობლები და აქტიური გულშემატკივრები ყოფილი თანაგუნდელების მიმართ გამოხატავენ** (ძირითადად — ქვეტექსტში, თუმცა არცთუ იშვიათად — პირდაპირ). თუ ჩვენ მშვიდად, ემოციების გარეშე შევეცდებით, ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე **„რაში სჭირდება დღეს მერაბიშვილი სააკაშვილს ან ბოკერიას?"** გამორიცხული არაა, მივიდეთ დასკვნამდე, რომ **მათ ურჩევნიათ მერაბიშვილმა მეხამრიდის და სიმბოლური „პოლიტპატიმრის"** (მათ პოლიტიკურ მითოლოგიაში — „ქართველი ტიმოშენკოს") **როლი შეასრულოს,** ხოლო როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და კონკურენტი ნაკლებად სჭირდებათ. გიორგი დანელიას ერთ-ერთი პერსონაჟის თქმის არ იყოს: **„სკრიპაჩ ნე ნუჟენ!".**

„ნაცმოძრაობის" აქტივისტების ფიქტიური დასაქმებისა და სხვა მსგავსი ეპიზოდებისგან განსხვავებით, 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებული განაჩენი, იმის მიუხედავად, რომ დაისაჯა მთავარი შემსრულებელი და არა მთავარი დამკვეთი, საკუთარ თავში სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების ელემეტს შეიცავს. მისი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ძალზე დიდია და იმედია, ის იქნება გაფრთხილება ყველასთვის, ვინც მომავალში შინაგან საქმეთა მინისტრის ან სხვა მაღალ თანამდებობას დაიკავებს.

## ფული, ბაბა, ფული!

**ფრანგულმა სასამართლომ დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე უარი თქვა და ეს, ალბათ, უნდა შევაფასოთ, როგორც პროკურატურის მორიგი მარცხი. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ირწმუნება, რომ „პროკურატურა აგრძელებს და გააგრძელებს მუშაობას იმაზე, რომ დღეს თუ არა ხვალ ბატონი იქნას ჩამობრძანებული ქვეყანაში, იმისთვის, რომ პასუხი გასცეს ქართულ საზოგადოებას", ფრანგული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ კეზერაშვილის ექსტრადირება ევროკავშირის ქვეყნებიდან შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული გახდა, თუმცა ცხადია, დაცულობის 100%-იანი გარანტია მსგავს საქმეებში არ არსებობს.**

**დავით კეზერაშვილი „ნაცმოძრაობის" „შავი სალაროს" მთავარ მოლარედ მოიაზრება, რომელიც პატიისა და მისი პროპაგანდისტული ინფრასტრუქტურის არსებობის გახანგრძლივებას უზრუნველყოფს.** საქართველო ღარიბი ქვეყანაა, აქ რამდენიმე ასეულ, მაქსიმუმ, რამდენიმე ათას ლარად შეიძლება დაიქირავო ადამიანები, რომელნიც დამკვეთის სურვილის შესაბამისად, ნებისმიერ თანამემამულეს დაასახიჩრებენ ან სულაც მოკლავენ. ამ გარემოში „ნაცმოძრაობის" პარტიული აქტივისტების ან პროპაგანდისტების რეკრუტირება განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს, მითუმეტეს, რომ მათი საქმიანობა სავსებით ლეგალურია. ასე რომ, **ვიდრე არსებობს „შავი სალარო" იარსებებს პარტიაც, დაახლოებით იმ შესაძლებლობებით, რომელიც დღეს გააჩნია. აქედან კი, რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, ბუნებრივად გამომდინარეობს სტაგნაციის საფრთხე ქართულ პოლიტიკაში.**

„ნაციონალური მოძრაობის" არსებობა დღევანდელი სახით, ერთი მხრივ, ხელს უშლის კოალიცია „ქართული ოცნების" სავსებით ბუნებრივ დაშლას ლიბერალურ და კონსერვატიულ ბლოკე- ▶



**ვიდრე არსებობს «შავი სალარო» იარსებებს «ნაცმოძრაობაც», დაახლოებით იმ შესაძლებლობებით, რომლებიც დღეს გააჩნია. აქედან კი, რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, ბუნებრივად გამომდინარეობს სტაგნაციის საფრთხე ქართულ პოლიტიკაში**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იმ ადამიანების რიგებში, რომელთაც არ სურთ, რომ დავით კეზერაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარსდგეს, არიან არა მხოლოდ ყოფილი, არამედ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, იმის გათვალისწინებით, თუ რა სავარაუდო როლს ასრულებს მთელ ამ ისტორიაში „ყულაბა“ თუ „სალარო“, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, ფართოდ გავრცელებული ვარაუდის თანახმად, კეზერაშვილი განკარგავს.

◀ბად და მეორე მხრივ, „რეიტინგების გაყინვას“ უზრუნველყოფს. **რა სისულელეც უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ, „ნაციონალური რევანშის“ ჰიპოთეტური საფრთხე მაინც გააერთიანებს მის გარშემო დაახლოებით იმავე რაოდენობის** (უხეშად რომ ვთქვათ, „პლუს-მინუს 10%“) **ამომრჩეველს, რამდენსაც 2012-ში. ეს საკმაოდ მოსახერხებელი საშუალებაა ხელისუფლებაში ყოფნის გასახანგრძლივებლად, მაგრამ მისი შემდგომი გამოყენება პოლიტიკურ პროცესს სრული დეგრადაციის გზას გაუყენებს, რეალობასთან წინააღმდეგობაში შეიყვანს, რის გამოც ადრე თუ გვიან მთელი სისტემა დაიმსხვრევა.** „ნაცმოძრაობა“, თავის მხრივ, ჩაკეტილია ერთგვარ „ელექტორალურ რეზერვაციაში“, რომლის საზღვრებს ვერ აფართოებს, სამაგიეროდ, (უპირველესად, ყბადაღებული „სალაროს“ ხარჯზე) ინარჩუნებს გავლენას მომხრეთა ბირთვზე, რომელიც, უსაშინელესი კომპრომატის გამოქვეყნების მიუხედავად, პარტიის ერთგულებას ინარჩუნებს. პარტიის რეიტინგი და გავლენა თანდათან მცირდება, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედ „სალაროს“ ფაქტორი ამ პროცესს სერიოზულად აფერხებს.

**ბიძინა ივანიშვილს, პრინციპში, შეუძლია უშუალოდ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გარისკოს, არ დაელოდოს „ნაცმოძრაობის“ საბოლოო კრახს და კოალიცია დაშალოს. თუმცა ამ გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, შეეწინააღმდეგება მისი პოლიტიკური პარტნიორების ის ნაწილი, რომელიც დღეს თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს.** ახალი ეტაპი ბუნებრივად მოითხოვს ლიდერებისგან გამჭრიახობას და მუდმივ აქტიურობას, მასში არ იქნება „სასათბურე პირობები“, არამედ მხოლოდ დაუნდობელი კონკურენცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ინტრიგებისგან კოალიციის კულუარებში. ამიტომ ისინი, სავარაუდოდ, შეეცდებიან, დღევანდელ მოდელს არსებობა მაქსიმალურად გაუხანგრძლივონ, ამ მიზნის მიღწევისთვის „ნაციონალური რევანში“ რეალურ საფრთხედ წარმოაჩინონ და დაეხმარონ „ნაციონალებს“ იმაში, რომ საფრთხობელას როლი უკეთ შეასრულონ.

გამორიცხული არაა, რომ **იმ ადამიანების რიგებში, რომელთაც არ სურთ, რომ დავით კეზერაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარსდგეს, არიან არა მხოლოდ ყოფილი, არამედ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, იმის გათვალისწინებით, თუ რა სავარაუდო როლს ასრულებს მთელ ამ ისტორიაში „ყულაბა“ თუ „სალარო“, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, ფართოდ გავრცელებული ვარაუდის თანახმად, კეზერაშვილი განკარგავს.** თუ კიდევ უფრო შორს წავალთ, იმ შემთხვევაში, თუ „შავ სალაროს“ სახელმწიფო დაეპატრონება ან რაიმე ფორმით დაბლოკავს ფულის ნაკადს, ეს ადამიანები ვერაფერს მოიგებენ, ხოლო დღევანდელ (და მსგავს) სიტუაციაში შეიძლება საკმაოდ დიდი ბონუსები მიიღონ. ამ მოსაზრების დაფიქსირების შემდეგ საუბრის დაწყება, ალბათ, საბოტაჟის ბუნებასა და პათოგენეზზეც შეიძლება.

### დიმიტროვის სახელობის პაუზა

**ბაჩო ახალაიას ადვოკატის, ონიანის, დაკავებაზე ამ ეტაპზე, ალბათ, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურა მსგავს შემთხვევებში იუველირული სიზუსტით უნდა მოქმედებდეს. ნებისმიერ ხარვეზს შეიძლება ძალიან არასასურველი რეზონანსი მოჰყვეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რადგან საუბარი ეხება იმ ადამიანის ადვოკატს, რომელსაც მისი გულშემატკივრები „პოლიტიკურ პატიმარს“ უწოდებენ.** იურისტები და უფლებადამცველები ასეთ სიტუაციებში განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან და ნებისმიერ ბუნდოვან სიტუაციაში, ლამის ავტომატურ რეჟიმში, ბრალდების მხარეს უპირისპირდებიან. შეიძლება ამის მოსმენა არცთუ სასიამოვნო იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ონიანს ბანალურ ზონდერ-პოლიციელად თვლიან, მაგრამ ეს ფაქტია, რომელსაც არაერთი განვითარებადი ქვეყნის ისტორია ადასტურებს.

ამ საქმესთან დაკავშირებით, ყველაზე საინტერესო, ალბათ, საქართველოში ევროკავშირის ელჩის, **ფილიპ დიმიტროვის,** კომენტარი იყო: **„ყოველთვის, როცა არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლებს პასუხისგებაში აძლევენ, ჩვენ გვაქვს ეჭვები და შეკითხვები. კარგი იქნება, რომ ყველა მსგავს საქმეში საერთაშორისო დამკვირვებლები იყვნენ ჩართულნი“.** დამკვირვებლების ჩამოყვანას, პრინციპში, არაფერი უშლის ხელს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, ეს სიტყვებია: **„არჩევნების წინ“.** საპრეზიდენტო არჩევნების წინ სამართალდამცავებმა პრაქტიკულად მორატორიუმი გამოაცხადეს და ყოფილ მაღალჩინოსნებს აღარ ეკარებოდნენ. გავიდა სამი თვე, რომელთაც საახალწლო პაუზა უნდა გამოვაკლოთ და ბატონი დიმიტროვი მიგვითითებს, რომ ახლა ისევ წინასაარჩევნო პერიოდია. **სად გაგონილა, სამართალდამცავები მხოლოდ გარკვეულ თვეებში აქტიურდებოდნენ და მუდამ ფიქრობდნენ „შეიძლება დღეს დაკითხვა-დაკავება თუ არ შეიძლება“?!**

**ასეთი მიდგომის დამკვიდრება თანდათან აჩვევს პროკურატურას იმას, რომ მუშაობის პროცესში პოლიტიკური კონიუნქტურა გაითვალისწინოს და ამან აპრიორი არ შეიძლება მოიტანოს კარგი შედეგი.** დემოკრატიულ სახელმწიფოში ის საათივით უნდა მუშაობდეს, მიუხედავად იმისა, რა ამინდია გარეთ, არჩევნებია ქვეყანაში, კარნავალი თუ ფეხბურთი. თორემ ასე ნებისმიერი მანიაკი, ბანდიტი და აფერისტი იტყვის, რომ პოლიტიკური პარტიის წევრია და მასთან ურთიერთობაში „ხელშეუხებლობის სეზონების“ პრინციპის დაცვას მოითხოვს. ასე რომ, ალბათ, აჯობებს, შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ — კანონის უზენაესობა და არანაირი ტაიმაუტები.

**დიმიტრი მონიავა**

**ფილიპ დიმიტროვი: «ყოველთვის, როცა არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლებს პასუხისგებაში აძლევენ, ჩვენ გვაქვს ეჭვები და შეკითხვები. კარგი იქნება, რომ ყველა მსგავს საქმეში საერთაშორისო დამკვირვებლები იყვნენ ჩართულნი»**



**სად გაგონილა, სამართალდამცავები მხოლოდ გარკვეულ თვეებში აქტიურდებოდნენ და მუდამ ფიქრობდნენ, «შეიძლება დღეს დაკითხვა-დაკავება თუ არ შეიძლება»?!**

# ბოცო წიკლაურის დანაპირები



**იმედის ნაპერწკალი, რომლისგანაც შემდეგ ალი უნდა აინთოს, «ნაციონალური მოძრაობისა» და წიკლაურის გულებში აშკარად კიაფობს და ისე უფრთხილდებიან, როგორც კეზერაშვილის მიერ გადმორიცხულ მილიონებს**

**კომუნისტების მმართველობის პერიოდში საბავშვო ჟურნალში „ბოცოს და გვანცას“ ისტორიები იბეჭდებოდა. ეს იყო ერთგვარი პირველი ქართული კომიქსი და მისი გმირები, ბოცო და გვანცა, პატარებში ძალიან პოპულარულები იყვნენ.**

პოპულარობის რა გითხრათ, მაგრამ არანაკლებ კომიქსური იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9 წელიწადი და, რაც მთავარია, ბოცო მათაც ჰყავდათ ბოცო (ნუგზარ) წიკლაურის სახით. **მთავარი სწორედ ბოცოა, თორემ „ნაცებს“ ისე ჰქონდათ აწყობილი საქმე, გვანცები, „ნაციონალური მოძრაობის“ „მთავარი რედაქტორის“ გემოვნებისამებრ, მოდიოდნენ და მიდიოდნენ.** ჰოდა, სწორედ ბოცომ, ანუ ნუგზარ წიკლაურმა გააკეთა საინტერესო განცხადება და გამოაცხადა: „ჩვენ დავბრუნდებით!“

წყალწაღებული წიკლაურს ეჭიდებოდაო, — ზუსტად ასეა „ნაციონალების“ საქმე. კარგად მოეჭიდეთ, ბატონებო, თორემ იმდენი წყალწაღებული გყავთ, მალე ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩება. ფრაზა „ჩვენ დავბრუნდებით“ წიკლაურმა ისე თქვა, თითქოს მირზა გელოვანის ლექსს კითხულობდა. „მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“... კონკრეტულად ვის თმაზე აქვს აქცენტი ნუგზარს, ვერ გეტყვით, მაგრამ **იმედის ნაპერწკალი, რომლისგანაც შემდეგ ალი უნდა აინთოს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და წიკლაურის გულებში აშკარად კიაფობს და ისე უფრთხილდებიან, როგორც კეზერაშვილის მიერ გადმორიცხულ მილიონებს.** სხვათა შორის, მირზა გელოვანი „ნაციონალებს“ ახლა გაახსენდათ, თორემ მაშინ სულ არ აინტერესებდათ, როცა შავნაბადაზე, ე. წ. კომკავშირულ ქალაქში მდგარი მისი ძეგლი აიღეს და დღემდე არ ამბობენ, რა დამართეს. იმხანად გელოვანი მათთვის საბჭოთა პოეტი იყო და არამარტო მათთვის — შავნაბადაზე მდგომმა თენგიზ კიტოვანის გვარდიამ გელოვანის ძეგლი სამიზნედ გამოიყენა და მასზე სროლაში ივარჯიშა, აქაოდა, მირზა კომუნიზმის ეპოქის პოეტიაო. **კიტოვანმაც, შავ დღეში რომ ჩავარდა, გაიმეორა გელოვანის სიტყვები, მე დავბრუნდებიო, მაგრამ ხელისუფლებაში მისი დაბრუნება არ გამოვიდა. სამაგიეროდ, ქვეყანაში დადის მშვიდად და ესეც დიდი სირცხვილია...**

შავნაბადაზე კომკავშირული ქალაქის მშენებლობა კომკავშირის მაშინდელ პირველ მდივანს, ჟიული შარტავას, დაევალა და მანაც ჩვეული მუყაითობით დაიწყო პროექტის განხორციელება, თითქმის ბოლომდე მიიყვანა, მაგრამ შემდეგ ქვეყანა აირია და ახალგაზრდული ქალაქიც, სახელად „ბორის ძნელაძე“, ჯერ კიტოვანის ხელში აღმოჩნდა, შემდეგ კი სააკაშვილმა მოიწყო იქ ბუდე და, სავარაუდოდ, სწორედ ამ ბუდეში ხდებოდა ყველაზე შავბნელი საქმეები. და ეჭვი, რომ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და რეზონანსული მკვლელობა, რომელიც ჯერ ისევ ძიების პროცესშია, სწორედ შავნაბადაზე განხორციელდა. სხვათა შორის, ჟიული შარტავამ გმირობის მაგალითი აჩვენა და თავი **სამშობლოს სამსხვერპლოზე ისე დადო, წამით არ დაფიქრებულა. ის გმირად აღიარეს, ხოლო მირზა გელოვანი, რომელმაც ასევე სამსხვერპლოზე მიიტანა თავისი სიცოცხლე, „ნაციონალების“ გულებში ისევ საბჭოთა მწერლად რჩება. რჩება მანამ, სანამ მის მიერ დაწერილი საოცარი ლექსები არ დასჭირდებათ ბოცოსა და მის მეგობრებს... სხვათა შორის, გელოვანს ეს სიტყვებიც უწერია: „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები“...**

რამდენად რეალურია „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნება, თავად განსაჯეთ, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს: ახლა საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარდეს, წიკლაური და ძმანი მისნი პარლამენტში ვერ მოხვდებიან. შესაბამისად, განცხადება — „ჩვენ დავბრუნდებით“ — დაახლოებით ისე ისმის, როგორც მიშას მიერ ნათქვამი, თუ საჭირო გახდება უკრაინელ ძმებს გვერდით იარაღითაც კი დავუდგებიო. **როგორ შეუძლია სააკაშვილს ომში გვერდით დოგმა, ყველაზე კარგად საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა იცის, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა გორში ფორთხვით მიატოვა.**

ამ პრეზიდენტით ბოცო და მისი მეგობრები დღემდე ამაყობენ. სამაგიეროდ, გვანცები გაქრნენ ჰორიზონტიდან და ეჭვი მაქვს, კარგა ხანს აღარ გამოჩნდებიან. არ უყვართ გვანცებს დამარცხებულები და არ გვგონია, ისინი ბოცოს დაპირებამ დააბნიოს.

**დავით მინდიაშვილი**





**სააკაშვილით ბოცო და მისი მეგობრები დღემდე ამაყობენ. სამაგიეროდ, გვანცები გაქრნენ ჰორიზონტიდან და ეჭვი მაქვს, კარგა ხანს აღარ გამოჩნდებიან**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ რუსეთი იძულებული გახდება, ყირიმში თავისი ინტერესები დათმოს, შეიძლება მან კავკასიაში თავისი ინტერესები სავაჭროდ გამოიყენოს. როდესაც ასეთი გეოპოლიტიკური ცვლილებები ხდება, იქ ვინ არის მეგობარი, ვინ არის მტერი — ეგ ყველა პირობითი ცნებაა, ყველა თავისი ინტერესის გამყარებას ცდილობს, ამიტომ, რაც უნდა მეგობარი იყოს, თუ დასჭირდა, ძალიან ადვილად შეძლებს, რომ დათმოს ერთი და მიიღოს მეორე; გააჩნია, რომელი უფრო მნიშვნელოვანია მისთვის.“

# ევროპას ერთიანი უკრაინა არ სჭირდება

**უკრაინასთან დაკავშირებით ისევ აზრთა სხვადასხვაობაა, ექსპერტები ცდილობენ სამხედრო მოსაზრებებით, ეკონომიკით, კრიმინალით, კორუფციითა და ფსიქოანალიზითაც კი ახსნან უკრაინის კრიზისი, შედარებით ნაკლებს ლაპარაკობენ გეოპოლიტიკურ რეალობებსა და იმაზე, თუ რამდენად მომგებიანია ზესახელმწიფოებისთვის უკრაინის კრიზისის დროულად და, რაც მთავარია, უმტკივნეულოდ მოგვარება. ამ „კონფლიქტის“ ანატომიის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ დავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ესაუბრა.**





## დავით თევზაძე:

## უკრაინაში, სამოქალაქო ომის შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპა შეიძლება ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს

**— ბატონო დავით, ნათელია, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს რეგიონისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს; ხომ არ აღმოჩნდება ცოტა ხანში მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე? და საერთოდ, თქვენი აზრით, რა მოხდა უკრაინაში, რეალურად რამ გამოიწვია არეულობა და ვინ დგას ამის უკან?**

— დადასტურებით რაიმეს თქმა ძალიან რთულია. იმდენად დიდი ინფორმაცია მოედინება, რომ ამის გადამოწმება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის. გარდა ამისა, ჩვენ არ ვიცით კულუარები, ანუ როგორ მზადდებოდა ეს სიტუაცია, როგორ მოხდა, რომ თითქოს დალაგებული ვითარების ფონზე სულ სხვა პროცესები განვითარდა. მხედველობაში მაქვს ის შეთანხმება, რომელსაც რუსეთმა არ მოაწერა ხელი, ხოლო სამი სხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოაწერა. თუ იაცენუკს უნდოდა პრემიერმინისტრობა, რატომ თქვა უარი ამაზე დაახლოებით ორი თუ სამი კვირის წინ, როდესაც ოფიციალური შეთავაზება მიიღო მოქმედი პრეზიდენტისგან? ამიტომ ვამბობ: პირველი, რაც არ ვიცით, ეს არის კულუარები. ვიმეორებ, ჩვენ არ ვიცით არც რუსული, არც ევროპული და მით უმეტეს, არც ამერიკული კულუარები. ის, რაც ზედაპირზე ჩანს, ძირითადად ხომ ლაპარაკია, ამიტომ დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი. ლაპარაკია, რომ რუსეთმა განახორციელა აგრესია, თუმცა რაში ვლინდება ეს აგრესია, ამის თქმაც სერიოზულად გამიჭირდება. რა როგორ განვითარდება, ესეც მარჩიელობის სფეროა, ამიტომ მირჩევნია, თავი შევიკავო.

**რაც შეეხება გეოპოლიტიკურ გადანაწილებას, ეს ახლა ან 2008 წელს კი არ დაწყებულა, არამედ გაცილებით ადრე დაიწყო, მაშინ, როდესაც სერბეთს ჩამოაჭრეს კოსოვო, რაც იყო ძალიან ცუდი პრეცედენტი და არ ვიცი, ახლა ვინ აიღებს ამაზეს საბოლოო პასუხისმგებლობას, მაგრამ ამან შექმნა პრეცენდენტი და ამის შემდეგ ძნელია ევროპაში ურღვევი საზღვრების არსებობაზე ლაპარაკი.** თუ დავაკვირდებით მოვლენათა შემდგომ განვითარებას, 2008 წელს რუსეთმა შექმნა უკვე პრეცენდენტი იმისა, რომ კავკასიაშიც აღარ არის ურღვევი საზღვრები. მე მესმის ახლა, დიდი და ერთიანი იუგოსლავია ან სერბეთი ევროპისთვის რომ იქნებოდა ზედმეტი ტვირთი, ისევე, როგორც ეჭვი მიჩნდება, რომ დიდი და უშველებელი პოტენციის მქონე უკრაინაც დიდი ტვირთი იქნება. შესაბამისად, **ევროპას, მიუხედავად თავისი ვორდინგისა, მართლაც შეიძლება აძლევდეს ხელს, რომ უკრაინა დაიშალოს. შემთხვევით არ არის, რომ ლაპარაკია ფინეთის ვარიანტზე, თუმცა ძნელი სათქმელია, ზუსტად ეს ვარიანტი რას გულისხმობს.** ამიტომ ნებისმიერი ლაპარაკი, მათ შორის, ომის პროპაგანდა, ნაადრევია. ასევე ნაადრევია ნებისმიერი დასკვნის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს რეალურად უნდა ჰქონდეს წვდომა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც სხვადასხვა საშუალება გვაწვდის, ეს უნდა იყოს საგარეო დაზვერვის უწყება და იმედი მაქვს, რომ მათ მართლაც აქვთ რაღაც სოლიდური იმისთვის, რომ საკუთარ მთავრობას უკარნახონ, რა ნაბიჯები გადადგან, დანარჩენი კი სპეკულაციაა.

**ერთიანი უკრაინა, წესით, ევროპას არ უნდა აძლევდეს ხელს, ისევე, როგორც იუგოსლავია და იუგოსლავიაც დანამცეცდა, მეტიც, სერბეთიც ძალიან დიდი აღმოჩნდა მისთვის და ჩამოაჭრეს კოსოვო, რაც იყო ძალიან ცუდი პრეცენდენტი, რადგან მეორე მსოფლიო ომის მერე შექმნილი უსაფრთხოების არქიტექტურული მოდელით ვცხოვრობთ ამდენ ხანს და სწორედ ეს დაირღვა.**

**— სამხედრო კონფლიქტი ახლა იწყება, უკვე დაწყებულია თუ, უბრალოდ, იარაღს აჟღარუნებენ? ჯარების გადაჯგუფება წავიდა, სამხედრო გემები დატრიალდნენ, რას ნიშნავს ეს?**

— მე მაინც მგონია, რომ ეს არის დიპლომატიური თამაშები ძალის დემონსტრირების ფონზე. ეს ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, მიღებული ხერხია დიპლომატიაში. **მე მაინც იმედი მაქვს, რომ ომი არ დაიწყება, არც სამოქალაქო ომი, იმიტომ, რომ სამოქალაქო ომიც ძალიან მძიმე იქნება ყველასთვის. ეს არის თუნდაც დიდი რაოდენობა ლტოლვილებისა, რომელიც მიაწყდება ევროპას უფრო, ვიდრე რუსეთს. სამოქალაქო ომის შემთხვევაში აღმოსავლეთ ევროპა შეიძლება ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს.** თუ ამან გამოიწვია დიდი სახელმწიფოების ჩართვა, ეს პირდაპირი გზა არის დიდი ევროპული ომისკენ, რომელსაც, არა მგონია, ვინმე აჰყვეს ევროპაში. ასე რომ, რაღაც მომენტში გამოსავალი მოინახება სიტუაციის დასარეგულირებლად. საქმე დიდ ომამდე არ მივა, უბრალოდ, თუ რუსეთს მართლა ჰყავს იქ დამატებითი კონტინგენტი, შეიძლება გაიყვანოს, მაგრამ რაღაცის სანაცვლოდ. აი, ასეთი ვაჭრობა მიდის ხოლმე დიდ ქვეყნებს შორის და ამას რაღაცნაირად მოახერხებენ. თუ რუსეთი შევა იმ საბაბით, რომ ყირიმში მოსახლეობის 60% რუსია, ანუ აქ კოსოვოს სიტუაცია უფრო იქნება, ვიდრე, ვთქვათ, ცხინვალის და აფხაზეთის. მართლა არ მინდა ჩაღრმავება, რადგან ვერასდროს გამოიცნობ რეალურად რა როგორ შეიძლება განვითარდეს. **მიუხედავად იმ ვორდინგისა, რომელიც დასავლეთის ლიდერებმა რუსეთის მიმართ იხმარეს (არაადეკვატური და ა.შ.), ისინი მაინც იძულებულნი იქნებიან, ვაჭრობა დაიწყონ რუსეთთან, სანამ იქ გასროლამდე მივა საქმე, ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ დასავლეთი სამხედრო დაპირისპირებას თავს აარიდებს.** აი, ასეთი სიტუაციაა.

**«ფაქტია, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები ჩვენი კონტინგენტის აფრიკაში ყოფნას არ მოითხოვს... როცა ცენტრალურ აფრიკაში აგზავნი თურქეთზე მეტ ჯარისკაცს, ეს არის, მაპატიეთ და, სიბრიყვე»**

**— როგორ აისახება უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოზე?**

— ჩვენზე ძალიან მძიმედ აისახება, ორივე სცენარის შემთხვევაში. ჯერ ერთი, ეკონომიკურად, არ მგონია, უკრაინამ შეძლოს იმავე დონის პარტნიორობა გაგვიწიოს, როგორც აქამდე. შეიძლება მოხდეს ისე, რომ რუსეთს გაუჩნდეს მეტი მოტოვაცია საზღვრების გაძლიერებისა სამხრეთ კავკასიაში. არ ვიტყვი, რომ ეს ერთადერთი პერსპექტივაა, მაგრამ ესეც ბურუსითაა მოცული, მეტიც, **თუ რუსეთი იძულებული გახდება, ყირიმში თავისი ინტერესები დათმოს, შეიძლება მან კავკასიაში თავისი ინტერესები სავაჭროდ გამოიყენოს. როდესაც ასეთი გეოპოლიტიკური ცვლილებები ხდება, იქ ვინ არის მეგობარი, ვინ არის მტერი — ეგ ყველა პირობითი ცნებაა, ყველა თავისი ინტერესის გამყარებას ცდილობს, ამიტომ, რაც უნდა მეგობარი იყოს, თუ დასჭირდა, ძალიან ადვილად შეძლებს, რომ დათმოს ერთი და მიიღოს მეორე; გააჩნია, რომელი უფრო მნიშვნელოვანია მისთვის.** ყირიმი ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ყირიმს შეუძლია აზოვის ზღვაში ჩაკეტოს რუსული ფლოტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხმელთაშუა ზღვაზე ნებისმიერი გასასვლელი რუსეთისთვის აღმოჩნდება ჩაკეტილი. ამ მხრივ ყირიმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი, იგივე ფოთი, იგივე ბათუმი. ვაჭრობის თემა ესეც შეიძლება იყოს. მოკლედ, რა თამაში მიდის და ვინ დარჩება მოგებული, რთული სათქმელია.

**— საზოგადოებას აინტერესებს, ქართველმა სამხედროებმა უნდა იომონ თუ არა აფრიკაში. როგორ აფასებთ თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებას, რას მისცემს ეს საქართველოს, ავღანეთში მონაწილეობამ მისცა რაიმე?**

— საერთოდ სამხედრო ძალების გამოყენება არის პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი. არ შემიძლია იმის თქმა, რომ ავღანეთმა არაფერი მოგვცა, პირადად მე ვიყავი ერთ-ერთი პიონერი, რომელიც ცდილობდა, ქართველი სამხედროები გამოჩენილიყვნენ საერთაშორისო მისიებში. ჯერ ერთი, საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის კარგია, რომ ჩნდები მაგიდასთან და წარმოადგენ დროშას. მეორე, შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩნდება რწმენა, რომ შენი სამხედრო ძალები ვარგისია; გარდა ამისა, პარტნიორებს უყალიბდებათ წარმოდგენა, რა შეუძლია საქართველოს ამ მხრივ.

**სამხედრო ძალების გამოყენების პოლიტიკური მიზანშეწონილობა იზომება რამდენიმე პარამეტრით, ერთ-ერთი ძირითადია უაინბერგერის დოქტრინა: გამოიყენო შენი ძალები მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შენი ან შენი მოკავშირეების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ამას. ფაქტია, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები ჩვენი კონტინგენტის აფრიკაში ყოფნას არ მოითხოვს. მოკავშირეები ჩვენ არ გვყავს, ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მოკავშირე არ ჰყავს. რასაც შეიძლება მოკავშირე ეწოდოს, ასეთი იყო უკრაინა ჩვენთვის, მაგრამ ხომ ხედავთ, რა დღეშია?!** რაც შეეხება ჩვენს პოტენციურ მოკავშირეებს, პარტნიორებს, ასე ვთქვათ, თუ მათთვის ამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მალიში სამხედრო ყოფნა, მაშინ გაუგებარია, რატომ არის ის კონტინგენტი ისეთი მცირე. ამიტომ ეგეც საეჭვოა. როდესაც ორი ასეთი საეჭვო მომენტი დგება სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებით, სჯობს, რომ სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავი შევიკავოთ. მეორე, ახლა შენ როცა ცენტრალურ აფრიკაში აგზავნი თურქეთზე მეტ ჯარისკაცს, ეს არის, მაპატიეთ და, სიბრიყვე. მე არ მეშინია ამ სიტყვის.

**— თავდაცვის მინისტრმა ეს არ იცის?**

— არ ვიცი, ვინ იცის ამის შესახებ, თავდაცვის მინისტრმა შეიძლება ეს არ იცოდეს (მას ეს არ ეხება, ის სამოქალაქო პირია და არც სამხედრო განათლება ჰქონია), მაგრამ მას ჰყავს გენერალური შტაბი, რომელმაც უნდა უთხრას, რომ ერთი ოფიცრის გაგზავნა ასეთ შემთხვევაში არის სავსებით საკმარისი. **თუ პოლიტიკური მიზანშეწონილებაა, რომ შენ იქ ჩანდე, მაშინ საკმარისია, მაგიდაზე იდოს დროშა და ქართული წარმომადგენლობა იჯდეს იმ მაგიდასთან და არა ის, რომ თურქეთზე დიდი კონტინგენტით იყო წარმოდგენილი. ამიტომ მე ვთვლი, რომ ასეთ გადაწყვეტილებას უნდა ახლდეს საერთო ეროვნული თანხმობა.**

რაც შეეხება მოვლენებს, რომელთა წინაშეც ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ძალიან ახლო მომავალში (გააჩნია, უკრაინაში რა როგორ განვითარდება), ჩვენი შეიარაღებული ძალები შეიძლება აქ უფრო მეტად საჭირო აღმოჩნდეს ჩვენთვის, ვიდრე ცენტრალურ აფრიკაში. ამ ფონზე, როდესაც ასეთი მწირი სამხედრო შესაძლებლობები გაქვს, ადამიანების ასე დაფანტვა არ მიმაჩნია სწორად. ეს არის ჩემი შეხედულება და, ვისაც უნდა, დამემდუროს, ვისაც უნდა, მადლობა მითხრას. მე უნდა ვიცოდე, რომ დიდუბესთან ღობეს არავინ მოიტანს, მაგრამ მე ეს არ ვიცი; ამ დროს კი მალისა და ავღანეთში ვამყარებ წესრიგს, აქ ვინ დამიმყარებს წესრიგს?!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„ყველა პროექტს თავის ავტორი და დამფინანსებელი ჰყავს, მაგრამ შემსრულებლის ძებნა ისეთ ქვეყანაში, რომელიც მშიერია, ძალიან იოლია. უკრაინა ასეთი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება. კორუფციამ შეჭამა ყველაფერი. ოლიგარქებმა გადაჭამეს ქვეყანა. ოლიგარქობა ზოგს კარგი ჰგონია, მაგრამ ასე არ არის, პირველი მილიონი საიდან მოდის, უნდა გაარკვიო, ძირში უნდა ჩაჰყვე“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჯუმბერ პატიაშვილი:

# არავის უნდა ქვეყანა, რომლის თავკაციც არატრადიციული ორიენტაციის იქნება

**მთელი მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ არის მიმართული, პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები ფრთხილად, მაგრამ მაინც მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე საუბრობენ.**

**მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს არც საქართველო ჩამორჩება, საკმაოდ ხმამაღალ განცხადებებსაც აკეთებს და უკრაინის დროებით მთავრობასთანაც ხშირ სატელეფონო საუბრებს აწარმოებს. საოცარია, მაგრამ ამ ორომტრიალში ქართველი თუ უცხოელი პოლიტიკოსები საქართველოს ძალიან ხშირად ახსენებენ.**

**რა ვითარებაა უკრაინაში? ვდგავართ თუ არა მესამე მსოფლიო ომის საშიშროების წინაშე და რა აკავშირებს საქართველოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ჯუმბერ პატიაშვილი ესაუბრა.**

— უკრაინაში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, რაც ფარულ, მალულ მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. უკრაინაში როდესაც დაპირისპირება დაიწყო, მაშინვე ვთქვი, რომ ეს ასე უბრალოდ არ დასრულდებოდა. ეს არის პროექტი.

**უცხო ძალებისთვის ანტისახელმწიფოებრივი შეკვეთის შემსრულებელი მეხუთე კოლონის პოვნა ისეთ ქვეყანაში, რომელიც მშიერია, ძალიან იოლია, უკრაინა ასეთი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება. კორუფციამ შეჭამა ყველაფერი. ოლიგარქებმა გადაჭამეს ქვეყანა.** ოლიგარქობა ზოგს კარგი ჰგონია, მაგრამ ასე არ არის, პირველი მილიონი საიდან მოდის, უნდა გაარკვიო, ძირში უნდა ჩაჰყვე. **უკრაინაში ეს ამბავი შემთხვევით არ მომხდარა, აქ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაა.** იანუკოვიჩი როგორ აირჩიეს, მაგის მომსწრეებიც ვართ, საქართველოდან ამ არჩევნებს 2 ათასი დამკვირვებელი ესწრებოდა. ახლა ამბობენ, რომ ეს სიები უნდა გამოითხოვონ და გაარკვიონ, საქართველოდან ვინ იყო ჩასული...

თავი და თავი ამ დაპირისპირებისა რუსეთთან დავაა, ხომ **ნახეთ, სირიაში რა მოხდა? სწრაფად აღიკვეთა მოქმედებები, ძალიან ბევრი ხალხი კი დაიღუპა, მაგრამ გეგმაში იყო, რომ ეს გაგრძელებულიყო.** საუბარია ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე, მაგრამ უკრაინაში პროცესების ასეთ განვითარებას მაინც არავინ ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ ევრომაიდანზე სასტიკი დაპირისპირების ნიშნები იკვეთებოდა.

**— ბატონო ჯუმბერ, რატომ ახსენებენ ასე ხშირად ამ ომში საქართველოს? საშიშროება რაში გამოიხატება?**

— უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოსთვისაც ძალიან მძიმეა. ორივე ქვეყანა ჩვენი მეგობარია, პოლიტიკოსები, რომლებიც უკრაინას მეგობარს უწოდებენ და რუსეთს მტერს, დიდ შეცდომას უშვებენ, ისინი ჩვენი მეგობრები და მეზობლები არიან. ვფიქრობ და მეშინია, რომ იქ დატრიალებული ამბები ჩვენზეც ცუდად აისახება.

**— რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ ჩვენზეც ცუდად აისახება?**

— ყველა ადამიანს აქვს მიზანი, მიზანი აქვს სახელმწიფოსაც. ჩვენი ყველაზე დიდი მიზანი და პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, ეს პროცესი ყველა ადამიანს სხვადასხვაგვარად ესმის, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს ის მიზანი, რომლისთვისაც თითოეულმა ქართველმა უნდა იცხოვროს. საქართველო სოხუმის გარეშე დღემდე ვერ წარმომიდგენია. ეს ჩვენი ტრაგედიაა. ამ დრომდე მხოლოდ ერთი მხარის დანაშაულს ვხედავთ, თან **რამდენი პროტესტიც არ უნდა გამოვხატოთ, არაფერი შეიცვლება არც საქართველოში და მითუმეტეს — უკრაინაში. ასე ვინც ფიქრობს, ცდება. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაპირისპირება ცუდია, თან იმ ქვეყნებს შორის, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის ბედი, ჩვენი ხვალინდელი დღე ბევრად არის დამოკიდებული. თუ ჭკუას არ მოვუხმეთ, არეულობა აუცილებლად ჩვენკენაც რაღაც დოზით გადმოიწევს და ის პატარა იმედი, რომელიც გაჩნდა, ჩაკვდება.**

ყველა მოქმედებას შედეგი მოჰყვება, ამაზე თითოეული ჩვენგანი უნდა დაფიქრდეს. რაღაცას რომ აპროტესტებ, იმაზე უნდა იფიქრო, რა შედეგს მოგიტანს. **ჩვენს ქვეყანაში არიან პოლიტიკოსები, რომელთაც ბრიუსელი და ვაშინგტონი უნახავთ, მაგრამ საქართველოს არ იცნობენ.**

სამწუხაროა, რომ საქართველო იკარგება ისეთი ადამიანების დისკუსიებში, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ. **ევროპულ ფასეულობაზე ლაპარაკობენ და არც კი იციან, რომ ფასეულობას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ევროპა ნატრობს.**

**თუ ვინმე ფიქრობს, რომ ხელშეკრულების პარაფირებით რაიმე დიდი და განსაკუთრებული მოხდა, ცდება, ან მაპ-ის მიღებით თუ რამე შეიცვლება.**

ჩამოვიდა რასმუსენი 27 მინისტრთან ერთად, დაისვენა, ჭკუა გვასწავლა, ჩვენც მოვუსმინეთ და წავიდა. გასაკვირია პირადაპირ, საქართველოში აღარ უსმენენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც მართლა ჭკუა მოეკითხებათ, სიმართლეს ამბობენ, ფაქტებით საუბრობენ და უსმენენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც ქართული არაფერი აინტერესებთ, არ აინტერესებთ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება, ჩვენი მიწა-წყალი. გაფეტიშება ვიცით ყველაფრის. ამ გაფეტიშებას ამერიკაში ვიზიტსაც მოვაყოლებ. სიამაყით ვუყურებდი, მაგრამ ახლა იმას ვნერვიულობ, თუ როგორ გაარძელებს იქიდან დაბრუნებული ქვეყნის ხელისუფალი მუშაობას საკუთარ ქვეყანაში.

**რა ინტერესი აქვს ამერიკას ჩვენი ქვეყნის მიმართ, ეს ყველამ კარგად ვიცით. ცუდი სათქმელია, სიტყვაც არ მომწონს, მაგრამ რუსეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირების პოლიგონი ვართ, ეს უნდა გვახსოვდეს და დიდი ყურადღებაც უნდა მივაქციოთ.**

**— ბატონო ჯუმბერ, პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ევრომაიდანი არ ემუქრება, რადგან ქართველი ერი ერთსულოვანია და ჩვენ ევროატლანტიკურ სივრცეში გასაწევრიანებლად ხელს არაფერი გვიშლისო. მას არ უხსენებია აფხაზი ხალხი, არც ოსი; არ უთქვამს, რა უნდა ამ ხალხს. ასე არ მოხდა უკრაინაშიც, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს არავინ ჰკითხა, რა უნდოდა?**

— აპელირება იმით, რომ რეფერენდუმმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩატარდა, დაადასტურა ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი, უბრალოდ, წარმოუდგენელია, რადგან **მაშინდელ არჩევნებს თუ გაყალბებულს ვუწოდებთ, მაშინ რატომ გვგონია, რომ რეფერენდუმი იყო სამართლიანი? არავის უკითხავს ოსი და აფხაზი ხალხისთვის, რა სურთ. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც იცოდა, ხმას რას აძლევდა.** არ შეიძლება, გაურკვეველი წარმოშობისა და ლობის ქვეშ მყოფმა ადამიანებმა ჭკუა დაგვარიგონ და გვითხრან, რა არის ქვეყნისთვის საჭირო. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა არის საქართველოს ნომერ პირველი პრობლემა. **თუ ნატო იძლევა გარანტიას, რომ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს, იმავეს ვიტყვი ევროკავშირზეც, მაშინ ყველანი თანახმანი ვიქნებით, რომ ამ კოალიციებში გავერთიანდეთ, მაგრამ ვინმე მეტყვის დაზუსტებით, რომ ეს ასე იქნება?**

რუსეთმა გვითხრა, რომ აფხაზებმა, ოსებმა და ქართველებმა ერთმანეთში მოილაპარაკეთო, მაგრამ ეს ვინმემ დაიჯერა? ჩვენ რუსეთის კეთილგანწყობის გარეშე ვერაფერს გავხდებით.

საქმე ისაა, რომ მე ყველა პოლიტიკოსს, რომლებიც ამინდს ქმნიან, ვიცნობ, ყველა მათგანის წარმოშობა და განვლილი გზა ვიცი, ძალიან ძნელია მათი მოსმენა და დამამცირებელიც. თავმოყვარეობისა და ღირსების გარეშე საუბრობენ, თავმოყვარეობადაკარგული ადამიანი საშიშია. არადა, ეს ადამიანები იტყვიან და შენ გაიძულებენ, კიდეც დაიჯერო და შეკითხვებიც არ დასვა.

**ევროკავშირი და ნატო რასაც ჩვენგან ითხოვენ, იმის შესრულება ძალიან ძნელი იქნება ქართველებისთვის.**

**— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება საქართველოში? ჩვენ შემოგვთავაზებენ იმას, რაც მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის მიუღებელია... გამოვა ქუჩაში ხალხი ამ მიზეზით?**

— ასეთ საშიშროებას ჯერ ვერ ვხედავ, მაგრამ თუ ისე მოხდა, როგორც უკრაინაში, სადაც მართლაც ფაშისტური ნიშნები შეიმჩნეოდა, პროგნოზის გაკეთება ძნელი იქნება. **უკრაინელებს რუსულად ლაპარაკი აუკრძალეს. ეს მიუღებელია, ამას ვინც ტაშს დაუკრავს, ის, არ ვიცი, როგორ აზროვნებს. თუ აქაც ასეთ მეთოდებს გამოიყენებენ, ვფიქრობ, დაპირისპირებას ვერ გადავურჩებით.**

საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები და არის კუთხეები, რომელთაც ჩვენთან ერთად ცხოვრება სურთ, მაგრამ არ უნდათ საკუთარ ოჯახებში ევროპული პრინციპების გატარება. **ამბობენ, რომ უკრაინის პრემიერ-მინისტრი საეჭვო ორიენტაციის არისო. არავის უნდა ქვეყანა, რომლის თავკაციც არატრადიციულ ორიენტაციისა იქნება. არავის უნდა დასავლური ღირებულება იმ სახით, როგორსაც ჩვენ გვთავაზობენ.** არავის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად, შეუძლებელია საკუთარ მოქალაქეებზე მეტად ვინმემ იცოდეს, რა სურს ქვეყანას.

დაბოლოს, აქედან იმის ძახილი, რომ უკრაინელ ხალხს მხარს ვუჭერთ, არაფერში გამოგვადგება, რუსეთთან ურთიერთობას კიდევ უფრო გავაფუჭებთ, მატარებელი დაიძრა და ახლა ისეთ ვითარებაში ვართ, რომ არც მას სცალია ჩვენთვის და არც ჩვენ ვიჩენთ სურვილს. არ უნდათ თავდაჯერებული გამომეტყველებით ხმამაღალი განცხადებების გაკეთება. ნუ თავხედობენ, ნუ უზრდელობენ და ჭკუას ნუ გვასწავლიან.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

> **«ევროკავშირი და ნატო რასაც ჩვენგან ითხოვენ, იმის შესრულება ძალიან ძნელი იქნება ქართველებისთვის»**

> **«უკრაინაში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, რაც ფარულ, მალულ მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. უკრაინაში როდესაც დაპირისპირება დაიწყო, მაშინვე ვთქვი, რომ ეს ასე უბრალოდ არ დასრულდებოდა. ეს არის პროექტი»**

## რა თანხას იღებს მიხეილ სააკაშვილი ერთ ლექციაში

**პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი უკრაინელ სტუდენტებს შეხვდა და მათ ლექციებში აღებულ თანხასა და თავის ქონებაზე ესაუბრა.**

„ერთ ლექციაში ვიღებ უფრო მეტს, ვიდრე პრეზიდენტობისას მთელი თვის განმავლობაში,“ — განუცხადა მან უკრაინელ სტუდენტებს.

ექსპრეზიდენტმა საკუთარ ქონებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის დასრულების შემდეგ 5 ჰექტარზე გაშენებული ვენახი და 90 კვ მ ფართობის სახლი დარჩა.

**„მე დავასრულე ჩემი საპრეზიდენტო ვადა და დამრჩა 5 ჰექტარზე გაშენებული ვენახი, სახლი — 90 კვ. მ და მეტი არაფერი... მქონდა რამდენიმე ათასი, თავისი ჰონორარებით, რომლითაც შეერთებულ შტატებში ცხოვრება დავიწყე. ახლა ვკითხულობ ლექციებს და ერთ ლექციაში ვიღებ უფრო მეტს, ვიდრე პრეზიდენტობისას მთელი თვის განმავლობაში, თუმცა აქ უფასოდ გამოვდივარ“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველაზე რთული პროცესი არის აღმოსავლეთ უკრაინის, უფრო კი ყირიმის, მოვლენები. მე ვხედავ, რომ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება თვითონვე უბიძგებს აქეთ, მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ახალმა ხელისუფლებამ პირველი კანონი მიიღო რუსული ენის რეგიონული სტატუსის შეცვლის შესახებ. რაში სჭირდებოდათ ეს, გაუგებარია; აშკარად იქით იწვევენ რუსეთს, რომ ჩაითრიონ კრიზისში.“

# ჩვენ ვყიდით ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლეს და სანაცვლოდ ვიღებთ გაურკვეველ, ეფემერულ დაპირებებს



ვალერი ხაბურძანია:

## ამიხსენით, რა სახელმწიფოებრივი ინტერესი გააჩნია საქართველოს აფრიკაში? რის დასაცავად უნდა ვიბრძოლოთ იქ?

**მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება, ეს ერთი კვირაა, იწყება და მთავრდება მაიდნით. რა არის ეს — ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, მსოფლიოს გადანაწილება თუ დასავლეთის მორიგი ხუშტური? ხომ არ უნდა ველოდოთ საქართველოში მსგავს პროვოკაციას? ამ კითხვებზე „საქართველო და მსოფლიოს“ უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ესაუბრა.**

— ევროინტეგრაცია იყო უკრაინის კრიზისის მხოლოდ საბაბი, მთავარი მიზეზი იანუკოვიჩის ნახევრადკრიმინალური ხელისუფლება იყო, კრიმინალური იმ თვალსაზრისით, რომ შიდა პოლიტიკურ და შიდა ეკონომიკურ პროცესებში ხშირად გადიოდა კანონიერების ჩარჩოდან. ჩამოყალიბდა ოჯახური კლანი, ქურდული დაჯგუფებები მუშაობდნენ ეკონომიკაში და ბევრი რამ მიითვისეს, ისინი თავისი მოქმედების ლოგიკით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ტიმოშენკოს ხელისუფლებას. ამან, რა თქმა უნდა, საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ პროცესს მოერგო რადიკალთა ჯგუფი, რომელსაც უკვე შეეძლო ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირება ხელისუფლებასთან. იანუკოვიჩი მიხვდა, რომ ვერ შეძლებდა ეფექტურად წინააღმდეგობის გაწევას, მისი ხელისუფლება გაკოტრებული იყო როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

უკრაინაში, ფაქტობრივად, კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გავიდა პროცესები, ცნობილი გამოთქმის არ იყოს, ჯერ არ ვიცი, ნაძირლების რომელი ჯგუფი ისარგებლებს ამ რევოლუციის შედეგებით, თუმცა ნაძირალები რომ იქნებიან, ეს ზუსტად ვიცი. ვნახოთ, როგორ იქნება საქმე, **ყველაზე რთული პროცესი არის აღმოსავლეთ უკრაინის, უფრო კი ყირიმის, მოვლენები. მე ვხედავ, რომ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება თვითონვე უბიძგებს აქეთ, მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ახალმა მოსულმა ხელისუფლებამ პირველი კანონი მიიღო რუსული ენის რეგიონული სტატუსის შეცვლის შესახებ. რაში სჭირდებოდათ ეს, გაუგებარია; აშკარად იქით იწვევენ რუსეთს, რომ ჩაითრიონ კრიზისში.**

**— რა ფორმით ჩაერევა რუსეთი? იმიტომ ხომ არა, რომ რუსულენოვან მოსახლეობას შეუნარჩუნოს რუსულად ერთმანეთთან ლაპარაკის უფლება?**

— რუსეთუმეობაში ნუ ჩამომართმევთ, ჩემი წყაროებიდან (რა თქმა უნდა, საიდუმლო წყაროებთან შეხება არ მაქვს) ვიცოდი, რომ რუსეთი არ აპირებდა ჩარევას. იანუკოვიჩმაც დაადასტურა ეს იმით, რომ აქტიურობას ითხოვდა პუტინისგან. ეს აჟიოტაჟი საქართველოში ყალბად შექმნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. სამწუხაროდ, მსოფლიოში მხარს უჭერენ ამ აჟიოტაჟს და გასაგებიცაა რატომ. თითქოს რუსეთი არის ამ ყველაფრის ავან-ჩვანი და ევრომაიდანი ეს იყო რუსეთთან ბრძოლა. არ იყო ეს ასე, ნამდვილად არ იყო, ისევე, როგორც ასეთი რამ არ იყო საქართველოში. რუსეთი იძულებული გახდა, რომ რაღაც ზომა მიეღო თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად.

**— საქართველოში სხვადასხვა რევოლუციების შედეგად ის მივიღეთ, რომ აშშ-ის დასმული ადამიანები ჩვენს ქვეყანას ძარცვავენ ხან პრივატიზაციის, ხან სხვა ნიღაბს ამოფარებულნი...**

— დისკუსიების დროს, როცა კედელთან მიაყენებ მოწინააღმდეგეს, თუ ესმის არგუმენტები და თუ თვითონაც გააჩნია, ძირითად და საბოლოო არგუმენტად მოჰყავს ის რეალობა, რომ ამერიკის წინაშე ქედის მოხრა მირჩევნია რუსეთის წინაშე ქედის მოხრას, იმიტომ, რომ დემოკრატიული ქვეყანააო. თურმე დემოკრატიულობა განისაზღვრება იმით, რომ ამერიკა არის ზესახელმწიფო და რუსეთზე უკეთ ცხოვრობს. აი, ეს არის მათი მთავარი კრიტერიუმი.

**— ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ აშშ მანკიერების, გეებისა და ათასი ბიწიერების ქვეყანაა?..**

— ესაა ლიბერალიზმი. ამერიკამ ამ თვალსაზრისით ძალიან მიუშვა და ამერიკას არ აქვს ის, რაც გააჩნია ეთნიკურ სახელმწიფოებს, ანუ მთავარი საფუძველი. **ამერიკა არის მოდელი მომავალი ცუდი მსოფლიოსი, სადაც მოხდება ერების გათქვეფა. მათ არ აქვთ ეთნიკური საფუძველი და იდეა, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდება იდეა. აქედან გამომდინარე, ამერიკა ეძებს იდეებს და, სამწუხაროდ, მიადგა ამ იდეას, რომელსაც ჰქვია ჰომოფილია ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ.** ეს გულისხმობს იმას, რომ უზნეო ადამიანები საზოგადოებას უკვე თავს ახვევენ საკუთარი ცხოვრების წესს. ამაყები არიან უკვე იმით, რომ ისინი არიან ,,თავისუფალი ადამიანები“, არიან ლგბტ საზოგადოების წევრები და ამის ცირკის დონეზე დემონსტრირებას ახდენენ. რა ესთეტიკურია რაღაც ფალოსის ფიტულების ტარება და შიშველი მამაკაცების ტინგიცი, ერთი ამიხსნან და რატომ უნდა ხდებოდეს ამის დემონსტრირება? მე ეს არ მესმის...

რაც შეეხება მათ, ვისაც გენეტიკურად და ჰორმონალურად აქვთ პრობლემები, მათი მესმის, მაგრამ ამ ადამიანებმა თავიანთი ზნეობრივი მუხრუჭი უფრო წინ უნდა დააყენონ და ის, რომ შენ, ვთქვათ, გენეტიკურად და ჰორმონალურად ასეთი ხარ, უნდა იმკურნალო, თუ ეს არ გამოდის, მაშინ პირად ცხოვრებას ნუ გახდი ღიას და ნუ მომახვევ თავს მე — საზოგადოებას.

ისევ უკრაინის თემას რომ დავუბრუნდეთ, დღეს იქ, სამწუხაროდ, ავანტურისტების ეპოქა დადგა. ნებისმიერ რევოლუციას მოჰყვება ეს. ასეთი პროცესები საქართველოშიც იყო, რევოლუციით რომ ავანტურისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხომ ვნახეთ.

**— როგორ აისახება საქართველოზე უკრაინაში განვითარებული მოვლენები?**

— ვინც პოლიტიკაში ოდნავ მაინც ერკვევა, მისთვის მარტივი ლოგიკაა: დავუშვათ, რუსეთში ყველა ამბობს, რომ რუსეთის ხელი ურევია თავიდან ბოლომდე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში. თუ რუსეთი ამ პროცესებში ერევა და აქტიურია, როგორც მას მიაწერენ, მაშინ ელემენტარულად არ სცალია საქართველოსთვის. არ აქვს რუსეთს ამდენი რესურსი, რუსეთს კი არა ამერიკას არ აქვს დღეს ამდენი რესურსი, მთელ მსოფლიოს მოედოს. **თუ რაღაც მოხდება საქართველოში, ეს იქნება აბსოლუტურად შიდა პროცესები და ეს იქნება საქართველოში არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო ძალების მიერ უკრაინული პროცესების გამოყენების მცდელობა. ასეთებად მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალები“ უნდა მოვიაზროთ და ასეთი საშუალებები მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალებს“ გააჩნიათ,** ანუ მათ შეიძლება შიდა პროცესები გაართულონ, ვერანაირად ვერ გაართულებს რუსეთი შიდა პროცესებს. **„ნაცები“ თუ უკრაინული სცენარის მაგვარ მომენტებს შექმნიან საქართველოში, ამით გამოიწვევენ მათ მიმართ უფრო დიდ აგრესიას და ეს იქნება „ნაცების“ არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური დასასრულიც.** იტყვიან, ემუქრებაო, მე მათ არ ვემუქრები, რეალურ სურათს ვუხატავ. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობას, ეს გამოიწვევს არა მარტო მათ პოლიტიკურ, არამედ ფიზიკურ გაქრობას.

**— სერიოზული კამპანიაა აფრიკაში მოსალოდნელ სამხედრო მისიასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ქართველი სამხედროები იომებენ აფრიკაშიც თუ ეს მისია უჩვენოდ ჩაივლის? როგორ აფასებთ ამ ფაქტს, უნდა მივიღოთ თუ არა მონაწილეობა? ავღანეთის მისიამ რა მისცა საქართველოს? — ერთადერთი ის, რომ ათობით კუბო ჩამოიტანეს ავღანეთიდან. არის რაიმე გარანტია, რომ აფრიკაში ჩასვლა მოგვცემს რაიმე სასიკეთოს?**

— ამ თემაზე არ გამიკეთებია განცხადება, რადგან იტყოდნენ, რომ კრემლის დავალებას ასრულებსო და არ უნდა ჩვენი ევროინტეგრაციაო. ვფიქრობ, რომ აფრიკაში არაფერი გვესაქმება. იყო ასეთი დიდი ქართველი — ნიკო ბური, რომელიც წავიდა აფრიკაში და იბრძოდა, მაგრამ ეს იყო პიროვნება, ქართველი კაცი, პატრიოტი, რომელმაც თავად გადაწყვიტა იქ წასვლა. **ამიხსენით, რა სახელმწიფოებრივი ინტერესი გააჩნია საქართველოს აფრიკაში ან რის დასაცავად უნდა ვიბრძოლოთ იქ? ელემენტარულად ჩვენ გვიყენებენ, როგორც საზარბაზნე ხორცს. პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ ვყიდით ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლეს და ვიღებთ გაურკვეველ რაღაც ეფემერულ პოლიტიკურ დივიდენდებს**. მე ნამდვილად ვერ მივესალმები თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას. ვთვლი, რომ ასეთი საკითხები რეფერენდუმით უნდა წყდებოდეს, ხალხი უნდა წყვეტდეს ამ საკითხს, თორემ მერე, ღმერთმა ნუ ქნას და, როდესაც მიცვალებულების ჩამოსვენებას დაიწყებთ, ეს თეატრალიზებული მწუხარების გამოთქმა, დაკრძალვები, შეშფოთებები და დასაცავიდან თანდგომები არავის არაფერში სჭირდება; იმ კონკრეტულ მშობელს კონკრეტულ შვილს ვერავინ გაუცოცხლებს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

## ID ბარათის ალტერნატიული დოკუმენტის შექმნა — «მომავლის თემა»

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ გამორიცხავს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობების ალტერნატიული დოკუმენტის შექმნა „მომავლის თემა“ გახდეს.**

„ამ ეტაპზე ეს განხილვის საგანი არ არის, მაგრამ, თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ გამოსავალი უნდა მოიძებნოს, ეს შეიძლება იყოს მომავლის თემა“, — განაცხადა წულუკიანმა „ტელეიმედის“ გადაცემა „რეაქციაში“ წამყვანის შეკითხვის კომენტირებისას, არის თუ არა შესაძლებელი, ხელისუფლებამ ელექტრონული პირადობის მოწმობის წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეებისთვის ალტერნატიული ბარათის შექმნაზე იფიქროს.

ამასთანავე, იუსტიციის მინისტრის განმარტებით, ID ბარათი ბიომეტრიული სიის შესაქმნელად აუცილებელია. „კოალიციაში შემავალი ყველა პარტია ერთსულოვანია იმ საკითხში, რომ შედგეს ბიომეტრიული საარჩევნო სია და ერთხელ და სამუდამოდ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედოს არჩევნების გაყალბება და არ მოხდეს ის, რაც მოხდა 2008 წლის იანვარში. ბიომეტრიული სიისთვის ელექტრონული პირადობის მოწმობა აუცილებელია“, — აღნიშნა მინისტრმა.



**„მთავარი ის კი არაა, მარგველაშვილი ან ხელისუფლების რომელიმე სხვა მაღალი თანამდებობის პირი რა განცხადებას გააკეთებს, არამედ გადამწყვეტია, ოკეანის გაღმა რას იტყვიან, რას ინებებენ. ვერ ხედავთ, რა ხდება? ერთი მხრივ, გეუბნებიან, მოაგვარე ურთიერთობა რუსეთთანო და მეორე მხრივ, ნატოსკენ გვექაჩებიან. ახლა რანაირად მოვაგვარო ეს ურთიერთობა, როცა ყურით მიმათრევ აქეთ?“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ამერიკამ «ნაცისტების» ბუნდოვანისგან დაწნული თოკი «ოცნებას» ლაგამად ამოსდო

**სამართლიანობის აღდგენის პროცესზე, „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებსა და იმ უკმაყოფილების მიზეზებზე, რომლებიც ხალხში ხელისუფლების მიმართ დღითიდღე იზრდება, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**




## უკრაინაში ბენდერი «ნაცისტების» გამარჯვება საქართველოში «ნაცმოძრაობის» წარმატებაა

**— ბატონო გურამ, დაახლოებით სამი თვის წინათ, როცა „საქართველო და მსოფლიომ“ ინტერვიუ ჩამოგართვათ, თქვით, რომ ახალი ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენას ჯერ კიდევ მოთმინებით ელოდებით. დღეს როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურად მოქმედებს მმართველი გუნდი?**

— ხელისუფლების შეცვლიდან ერთი წელი ისე გავიდა, მე კი არა, მთელი საზოგადოება მოლოდინის რეჟიმში იყო. ყველას კარგად გვესმოდა, რომ ის, რაც სააკაშვილმა 9 წლის მანძილზე დაანგრია და გააფუჭა, ერთბაშად ვერ დალაგდებოდა, მაგრამ დღეს უკვე მართლა უხერხულია მოლოდინზე საუბარი. ადრე ვამბობდი, ჩვენი პრემიერი, ღარიბაშვილს ვგულისხმობ, წელს ცხენს შეკაზმავს-მეთქი და რაღაცნაირად იმედიანად ვიყავი. შეკაზმა კიდევაც, შეაგელვა ევროპაში და იქ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამის შემდეგ მან შეკაზმა მერანი, გადაუფრინა ოკეანეს და ამერიკაში ჩავიდა. თითქოს იქაც ყველაფერი კარგად ჩატარდა, მაგრამ იმ შეხვედრაზე ითქვა ასეთი რამ: უნდა ითანამშრომლოთ წინა ხელისუფლებასთანო. აი, ეს იყო ჩემთვის ერთგვარი ცივი შხაპი, რომელმაც იმედები გამიცრუა. **ნამდვილად ვერ წარმომედგინა, ასეთი მნიშვნელოვანი თუ იყო ამერიკელებისთვის „ნაცმოძრაობა“ და ამ დონეზე თუ იქნებოდა მითითება. როგორც ჩანს, მათ ძალიან ეძვირფასებათ ეს ფაშისტები და ვერ თმობენ.**

**— რას ნიშნავდა ობამას მოწოდება „ოპოზიციასთან“ თანამშრომლობის თაობაზე, როგორ ფიქრობთ?**

— ეს არაა იმ ტიპის განცხადება, რომელსაც ანალიზი სჭირდება, ეს არის პირდაპირი მითითება, გნებავთ, მოწოდება ან რჩევა დაარქვით, რომ ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედთან უნდა ითანამშრომლოს, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისა. ამით, ფაქტობრივად, **„ნაცისტების“ ბუნდოვანისგან დაწნული თოკი ლაგამად ამოსდო ამერიკამ კოალიციას.** ასე რომ, აქ ყველაფერი ნათელია. რეალურად ეს ის კონტექსტია, რომელიც უკრაინასთან დაკავშირებით გამოიყენეს ტიმოშენკოს გამო, — კი მან მოიპარა ფული, მაგრამ უნდა გამოუშვათო...

**— თქვენი აზრით, ეს ლაგამი ამუხრუჭებს ხელისუფლებას?**

— კოალიცია ჭრელია, იქ არიან ცალკეული სუბიექტები, რომლებსაც, ამუხრუჭებს კი არა, მართავს ეს ლაგამი, და არიან ძალები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, **ყველა უნდა შეთანხმდეს ერთ რამეში: კაცი, რომელმაც პირდაპირ ორი გვამი მოითხოვა და დანაშაული სახეზეა, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.**

**— ვანო მერაბიშვილს სასამართლომ 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ ეს განაჩენი?**

— ვანო მერაბიშვილი რომ მკვლელია და უამრავი ადამიანის ცოდვა აწევს კისერზე, მთელმა საზოგადოებამ იცის, ამიტომ, ვფიქრობ, სასამართლოს მთლიანობაში უნდა ემოქმედა ისე, რომ შეკითხვები ნაკლებად გაჩენილიყო. მიუხედავად ამისა, ეს შეკითხვები დარჩა და დღეს, ფაქტობრივად, ნიჰილიზმით უყურებს ხალხი მიმდინარე სამართლებრივ პროცესებს. ეს უკვე ფართო საზოგადოებაშიც იგრძნობა. სადაც უნდა მიხვიდეთ, ორი-სამი კაცი რომ შეიკრიბება, ყველგან ამბობენ, რა იმედგაცრუებული და გულგატეხილია მოსახლეობა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს უშუალოდ დაზარალებულ მოქალაქეებსაც. **რა ვუყოთ იმ შვილმკვდარ დედებს, მამებს, ძმებს... ამაზე პროკურატურა რომ ხმას არ იღებს, რა ჰქვია ამას?! მაინცდამაინც შურისძიებაზე უნდა გადავიდნენ ის გაუბედურებული ადამიანები?!**

**— არსებობს იმის საფრთხე, რომ მართლმსაჯულების მოქმედებით თუ უმოქმედობით უკმაყოფილო ადამიანებმა თვითონ დაიწყო სამართლის აღსრულება?**

— საფრთხე კი არ არსებობს, მიკვირს, რომ ეს აქამდე არ ხდება. როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება მართლა ძალიან კანონმორჩილია, თუმცა ზედმეტი არც ეს ვარგა. ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ. ხუმრობა იქით იყოს და, **თუ დამნაშავეები სათითაოდ არ დაისჯებიან, ეს ნაცისტები იმდენს იზამენ, რომ ისევ მოჯდებიან სათავეში. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმაც, ხომ ხედავთ, როგორ გაადიდგულა სააკაშვილი?!**

**— რა აკავშირებს უკრაინის მოვლენებს სააკაშვილთან?**

— ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ ის ევრომაიდანი იმავე გარეძალების მიერ იყო პროვოცირებული, რომლებმაც 2003 წელს „ნაცმოძრაობა“ მოიყვანა საქართველოს ხელისუფლებაში. ეს იგივე თამაშია. ვერ ხედავთ, როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს პროცესები ერთმანეთს?!

**— გამოდის, რომ უკრაინაში ევროინტეგრაციის მომხრეების გამარჯვება ავტომატურად „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს?**

— ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა, **თუკი უკრაინაში ნაციონალისტი ბენდერები საბოლოოდ გაიმარჯვებენ, ამით სააკაშვილს ზურგი მიეცემა.** ლოგიკა ძალიან მარტივია, — **ერთსაც და მეორესაც ძალაუფლების საერთო გარანტორი ჰყავთ — ამერიკის შეერთებული შტატები.**

**— როგორ ფიქრობთ, არსებობს იმის საფრთხე, რომ საქართველოშიც მოუწყონ ხელისუფლებას „ევრომაიდანი“?**

— მსგავსი მცდელობა რომ „ნაცმოძრაობას“ შეიძლება ჰქონდეს, ამას ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, ესენი ყველაფერზე წავლენ, მაგრამ როგორ და რანაირად განახორციელებენ ამას, ესაა მთავარი. სააკაშვილი არის პოლიტიკური გვამი და რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ეს გვამი გაცოცხლდეს, ვერ წარმომიდგენია, მაშინ რაღაც საშინელება უნდა ჩაიდინოს ხელისუფლებამ და „ნაციონალური მოძრაობა“ ხალხს მხსნელად უნდა მოევლინოს. თუ ეს ვინმეს სჯერა, არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, ამის ალბათობა ნულია.

**— „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა, ეს არ არის შანსი „ნაციონალებისთვის“?**

— ეს შანსი იქნებოდა იმ შემთხვევაში, „ოცნების“ რეიტინგის ვარდნის პარალელურად „ნაცისტების“ რეიტინგი რომ იწევდეს, მაგრამ მსგავსი რამ არ ხდება და, ვფიქრობ, არც მოხდება. კიდევ ვიმეორებ, სააკაშვილი პოლიტიკური გვამია, ამიტომ მისი მობრუნება ხელისუფლების სათავეში ისევე შეუძლებელია, როგორც მიცვალებულის მობრუნება ამქვეყნისკენ. თავს დავდებ, რომ მათ ეს არ გამოუვათ.

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხს, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოფიციალური მოსკოვის მისამართით რამდენიმე მწვავე განცხადება გააკეთეს. პირადად გიორგი მარგველაშვილმა დაგმო კრემლის მოქმედება და თქვა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში მსგავსი ნაბიჯები არ უნდა იდგმებოდეს. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს ეს ყველაფერი ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე?**

— ისევ და ისევ იმ საკითხამდე მივდივართ, რომლითაც დავიწყე. მთავარი ის კი არაა, მარგველაშვილი ან ხელისუფლების რომელიმე სხვა მაღალი თანამდებობის პირი რა განცხადებას გააკეთებს, არამედ გადამწყვეტია, ოკეანის გაღმა რას იტყვიან, რას ინებებენ. ვერ ხედავთ, რა ხდება? ერთი მხრივ, გეუბნებიან, მოაგვარე ურთიერთობა რუსეთთანო და მეორე მხრივ, ნატოსკენ გვექაჩებიან. ახლა რანაირად მოვაგვარო ეს ურთიერთობა, როცა ყურით მიმათრევ აქეთ.

**— ანუ ამერიკელების ის მოწოდება, რომ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან, თქვენი აზრით, ცარიელი რიტორიკაა, რომელიც მხოლოდ გარემოხმარებისთვის კეთდება?**

— არამარტო გარემოხმარებისთვის, ეს არის ზოგადად დასავლური, კერძოდ, ამერიკული პოლიტიკის თავისებურება — აკეთებენ ერთს და ფუთავენ სულ სხვა რამით. ასე რომ არ იყოს, აბა, მითხარით, **რა ლოგიკაში ჯდება ის, რომ მეუბნები: გამონახე მეზობელთან საერთო ენაო და ამ დროს ლამისაა, მაუს გადამაყოლო. ეს მავთულხლართები რომ მოიწევს და მოიწევს, ვინმეს ადარდებს?! სულ ცალ ფეხზე ჰკიდია შენი შეშფოთება ვლადიმერ პუტინს.**

**— რამდენიმე დღის წინ ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკრაინის მოვლენების ფონზე, შესაძლოა, საქართველოს ევროინტეგრაცია დაჩქარდეს. რას მოგვცემს რეალურად ეს ყველაფერი, როგორ ფიქრობთ?**

— ძალიან დიდ ეჭვს მიჩენს ის ფაქტი, რომ პარაფირების შეთანხმების დოკუმენტი დღემდე არაა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. მანახონ ის დოკუმენტი, გამაცნონ და მერე შევაფასებ, რას გვაძლევს ეს ორგანიზაცია და გვჭირდება თუ არა.

**— თქვენი აზრით, რატომ არაა ხელმისაწვდომი ის სამასპუნქტიანი დოკუმენტი?**

— დარწმუნებული ვარ, მასში ხაზგასმით წერია ისეთი რაღაცები, რაც ქართულ საზოგადოებაში უკიდურესად მძაფრ აგრესიას გამოიწვევს. მაგალითად, გეიაღლუმების ჩატარების უფლებაზე, ერთსქესიან ქორწინებაზე და ა. შ. ამ დოკუმენტის შემქმნელებმა და ხელმომწერებმა ჩვენზე უკეთ იციან, რომ ხალხი ამას კატეგორიულად არ მიიღებს, ამიტომ „გამოსავალიც“ ერთადერთია — ის, უბრალოდ, უნდა დამალონ, გააქრონ და, რაც შეიძლება, მოარიდონ რიგითი ადამიანების ყურადღებას. ასე როდემდე იქნებიან, არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ფაქტია: **საზოგადოება, ნებით თუ უნებლიეთ, მოტყუებულია, ხოლო როცა გვეუბნებიან, რომ ევროპული ოჯახი ჩვენი ისტორიული არჩევანია, ეს, როგორც მინიმუმ, ზერელე შეფასებაა.**

**— საზოგადოებამ დღეს შეიძლება არ იცის, რა წერია იმ დოკუმენტში, მაგრამ ევროკავშირში თუ მიგვიღებენ, მაინც ხომ გავიგებთ, რა ცვლილებებს მოითხოვს ჩვენგან ეს ორგანიზაცია?**

— რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ყველაფერს გავიგებთ, ბიბლიაში წერია: „არა არს დაფარული, რომელიც არა გაცხადდესო“, მაგრამ მაშინ უკვე გვიანი იქნება. **ვერ ხედავთ, რა ხდება იგივე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში? — უკვე პირდაპირ წვავენ ევროკავშირის დროშებს; ასე რომ, დრო არჩევანის გაკეთებამდე გვაქვს. არჩევანის გაკეთების შემდეგ ჩვენისთანა მცირერიცხოვან სახელმწიფოს ძალიან გაუჭირდება.**

**— ოპოზიციის ნაწილი, პირველ რიგში კი „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ, თუკი ხელისუფლება ხალხს დაპირებებს არ შეუსრულებს, უახლოეს მომავალში საზოგადოებისგან საპროტესტო გამოსვლებს მიიღებს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— „ნაციონალებისგან“, ამ მიცვალებულთა პარტიისგან, სასაცილოა ასეთი განცხადება, მაგრამ, ობიექტურად რომ შევხედოთ, რა თქმა უნდა, საზოგადოების უკმაყოფილება ყოველთვის გამოიხატება ქმედებებში. ეს კარგად უნდა ესმოდეს ხელისუფლებას და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საქმე ხალხის ქუჩაში გამოსვლამდე არ მივიდეს, თორემ, „ოცნება“ დაჯდება სათავეში თუ რომელიმე სხვა ძალა, რა მნიშვნელობა აქვს! საზოგადოება არავის მიმართ იქნება ლოიალური.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოკრატიული სტანდარტებისა და ცივილიზაციის მონაპოვრების დაცვის მონოპოლია „ნაცმოძრაობამ“ აიღო. მოდი პირდაპირ ვთქვათ, რომ უკრაინისთვის მხარდაჭერის გამოხატვა 80%-ით არის მიხეილ სააკაშვილისადმი, „ნაცმოძრაობისადმი“ და მათი რევანშისადმი მხარდაჭერა და მხოლოდ 20%-ია იქ მიმდინარე პოროცესებზე რეალური გულისტკივილი.**

# დასავლეთი რევანშს არა «ქართული ოცნების», არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ გეგმავს

**ყველას კარგად გვახსოვს ფრაზა შესანიშნავი ფილმიდან „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი (რომლის როლსაც ირინა მურავიოვა ასრულებს) თავის მეგობრებს მიმართავს: Не учите меня жить! Лучше помогите материально!**
**ვისაც არ ახსოვს ან ეს ფილმი სხვადასხვა მიზეზის გამო არ უნახავს, შევახსენებ, რომ ირინა მურავიოვას გმირი ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში. აქვს ძალიან ბუნდოვანი პერსპექტივა და იმისთვის, რომ სწრაფად გამოასწოროს თავისი არც თუ ისე სახარბიელო სიტუაცია, ცდილობს, გაიცნოს და ცოლად გაჰყვეს უზრუნველყოფილ მამაკაცს.**
**ბევრს აღარ ვილაპარაკებ და პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველო დღეს სწორედ ირინა მურავიოვას გმირის მდგომარეობაშია.**



## დასავლეთის სტანდარტები უკრაინასთან დაკავშირებით სხვაა და საქართველოსთან დაკავშირებით — სხვა...

ჩვენც, ასე ვთქვათ, „საერთო საცხოვრებელში“ ვცხოვრობთ. გვაქვს ძალიან ბუნდოვანი პერსპექტივა და არსებული მდგომარეობის სწრაფად გამოსასწორებლად ვცდილობთ, „ვიქორწინოთ წარმატებულ ევროპაზე“.

ამ დროს ყველა, აბსოლუტურად ყველა, ვისაც არ ეზარება, შინაურიც და გარეულიც, ცდილობს, ცხოვრება გვასწავლოს; ცდილობს, გადაგვიყვანოს იმ რელსებზე, რომელიც, მისი აზრით, მიგვიყვანს იმ რძის მდინარესთან, რომელსაც კისელის ნაპირები აქვს.

მოდით ჭკუის გარეულ დამრიგებლებს თავი დავანებოთ და შინაურებს მივხედოთ.

**თუ სწორად და ყოველგვარი ემოციების გარეშე გადავხედავთ საერთაშორისო მდგომარეობას, ყოველგვარი გამადიდებელი შუშის გარეშეც დავინახავთ, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბულია და ჩვენი მდგომარეობა — არც თუ ისე სახარბიელო. სწორედ ასეთ დროს არის საჭირო მოვლენების ზუსტი შეფასება, სწორი ანალიზი და გამოსავლის პოვნა. ისეთი გამოსავლის, რომელიც მისაღები იქნება, პირველ რიგში, ჩვენთვის — ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მომავლისთვის.**

როგორც წესი, ამ ფონზე თავს წამოყოფენ სხვადასხვა ჯურის ექსპერტები, ანალიტიკოსები, სხვადასხვა იდეისა და მსოფლმხედველობის მატარებელი პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთი „ნააზრევი“ თავს მოახვიონ ქვეყნის მოსახლეობას და სიმართლე გითხრათ, რაც შეიძლება მეტი მატერიალური სარგებელი მიიღონ.

**იმისათვის, რომ „შორს გაიტანო შენი სათქმელი“ კარგი პიარია საჭირო. რაღა დაგიმალოთ და დღევანდელ საქართველოში პიარის ყველაზე დიდი სპეციალისტები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ სხედან. მათ აქვთ, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი საშუალებები, გავლენა მოახდინონ საზოგადოების დიდ ნაწილზე; სხვადასხვა მეთოდით გაავრცელონ თავიანთი იდეები და, არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი, განახორციელონ რევანში.**

**დიახ, რევანში, ოღონდ არა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის — კოალიცია „ქართული ოცნების“, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ.**

უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა „ნაციონალურ მოძრაობას“ ასპარეზზე გამოსვლის და „დემოკრატიის მედროშის“ როლის დაბრუნების საკმაოდ კარგი შანსი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ მედიის სხვადასხვა საშუალებაში აქტიურად მიდის მათი პიარი (გასართობი გადაცემებით დაწყებული, პოლიტიკური თოკშოუებით დამთავრებული), ისინი ქუჩაში აქტიურად გამოსვლას მაინც ვერ ბედავდნენ. ვერ ბედავდნენ, რადგანაც კარგად იციან საზოგადოების დამოკიდებულება. იციან და ახსოვთ 8 თებერვალი, 17 მაისი, დავით ბაქრაძესთან ზუგდიდური დახვედრა და მრავალი სხვა.

**„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს რევანშისთვის სასწრაფოდ სჭირდებათ ქუჩაში ხალხის გამოყვანა. არადა, საბაბის მოძებნა საკმაოდ რთულია. რთულია, რადგან „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, მათ კურსს ადგას და მათი მხრიდან „რაიმე შარის მოდება“, უბრალოდ, სასაცილოა.**

ასეთ დროს, როგორც იტყვიან, „ნაცებს“ უკრაინის ამბებმა სულზე მოუსწრო.

გააქტიურდა სააკაშვილი. კვლავ გამოჩნდა როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე „რუსთავი 2“-ის თოკშოუებში, გამოჩნდა საინფორმაციო გამოშვებებსა და ანალიტიკურ სტატიებში.

ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას, მიუხედავად თავისი დამოკიდებულებისა, მაინც არ აქვს უფლება, ჩაერიოს უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში და მისი განცხადებები, როგორც წესი, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. ასეთ დროს კი ოპოზიციურ პარტიას ეძლევა დიდი შანსი, გამოვიდეს დემოკრატიული პრინციპების, დემოკრატიული სტანდარტების დამცველად და „თავისი სიტყვა თქვას“ გლობალურ პოლიტიკაში; ეძლევა საშუალება, მოძმე ერის დაცვის მიზნით, გამოიყვანოს ხალხი ქუჩაში, შეაჩვიოს საზოგადოება აქტიურობას და ამით შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები.

თუ სააკაშვილის უკრაინული ვოიაჟებისა და სხვადასხვა უცხოურ არხზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ ყველას 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამე გვახსენდებოდა, ერთ-ორ მწარე სიტყვასაც ვამბობდით კოაბიტაციის, პროკურატურის უნიათობის და ორმაგი სტანდარტების მქონე ევროპის მისამართით და სამომხმარებლო კალათაში ჩასადები გიტარის შესაძენად მივდიოდით, დღეს უკვე სხვა სიტუაციაა.

**დემოკრატიული სტანდარტებისა და ცივილიზაციის მონაპოვრების დაცვის მონოპოლია „ნაცმოძრაობამ“ აიღო. მოდი პირდაპირ ვთქვათ, რომ უკრაინისთვის მხარდაჭერის გამოხატვა 80%-ით არის მიხეილ სააკაშვილისადმი, „ნაცმოძრაობისადმი“ და მათი რევანშისადმი მხარდაჭერა და მხოლოდ 20%-ია იქ მიმდინარე პოროცესებზე რეალური გულისტკივილი.**

ბუნებრივია, რომ არც ერთი ნორმალური ადამიანი არ უჭერს მხარს სისხლისღვრას, ომს, ადამიანების გაუბედურებას (ეს ძალიან კარგად ვიცით), მაგრამ **ის ისტერიკა, როგორი ფორმითაც მიმდინარეობს ე. წ. მხარდაჭერა, ის ხალხი, რომელიც მკერდში მჯიღის ცემით იცავს „უკრაინულ გაზაფხულს“, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ რევანშს უწყობს ხელს.**

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი ხვდება და მართლაც გულწრფელად განიცდის იმ სავალალო შედეგებს, რომლებიც შეიძლება უკრაინაში დაძაბულობის ესკალაციას მოჰყვეს, მაგრამ ისიც ვიცი, თუ როგორ ხდება პოზიციის დასაფიქსირებლად მათი მიყვანა ტელეკამერებთან.

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ხალხისთვის საყვარელი მსახიობი ან სპორტსმენი, მომღერალი და თქვენი ცხოვრებისთვის აუცილებელია მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა. უცებ მოდის „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი და გისვამთ კითხვას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ბუნებრივია, რომ დაგმობთ სისხლისღვრას და მოუწოდებთ ყველას, მშვიდობიანად მოაგვარონ პრობლემები. სიუჟეტში თქვენ წინ განცხადებას აკეთებენ ვინმე გიორგი კანდელაკი და გიგა ბოკერია, შემდეგ — ვინმე მომღერალი.

დამერწმუნეთ, რომ მაყურებლის ქვეცნობიერში თქვენ არა უკრაინის ან დემოკრატიული პრინციპების, არამედ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერად ჩაილექებით.

ასეთ განცხადებებზე, ჭკუის სწავლებაზე და სხვადასხვა ფორმით დამუნათებაზე, ყოველთვის ვამბობ: ნე უჩიე სენჟ დმიტ!

დიახ, რადგანაც, **თუ უკრაინაზეა საუბარი, მაშინ ისიც გვითხარით, რომ, იანუკოვიჩის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარდა, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა აეკრძალა რამდენიმე ქალაქის მერს და ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებს. თანამდებობიდან გადააყენეს საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთი მოსამართლე და 13-ის განთავისუფლების შესახებ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. გადადგა თხუთმეტი ქალაქის მერი და გუბერნატორი.**

ისიც გვითხარით, რომ **ამ არც თუ ისე კანონიერ ქმედებებს დასავლეთი მიესალმა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის და სამართლიანობის აღდგენის მოტივით.**

თუ ცხოვრებას გვასწავლით, მაშინ ისიც გვითხარით, რომ **დასავლეთის სტანდარტები უკრაინასთან დაკავშირებით სხვაა და საქართველოსთან დაკავშირებით — სხვა.**

ბრალდებული გიგი უგულავას საზღვარგარეთულ ვოიაჟებზე როგორ ამოიღებ ხმას, მაშინ, როდესაც ძალოვანი უწყებების იმ თანამშრომლებს, რომლებიც წლების მანძილზე ჩაბმულნი იყვნენ დანაშაულებრივ ქმედებებში, არამცთუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ აძლევენ, თანამდებობიდანაც არ ათავისუფლებენ, რადგანაც თურმე დემოკრატიის სტანდარტებს არ შეესაბამება და დასავლეთი ვერ გაგვიგებს.

**სააკაშვილის ძებნა-დაკავება კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდის ნებისმიერი თანამდებობის პირის მოწმის სახით დაკითხვაც კი დემოკრატიის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პოლიტიკურ დევნად აღიქმება.**

რა ძებნა-დაკავებაზეა საუბარი მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილმა გადაცემა „არჩევანში“, ურცხვად და, თავხედურად ისაუბრა 2007 და 2011 წლებში განვითარებულ მოვლენებზე:

**„2007 და 2011-ში არავის გაუსროლია და ცეცხლსასროლი იარაღით არავინ დაღუპულა, თუმცა 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ გადავდექი. წელიწად-ნახევრით შევამცირე ჩემი ვადა, მიუხედავად იმისა, რომ რუსი ოლიგარქი აფინანსებდა ამ აქციებს. მაგრამ იყო სხვა რამეებიც, რის გამოც ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ეს იყო გირგვლიანის ფაქტი, უმუშევრობა. არ იყო მარტო რუსული კომპონენტები, იყო სხვა კომპონენტებიც. სხვა საკითხია და ამაზე შეგვიძლია ვიდავოთ, თუ რამდენად ადეკვატურად და რამდენად მკვეთრად ან თავშეკავებულად უნდა ემოქმედა მთავრობას, მაგრამ ჩვენ ვიცავდით საქართველოს სუვერენიტეტს“.**

აქ ყურადღება მინდა გავამახვილო არა თავად განცხადების შინაარსზე (არც მიკვირს, რადგანაც სააკაშვილისგან მონანიებას და ცრემლის ღვრას ნამდვილად არ ველოდები), არამედ მისთვის ღია ეთერის დათმობაზე. **იმის ნაცვლად, რომ მიხეილ სააკაშვილი განსასჯელის სკამზე იჯდეს და მოსამართლის შეკითხვებს ფეხზე ამდგარი სცემდეს პასუხს, დემოკრატიის სტანდარტების წყალობით, ურცხვად აცხადებს — 26 მაისს ეროვნული დღესასწაულის ჩაშლა უნდოდათ პუტინის ფულით და პუტინის ინსტრუქციითო.**

სააკაშვილის საერთაშორისო აქტივობასთან დაკავშირებით, მინდა, ორიოდე შეკითხვა მეც დავუსვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს: **როდესაც ადამიანი, რომლის რეჟიმსაც ებრძოდა საქართველოს მოსახლეობა, გამოდის საზღვარგარეთული ტელეარხებით** (სი-ენ-ენი, უკრაინის მეხუთე არხი), საუბრობს დემოკრატიაზე, ყველანაირი მეთოდებით ამწვავებს ურთიერთობას რუსეთთან და მას იმ ტელეარხების წამყვანები უდიდეს მადლობას უძღვნიან დემოკრატიის გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის, **რატომ არ უკავშირდება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საელჩო იმ ტელეარხებს და რატომ არ აწვდის 2011 წლის 26 მაისის დარბევის ვიდეო და ფოტომასალებს? რატომ არ აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს? და საერთოდ, რას აკეთებენ ეს საელჩოები?**

**პასუხი მარტივია: — არაფერს. ქვეყნისთვის აბსოლუტურად არაფერს! და სწორედ ამის ბრალია ის, რომ დემოკრატიის სტანდარტი საქართველოსთვის სულ სხვაა და უკრაინისთვის — სულ სხვა.**

**გია გაბრიჭიძე**

**პუტინი არაადეკვატურიაო, — დაიჩივლა ბარაკ ობამამ, ვიდრე პირდაპირ მუქარაზე გადავიდოდა. რა უნდა ქნას პუტინმა — ნატოს ბაზები გახსნას რუსეთში, წითელ მოედანზე პედერასტების პარადი მიიღოს და მაშინ იქნება ადეკვატური?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბარაქიანი პანღური



**დააკვირდით მათ სახეებს. საქართველოს დამაქცევრები გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან უკრაინის დამაქცევრებს, რადგან არც ერთნი არიან ქართველები და არც მეორენი — უკრაინის თავგადაკლული მოყვარულები. ეს «ძია სემის შტამპოვკაა» — მეხუთე კოლონაა მათი სახელი. მათგან ხსნა მხოლოდ პანღურია, ბარაქიანი პანღური, რადგან სხვა ენა, გარდა ბარაქიანი პანღურისა, ბარაკ ობამას, მათ მამამთავარს, არ ესმის!**

**„Нашла коса на камень“ — ასე ამბობენ რუსები, როდესაც წინააღმდეგობას წააწყდებიან. სწორედ ასე დაემართა აშშ-ს უკრაინაში, თორემ მანამდე, ისე მოგეცათ ლხენა, როგორც ბოლო 20 წლის განმავლობაში „ძია სემი“ ბალკანეთიდან, ვიდრე საქართველომდე, დაუსჯელად ატარებდა სასტიკ ექსპერიმენტებს თვითმყოფად, მაღალი კულტურის მქონე ერებზე ე. წ. ფერადი რევოლუციების სახით. ობამას ადმინისტრაციამ მხოლოდ სახელი უცვალა, თორემ შინაარსით და, რაც მთავარია, შედეგებით „არაბული გაზაფხულის“ სერიალებიც იგივე იყო, რაც „ფერადი რევოლუციებისა“ — ყველგან ჯერ ნგრევა, სისხლი, ანარქია, სიღატაკე და შემდეგ მათივე არეული ქვეყნების დემოკრატიული „კომუფლაჟით დალაგება“ — ერთიანი სახელმწიფოების დაშლა და ნატო-ევროპასთან ნაწილ-ნაწილ მიერთება-ასოცირება, ეროვნულ-რელიგიური ფასეულობების ნაცვლად სატანისტური სექტების, ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდა და ა.შ.**

## რუსული გაზაფხულის სცენარის ჩაფლავება

**60 წლის წინათ, 1962 წლის ოქტომბერში, ნიკიტა ხრუშჩოვის ბირთვულმა ინიციატივამ კუბაში ლამის კუბოში ჩააწვინა კაცობრიობა. იმხანად, საბჭოეთშიც კი, მართალია, პირად საუბრებში (ხმამაღლა თქმას ვინ გაბედავდა?!), მაგრამ მაინც, ყველა ნიკიტას ამუნათებდა!**

**ისტორია მეორდება? არ ვიცი, ის კი ნამდვილია, რაც ბარაკ ობამამ განაცხადა — რუსეთს ძვირი დაუჯდება უკრაინაში შეჭრაო, რაც რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ ერის შეურაცხყოფად აღიქვა და მყისვე მისცა დასტური პუტინს, უკრაინაში სამხედრო ძალის გამოყენებაზე!**

**ისეთი რამ, რაც ბარაკ ობამამ გაბედა ამ დაძაბულ ვითარებაში, თვით ჯონ კენედიმაც ვერ გაბედა კარიბის კრიზისისას...**

რუსეთი რომ უკან არ იხევს, ვხედავთ და რა ფასი ექნება რეალურად მსოფლიოს ლგბტ-პედერასტების ბელადის მუქარას, რამდენად შორს წავა აშშ, ვნახავთ.

**ბარაკ ობამამ ვლადიმერ პუტინთან დუელში პირველი სერიოზული მარცხი სირიაში იწვნია, როდესაც რუსმა დათვმა ამერიკულ სახედარს** (აშშ-ის დემოკრატების სიმბოლოა, ანუ შეურაცხყოფას არავის ვაყენებ) **ამ ქვეყანაში შეჭრის უფლება არ მისცა.**

არაბული გაზაფხულის შემდეგ კი „რუსული გაზაფხულის“ სცენარი დაიწერა. დიახ, რუსული, რადგან კიევის მაიდანი მხოლოდ პოლიგონი იყო ამ სცენარის განსახორციელებლად, რეალურად კი — აშშ-ის მიერ რუსეთისთვის გამოუცხადებული ომის დაწყება იყო, რომელშიც, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, აშშ დამარცხდა! დიახ, როგორც თუთაშხია იტყოდა, „ასეა ეს“, რადგან ამერიკელთა სცენარი მართლაც რუსულ გაზაფხულად აქციეს თვითონ რუსებმა — ყირიმის ახალმა ხელისუფლებამ რეფერენდუმის გამართვის თარიღად 30 მარტი გამოაცხადა. ამ რეფერენდუმზე, რუსული ენისა და რეგიონის სტატუსის გარდა, ორგანიზაცია „ოპლოტის“ ინიციატივით, კიდევ 2 კითხვა შეიძლება დაისვას: წითელი არმიის ვეტერანების სტატუსი — ვინ არიან ისინი — მშობლიური მიწის დამპყრობლები თუ განმათავისუფლებლები? და ვინ არიან ბანდერელები — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ხელისშემწყობნი თუ მათთან მებრძოლნი?

მოკლედ, როგორც ჩანს, უკრაინიდან ყირიმის გამოყოფის საკითხი, სულ ცოტა, უკვე გადაწყვეტილია!

და ეს სულაც არ არის პირადი სიმპათია-ანტიპათიიდან გამომდინარე დასკვნა. ანალოგიურ თვალსაზრისზეა დასავლური მედიაც, რომელიც ყირიმის კრიზისის დასაწყისში „რუსეთის პროვოკაციებსა“ და „რუსეთის აგრესიაზე“ საუბრობდა, ბოლო ხანს კი მოულოდნელად დატკბა და ამ ტერმინებს, როგორც წესი, წინწკლებში იყენებს. უფრო მეტიც, საგრძნობლად შეიცვალა დასავლელი პოლიტიკოსების ტონიც. მაგალითად, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ცნობილმა პოლიტიკოსმა ფილიპ მისფელდერმა საინფორმაციო სააგენტო „როიტერს“ განუცხადა: „მოსკოვი ემოციურად აღიქვამს ყირიმის საკითხებს, რადგან ყირიმი ისტორიულად ძირძველი რუსული რეგიონია!“.

ავტორიტეტული გამოცემა „შპიგელი“ კი მოწინავე სტატიაში „ევროპელების დილემა“ და „ოპერაცია ყირიმის პროტექტორატი“ წერს, რომ ყირიმის საკითხი თითქმის დახურულია. იქვე აღნიშნულია, რომ ყირიმის რუსეთის გავლენის ქვეშ მოსაქცევად ჩატარებული ოპერაცია შეიძლება „სამხედრო ტაქტიკის სახელმძღვანელოებში შევიდეს“, რადგან რუსებმა ტყვიის გასროლის გარეშე შეძლეს ყირიმის სამხედრო-სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დამორჩილება...

იგივე გამოცემა აქვეყნებს სტატიას მრავლისმთქმელი სათაურით — „ყირიმის კრიზისი: ნაციონალისტები თათრებს ტერორიზმისკენ აქეზებენ“, და ე. წ. პრავი სექტორზე უკიდურესად ნეგატიურად საუბრობენ!

კიდევ ერთი ავტორიტეტული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩვენი „საყვარელი“ მანუელ ბაროზო რუსული ენისთვის სტატუსის შეცვლის შესახებ ამბობს: „იაცენიუკმა გარანტია მომცა, რომ ეს საკამათო კანონი არ იქნებოდა მიღებული“ — მაიდანის „ბანდერლოგებმა“ ხელისუფლების დამხობისთანავე ჩამოართვეს რუსულ ენას მეორე სახელმწიფო ენის სტატუსი, რაც გახდა კიდეც მიზეზი რუსულენოვანი უკრაინის აფეთქებისა!

ისე, ახია იანუკოვიჩზე! თავიდანვე ჩანდა, რა ხალხიც იყო მაიდანზე შეკრებილი და ბანდერელები უკრაინას კარგს რომ არაფერს უქადნენ! ახლა ქალაქს ქალაქზე რომ იღებენ და რუსეთის დროშებს აფრიალებენ, არ ჯობდა, სტახანოველი მეშახტეების დესანტი გადაესხათ მაიდანზე და მეშახტეების კუვალდებით დარეოდნენ „ბანდერლოგებს“?

ეს ისე, როგორც ლირიული გადახვევა. ისე კი, **ამბობენ, რუსებმა სერგო ორჯონიკიძის ცნობილი დეპეშის მსგავსი დეპეშა აფრინესო ამერიკაში: „ვაშინგტონი, თეთრი სახლი. ბარაკ ობამას და ჯიმ ქერის!**

**სევასტოპოლის, ხარკოვის, მარიოპულის, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ოდესის თავზე უკვე რუსული დროშები ფრიალებს!“**

## ეს ის ამერიკელები არ არიან?

**მიშნაცებისა არ იყოს, რომლებსაც არანაირი უფლება არ აქვთ, ისაუბრონ სამართალზე, დაპირებების შეუსრულებლობაზე, პოლიტიკურ დევნასა და ა. შ. მათი „მამა“ ამერიკელებისგანაც ძნელი მოსასმენია საუბრები უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა-ჩაურევლობაზე, ანექსიაზე, გენოციდზე და ა. შ.** რადგან ეს ის „ჰუმანისტი“ იანკები არიან, რომლებმაც დედაბუდიანად ამოწყვიტეს ინდიელები; ეს იმ რასისტების ამერიკაა, რომელშიც მილიონობით ბიძია თომას სულს ხდიდნენ მონურ შრომაში, ხოლო იმ თომების შთამომავლებს გასული საუკუნის 60-იან წლებამდე კუ-კლუქს-კლანი ცოცხლად წვავდა, გადარჩენილებს კი დამამცირებელ რასობრივ დისკრიმინაციაში უწევდათ არსებობა; ეს ის „დემოკრატები“ არიან, რომლებიც „ნაციონალურ ინტერესებს“ თავიანთი ქვეყნიდან ათასობით მილს იქეთ იცავენ — უმოწყალოდ დაბომბეს მართლმადიდებელი(!) სერბეთი, მარტივ მამრავლებად დაშალეს იუგოსლავია, გამოგონილი მიზეზით დაიწყეს ერაყში ომი და ეგვიპტე-ლიბიაში — „რევოლუციები“; შემდეგ კი თავისივე შექმნილი დიქტატორები წამებით მოკლეს ან კატასავით დაახრჩეს; **ეს ის ამერიკელები არიან, რომლებიც სიტყვით ტერორიზმს ებრძვიან, სინამდვილეში კი რადიკალ-ისლამისტებს ხელსაც უწყობენ და აფინანსებენ კიდეც**, თუ მათი ქმედება რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ (მაგალითად, სირიაში) არის მიმართული. საერთოდ, რაზეა საუბარი, როდესაც ე. წ. პრავი სექტორის ლიდერი დიმიტრი იაროში დოკუ უმაროვს მოუწოდებს რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელებისკენ და აშშ დუმს?

**პუტინი არაადეკვატურიაო, — დაიჩივლა ბარაკ ობამამ, ვიდრე პირდაპირ მუქარაზე გადავიდოდა. რა უნდა ქნას პუტინმა — ნატოს ბაზები გახსნას რუსეთში, წითელ მოედანზე პედერასტების პარადი მიიღოს და მაშინ იქნება ადეკვატური?**

მოკლედ, ეს ის ამერიკელები არიან, ის...

ამერიკელებს უკრაინაში ბალკანიზაციის პროცესის დაწყება სურთ, რომელსაც ვერაფრით შეეგუება რუსეთი. მათ კარგად ახსოვთ 1999-ში, იმხანად პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სამხედრო იმპოტენტმა რუსეთმა როგორ ვერ დაიცვა ერთმორწმუნე სერბეთი. ახლა კი, ბელგრადის დაბომბვიდან 15 წლისთავზე, უკრაინის „ახევა“ მოუნდომეს. არადა, რუსეთისთვის უკრაინა არც სერბეთია და, მითუმეტეს, არც სირია; უკრაინელები, ბელარუსები და რუსები პრაქტიკულად ერთი ნაციაა და როგორც ერთ სიმღერაშია: „Россия, Украина, Белоруссия — племен словянских три богатыря”...

სწორედ ამ გოლიათების ერთად ყოფნისა ეშინია ამერიკას და ევროკავშირსაც. რუსეთს კარგად ესმის, რომ უკრაინაში არა მხოლოდ უკრაინის ბედი წყდება, არამედ რუსეთის — ყირიმში უკან დახევის შემთხვევაში თვითონ რუსეთი დადგება დაშლის რეალური საფრთხის წინაშე და ამიტომ იმართება მთელი რუსეთის მასშტაბით მრავალათასიანი მიტინგები. ანუ, რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო მანქანას „ზადნი“ არ აქვს და აქ „ჭამეს“ იანკებმა, რადგან დღეს რუსეთი აღარ არის 1990 წლების გაფარჩაკებული, „ალკაში“ ელცინის რუსეთი.

**ეს ობიექტური მოცემულობა იქნებ გააცნობიეროს „მეოცნებეთა“ ხელისუფლებამაც, რომელმაც ნელ-ნელა უმატა რუსების მიმართ აგრესიულ რიტორიკას და „ნატო-ნატოს“ ძახილს.**

**ვინძლო ორი აქლემის ჭიდილში კოზაკივით არ გავიჭყლიტოთ, როგორც 2008-ში, მაგრამ ამჯერად სასიკვდილოდ გავიჭყლიტებით!**

**„ჭკუით, ქართველებო!“...**

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რას ემსახურებიან ის ავადმყოფი ადამიანები (უკრაინაში ვითომ ოპოზიციის ლიდერებს ვგულისხმობ), რომლებიც სინამდვილეში გლობალისტური ძალები არიან და ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ; რას სთავაზობს მათ რეალურად ევროპა, რით იარსებებენ?! ანუ, მარტივად რომ შევხედოთ საკითხს, რის სანაცვლოდ მიდიან ამხელა მსხვერპლზე? — ფაქტობრივად, არაფრისთვის.“**

*გიორგი გერმანიძე:*

# თუ ახალი მსოფლიო წესრიგის მომხრე დასავლური ძალები მიზანს მიაღწევენ, ეს იქნება სრული ჯოჯოხეთი დედამიწაზე

**ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს დაახლოების პერსპექტივებზე, მიმდინარე რეფორმებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური ტენდენციების კვლევის ინსტიტუტის“ პრეზიდენტი გიორგი გერმანიძე.**



**— ბატონო გიორგი, გაფორმდა თუ არა ევროკავშირთან პარაფირების ხელშეკრულება და მოვაწერეთ თუ არა ხელი დოკუმენტს, რომელიც საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, შეტევა ეკლესიაზე გაათმაგებული ძალით განახლდა. დღეს უკვე ღიად აკრიტიკებენ სასულიერო პირებს, როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლებიც (ამის მაგალითად ჩიორა თაქთაქიშვილისა და ლევან ბერძენიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებებიც საკმარისია). თქვენი აზრით, რას ემსახურება ეს პროპაგანდა? ხომ არ ფიქრობთ, რომ გრძელდება ის ე. წ. მენტალური რევოლუცია, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი დღემდე ამაყობს?**

— სააკაშვილი რადგან ახსენეთ, ორიოდე სიტყვით მასზეც ვიტყვი: ის არის ახალი მსოფლიო წესრიგის წარმომადგენელი და ამ პროცესში მას აქვს თავისი დანიშნულება... **დღეს საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, შენდება ახალი მსოფლიო წესრიგი და ამან უკვე მიიღო ერთგვარი შეუქცევადი ხასიათი. მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის უბოროტესი სისტემა, რომელიც კი არსებულა კაცობრიობის ისტორიაში.** რაც შეეხება მიზანს, მათი მთავარი ამოცანაა მონობის შექმნა და ორფენიანი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც იქნება ელიტა, შუაში, ფაქტობრივად, სიცარიელე და ქვედა ფენაში მონები, ანუ დანარჩენი ხალხი. ახლა რა შედეგებამდე მიგვიყვანს ამგვარი პროცესები საბოლოოდ, როდესაც დასრულდება ამ ახალი ადამიანის, იმავე მონის შექმნა, მთელი კაცობრიობა გახდება ბევრად უფრო იოლი სამართავი; ხოლო მოქალაქე, როგორც ინდივიდი, ფაქტობრივად, გაქრება და ცხოველივით, პირუტყვივით მას არ ექნება არც თავისუფალი ნება, არც ფასეულობები, ღირებულებები, რელიგია და ა. შ. აი, ესაა ის ე. წ. ნეოლიბერალიზმი, რომელიც არის ყოვლად ავადმყოფი ხალხის ყოვლად ავადმყოფური მოძრაობა.

**— სააკაშვილის დროს ეს პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობდა, მაგრამ როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა რა მიმართულებით მიდის ამ თვალსაზრისით?**

— **ეს ხელისუფლება შეიძლება გამოკვეთილად არა, მაგრამ არსობრივად წინამორბედის კურსს აგრძელებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის გადაწყვეტილება, რომელიც რელიგიური კონფესიების დაფინანსებასთან დაკავშირებით მიიღეს.**

**— რას გულისხმობთ?**

— წარმოიდგინეთ, რა ხდება: ბოლშევიკებმა თურმე ზიანი მიაყენეს სხვადასხვა რელიგიას და ქართველი ხალხი უნდა გახდეს ამის ადრესატი. უბრალოდ მაინტერესებს, ასეთი იდიოტობა ვის მოუვიდა აზრად, ჩვენ ხომ არ მივიჩნევთ თავს ბოლშევიკების მემკვიდრეებად?! აბა, რატომ უნდა ვუხადოთ ახლა კომპენსაცია ვიღაცებს?!

**— იქნებ დავაკონკრეტოთ, რას ისახავს მიზნად რელიგიური კონფესიების დაფინანსება?**

— კიდევ ვიმეორებ: ეს არის ახალი მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილი და მისი მთავარი ამოცანაა ერთიანი საზოგადოებრივი მონოლითის დანგრევა, რომ უმცირესობები დაუპირისპირონ უმრავლესობებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აქ მოქმედებს პრინციპი, დაყავი და იბატონე. მორჩა, ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ ისინი ყველა დონეზე.

**— ვინ და რა ძალები დგას ამ ყველაფრის უკან?**

— გლობალისტური სისტემა. ესაა მსოფლიო ბანკები, კორპორაციები, სხვადასხვა ორგანიზაცია, მოკლედ, ფინანსური ელიტა. მასში შედიან იგივე როკფელერები, მორგანები, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო, „300-თა კომიტეტი“ და ა. შ.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, არსებობს დღევანდელ მსოფლიოში ალტერნატიული პოლუსი თავისი იდეოლოგიით, რომელიც ამ პროცესს დააბალანსებს?**

— ეს ცოტა რთული საკითხია, მაგრამ გადაჭარბების გარეშე ვამბობ: **თუკი ახალი მსოფლიო წესრიგის პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა და ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ამ იდეის აპოლოგეტებს აქვთ განსაზღვრული, კაცობრიობა მიიღებს სრულ კატასტროფას, ეს იქნება ჯოჯოხეთი დედამიწაზე, რომელიც დაღუპავს ადამიანთა მოდგმას.**

## «ნატო არის გლობალისტური მანქანა, რომელიც ემსახურება დემონურ ინტერესებს»

**— საინტერესო ერთი რამაა: თუ ეს პროცესი მთელ მსოფლიოს დაღუპვასა და დამონებას უქადის, თუ ამაში კარგი და პოზიტიური არაფერია, რატომაა, რომ განსაკუთრებით ბოლო ოცი წლის განმავლობაში პროდასავლურობა ერთგვარ პანაცეად იქცა და ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის რეიტინგის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს?**

— საქმე ისაა, რომ დასავლური ფასეულობები ოდესღაც მართლა არსებობდა. დღეს კი ეს ფასეულობები მკვდარია. შესაბამისად, ჩვეულებრივი სატყუარაა დემოკრატიაც, ე. წ. პროდასავლური სამართლიანობაც და ა. შ. ამის მიღმა არაფერი დგას, გარდა ეკონომიკური ინტერესებისა და პოლიტიკური გათვლებისა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რატომაა, მიუხედავად ყველაფრისა, პროდასავლურობა პოზიტიურობის ერთგვარი სინონიმი, ამაზე მარტივი პასუხი შეიძლება გაიცეს, — **არამარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში საზოგადოების უდიდესი ნაწილი არის გაბრუებული. ადამიანებმა არ იციან, რეალურად რა გლობალური პროცესები მიდის საერთაშორისო ასპარეზზე და რა ბოროტი ჩანაფიქრი, ანტისაზოგადოებრივი ამოცანა დგას იმ ე. წ. დემოკრატიული დასავლეთის „კეთილშობილური“ ნაბიჯების მიღმა.** აქ უკვე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია საერთოდ აღარ არსებობს, ეს არის რაღაც ქიმერა, აბსოლუტური მირაჟი, რომელიც შექმნილია მოსახლეობის „დასაბოლებლად“.

**— ფაქტია, რომ ეს ქიმერა და მირაჟი ჯერჯერობით მუშაობს.**

— მუშაობს, მაგრამ ისევ და ისევ იმიტომ, რომ კარგადაა შეფუთული. სინამდვილეში კი მე გეტყვით, რაც არის ეს დემოკრატია ერთი კონკრეტული ფაქტის მაგალითზე: თავის დროზე, როცა ამერიკის ჯარი შეიჭრა ერაყში და თქვენ იცით, იქ რა საშინელებები დაატრიალა (საავადმყოფოებიც კი გაანადგურეს თავის პაციენტიან-ექიმებიანად), სასმელი წყლის გასაფლირტი ობიექტები დაანგრიეს და მერე 10 წელი არ აღადგინეს, რამაც 500 ათასი ბავშვი შეიწირა. სხვათა შორის, მაშინდელი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი გამოვიდა და განაცხადა, სწორად მოვიქეცით; და როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა: კი მაგრამ, წყლის გასაფილტრი ობიექტები რომ ააფეთქეთ და ნახევარი მილიონი ბავშვი მოკალით, ეს ყველაფერი ამად ღირდაო? მისი პასუხი იყო ასეთი: კი, ღირდა. აი, ესაა ამათი დასავლური ფასეულობები დღეს...

**— უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ალბათ, საქართველოს დაახლოების პროცესი, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, მეტ-ნაკლებად დაჩქარდება. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა და საზოგადოების მოსაზრებები არაერთგვაროვანია. თქვენი აზრით, რას გვაძლევს რეალურად ეს ინტეგრაცია?**

— შეიძლება განვიხილოთ ნებისმიერ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი, თუ იქ ჩვენი პირობებით შევალთ, მაგრამ საკითხავიც სწორედ ესაა: რა პირობებით გვღებულობენ? მაგალითად, უკრაინა, რომელიც თქვენ ახსენეთ, მთლიანად მიბმულია რუსეთის ეკონომიკაზე და, თუ ისინი ჩამოშორდებიან რუსეთს, შიმშილით მოკვდებიან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიკვირს, **რას ემსახურებიან ის ავადმყოფი ადამიანები უკრაინაში (ვითომ ოპოზიციის ლიდერებს ვგულისხმობ), რომლებიც სინამდვილეში გლობალისტური ძალები არიან და ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ; რას სთავაზობს მათ რეალურად ევროპა, რით იარსებებენ?! ანუ, მარტივად რომ შევხედოთ საკითხს, რის სანაცვლოდ მიდიან ამხელა მსხვერპლზე? — ფაქტობრივად, არაფრისთვის.**

**— იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზეც?**

— კიდევ ვიმეორებ: ნებისმიერ ორგანიზაციაში შესვლაზე შეიძლება ვიფიქროთ, თუკი ის სიკეთის მომტანია ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ ვხედავ, რომ არაა სიკეთის მომტანი. **ნატო არის გლობალისტური მანქანა, რომელიც ემსახურება დემონურ ინტერესებს, ამიტომ საქართველოსთვის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის, ვერ იქნება ეს ორგანიზაცია ის საიმედო ქოლგა, ზოგიერთები რომ ცდილობენ, მოგვაჩვენონ.**

**— რამდენიმე დღის წინ გიგა ბოკერიამ განაცხადა: თუ ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, „ქართული ოცნება“ იანუკოვიჩის ბედს გაიზიარებსო. როგორ ფიქრობთ, რამდენად არსებობს დღეს იმის შესაძლებლობა, რომ თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში კოალიციას მართლა მოუწყონ „ევრომაიდანი“?**

— საქართველოში დღეს ისეთი სიტუაციაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამერიკელებისთვის მთავარი არაა, ვინ იქნება აქ ხელისუფლებაში, მთავარია მისი იდეოლოგიის გამტარებელი იყოს. ამ იდეოლოგიის გამტარებლები მათ ჰყავთ. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობა“ კი არა, თუ გინდათ, უცხოპლანეტელთა პარტია დაარქვით, საქმე კეთდება. მორჩა, სხვა მათ არ აინტერესებთ.

**— გლობალისტურ პროცესებს საქართველო მარტო თავისი ძალებით რომ ვერ შეეწინააღმდეგება, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით. ვინ შეიძლება ამ ბრძოლაში ჩვენი მოკავშირე იყოს და, ზოგადად, რაში ხედავთ გამოსავალს?**

— აქ, პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს რეალური ალტერნატიული ძალა, რომელიც გააერთიანებს ჭეშმარიტად პატრიოტ ადამიანებს. სულ 200-300 კაცია ამისთვის საკმარისი და ვფიქრობ, საქართველოს ჰყავს ასეთი ხალხი. ახლა, ალბათ, მკითხავთ, რას მოგვცემს ეს? ეს მოგვცემს იმას, რომ გაჯანსაღდება პოლიტიკური სივრცე და გაჩნდებიან მართლა სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედი სუბიექტები. გასაგებია, რომ ამ ფლანგს ეყოლება სერიოზული მოწინააღმდეგეები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელია, თავი დავაღწიოთ ახალ მსოფლიო წესრიგის წამლეკავ ტალღას, რომელიც, დიდი ხანია, მოდის დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და, ფაქტობრივად, მოანგრევს ყველაფერს; **რაც ზოგიერთმა სახელმწიფომ გააკეთა ამ გლობალისტური პროცესების წინააღმდეგ, ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს, მაგალითად, რა ზომებიც მიიღო ლუკაშენკომ, — როდესაც მან დაინახა, რომ ბელარუსი საფრთხეების წინაშე დგებოდა, გაამკაცრა პოლიტიკა და გადავიდა ერთგვარ საგანგებო რეჟიმზე.**

**— გინდათ, თქვათ, რომ საქართველო ბელარუსს უნდა დაემსგავსოს?**

— საკითხი სხვანაირად დგას. ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს ლუკაშენკო ატარებს, მშვიდობიან დროს, შესაძლოა, არანორმალური ყოფილიყო, მაგრამ მან ჩართო საგანგებო რეჟიმი, რომელიც აუცილებელი იყო ამ პირობებისთვის. ეს აბსოლუტურად ნორმალურია; ხოლო ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ, როცა დაინგრევა გლობალისტური სისტემა, ბელარუსსაც აღარ დასჭირდება სიმკაცრე და, ბუნებრივია, ისიც გადავა ნორმალურ რეჟიმზე; ანუ მან დაინახა, რომ ებრძვის საშინელი დემონური მანქანა და, ფაქტობრივად, არჩევანი აღარ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, რომ არა სიმკაცრე, რომელიც ამ ადამიანმა გამოიჩინა, ის დაკარგავდა ქვეყანას... **მე ვისურვებდი, რომ საქართველოსაც ჰყავდეს გონიერი ადამიანები, რომლებიც დაალაგებენ ურთიერთობებს როგორც მეზობლებთან, ისე დასავლეთთან. ჩვენ არ უნდა გავხდეთ იარაღი, რომელიც ებრძვის რუსეთს ამერიკის დაკვეთით, არამედ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც ადეკვატურად შეარჩევდა პოლიტიკურ მიდგომებს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ განვითარდება და მუდმივად ვიქნებით ამ უბედურ მდგომარეობაში.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ნინო გინტურს დღესაც კოსტავას ქუჩაზე, ვერის ბაღის შესასვლელთან სანოტარო ბიურო აქვს. ეს გახლავთ ქალბატონი, რომელიც ღამის სამ საათზე ხალხს ქონებასა და ბიზნესს ართმევდა, ზოგს ციხეში და ზოგსაც გარეთ. „ნაცებს“ თუკი რამ ქონება აქვთ მითვისებული, სულ ამ ქალის ხელით.“**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თამაზ გელაშვილი:

# ნოტარიუსი ნინო გინტური ყველას აშინებს და, ვიდრე კუბლაშვილი იქნება, მას ხელს ვერავინ ახლებს

**ნინო გინტური, ნოტარიუსი, რომელიც, არაერთი დაზარალებულის მტკიცებით, წართმეულ ბიზნესსა და ქონებას „ნაცებს“ უფორმებდა და ბიზნესმენებს ციხეში უშვებდა ან ციხეში შედიოდა შუაღამისას და „წილის გაჩუქებაზე“ აწერინებდა ხელს პატიმრებს, ამ დრომდე პროკურატურის მფარველობის ქვეშ იმყოფება. მას დღემდე მოსამართლე გიორგი სულაკაძე ასამართლებს და ამართლებს, ხოლო ვიდრე კოტე კუბლაშვილი მთავარი მოსამართლე იქნება, მის სახელს ჩრდილიც ვერ მიადგება, ამიტომ უსახლკაროდ დარჩენილი, ბიზნესჩამორთმეული ასობით ადამიანი სამართლიანობის აღდგენას და წართმეული ქონების დაბრუნებას ამაოდ ელის.**



**ბიზნესმენი თამაზ გელაშვილი:**

— საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურების მეიჯარე ვიყავი, შემდგომში — მეპატრონე. ეს ბიზნესი 1992 წელს დავიწყე, **„ნაცების“ მთავრობა რომ მოვიდა, დამიბარეს და მაიძულეს, რომ ბენდუქიძისთვის ხუთჯერ იაფად მიმეყიდა ჰესი, რომელიც მერე თვითონ 20 მილიონ დოლარად გაყიდეს.** ჰესი ბორჯომიდან ახალციხის მიმართულებით მე-10 კილომეტრზე მდებარეობს, ეს არ არის პატარა ჰესი, მტკვარი მთლიანად შედის. **მე ჩალის ფასად გამაყიდინეს და ფული ქართული არმიის განვითარების ფონდში შემატანინეს. მაშინ გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო.**

მას შემდეგ ნელ-ნელა და ეტაპობრივად წამართვეს ყველაფერი. ჩემი და ნინო გინტურის შეხვედრაც სწორედ მაშინ მოხდა. გინტურის ბიუროში გადაიფორმეს ჩემი ქონება, სამ-ნახევარი მილიონი გადამიხადეს. გინტურმა არ იცოდა, რომ ეს ფული წამართვეს და არმიის განვითარების ფონდში გადარიცხეს. სასოწარკვეთილს გინტურმა სამშენებლო კომპანიის მეწილეობა შემომთავაზა და მითხრა, რომ ხელისუფლებასთან პასუხისმგებელი ის იქნებოდა. დავთანხმდი, მაგრამ ყველა მშენებლობაში „გადამაგდო“. ყველაზე დიდი შეცდომა სოლოლაკის სახლის მშენებლობის დროს მოუვიდათ. ამ დროისთვის საქმიდან უკვე გამოსული ვიყავი და **სასამართლოში სარჩელიც შევიტანე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, რადგან ადეიშვილი და კუბლაშვილი ნინო გინტურს მფარველობდნენ. მაშინდელი საქმეები დღესაც თაროზეა შემოდებული.**

სოლოლაკის სახლის მშენებლობა რომ დაიწყეს, ბინების მეპატრონეები გავაფრთხილე, ვუთხარი, რომ აფერისტები იყვნენ, მაგრამ მიპასუხეს, ისინი თქვენი სახელით გველაპარაკებოდნენ და ამიტომაც შევქმენით ამხანაგობაო. მათ ვთხოვდი, ამხანაგობა დაეშალათ. მართლაც, მივიდნენ გინტურთან და ამხანაგობის დაშლა მოითხოვეს, მაგრამ ნოტარიუსმა დიდი თანხა მოითხოვა, მან განუმარტა, თუ რა ჯდებოდა ბაჟი და კიდევ ბევრი სხვა რამ. მოკლედ, ხალხი გადასახადებით დააშინა. მობინადრეებმაც გადაიფიქრეს სარჩელის შეტანა ამხანაგობის გასაუქმებლად, იმის იმედით, რომ მშენებლობა დაწყებულია და რაღას იზამენო, მაგრამ გინტურმა და მისმა თანამზრახველმა გელა ხუციშვილმა ბინები 400 ათასი დოლარით იპოტეკით დატვირთეს. გინტურმა ისე გააკეთა ხელშეკრულება, რომ ვითომ მობინადრეების ქონების განმკარგავი ხუციშვილი იყო, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. მათ, უბრალოდ, შრომა დაეზარათ, სახლის აშენება კერძო მევახშეების ხელში ჩაგდება სჯობდა. ექვსი თვის თავზე მევახშემ ბინების მფლობელებს უჩივლა, სასამართლოც მოიგო და ქონებაც გადაიბარა. 31 ოჯახი ქუჩაში რჩებოდა. ხალხის პროტესტის საფუძველზე 2010 წელს გელა ხუციშვილი დააპატიმრეს. მას, რა თქმა უნდა, თავის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ გინტურმა ის დააშინა, დანაშაული თავის თავზე აღებინა. შეუთვალა, რომ ყველა ბინის გაკოტრება მას დაბრალდებოდა და შეკრებითობის მეთოდით სამუდამო პატიმრობას მიუსჯიდნენ. გარდა ამისა, ამხანაგობის თავმჯდომარეც ის იყო, გინტური არსად ფიგურირებდა. **სინამდვილეში ბრალი გინტურს მიძღვოდა, სწორედ მან გააყალბა ბინის მეპატრონეების ხელმოწერები, ასე აკეთებდა ყველა ბინის მშენებლობის დროს. ხელმოწერებს აყალბებდა, ბანკებიდან ხალხის სახელით სესხებს იღებდა და თან არავინ არაფერი იცოდა.**



**— თქვენ რას ედავებით?**

— როდესაც ასეთი ბიზნესისთვის სესხს იღებ, ამხანაგობის მიერ ჩატარებული კრების ოქმი უნდა არსებობდეს და ეს ხელმოწერით უნდა იყოს დადასტურებული, პროცესს ნოტარიუსი უნდა ესწრებოდეს, ოქმს ხელს აწერს კრების მდივანი და თავმჯდომარე. ასეთი სრულყოფილი საბუთის საფუძველზე უნდა გასცეს ბანკმა სესხი. ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე, რომელიც გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, ასეთი ოქმი შედგა, მას ეწერა, რომ კრებას ამხანაგობის წევრთა ორ მესამედზე მეტი ესწრებოდა, კრების თავმჯდომარე კი მე ვიყავი, **ხელი ჩემ მაგივრად მოაწერა, ბანკში მიიტანა და სესხი აიღო, რამდენიმე წელი გავიდა და ბანკმა ყადაღა ჩემს ქონებას დაადო, მომხდარის შესახებ ასე გავიგე. ექსპერტიზა მოვითხოვე, თუმცა ბანკი ამბობს, რომ არაფერ შუაშია. ამ დავასა და უბედურებაში ისიც გავარკვიე, რომ გინტური ასეთ საქმეებს ყოველთვის „პროკრედიტ ბანკთან“ ერთად აკეთებს, შეკრულები ყოფილან.**

გოგებაშვილის ქუჩის ბინის მშენებლობაში არაფერ შუაში არ ვიყავი, იქ ჩემი მეუღლე უნდა ყოფილიყო, ის არის დამფუძნებელი, საბუთები კი გაყალბებულია ისე, რომ ვითომ ხელს მე ვაწერ. ასეთ შემთხვევაში, ჩემი მინდობილობა ჩემს მეუღლეს უნდა ჰქონოდა, იმის იმედი მქონდა, რომ ამ დანაშაულს მაინც დავუმტკიცებდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გინტურს მინდობილობაც გაუყალბებია. ეს ფაქტი დავადასტურე და პროკურატურა პასუხს ამ დრომდე არ სთხოვს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა და რამდენი პროკურორიც გამოიცვალა, განცხადება იმდენჯერ ხელახლა შევიტანე.

**სულ ვკითხულობდი და მაინტერესებდა, ეს „ნაცები“ ისეთი დაუნდობლები იყვნენ, თავისიანებსაც არ ინდობდნენ და ქალი, რომელმაც მილიონები შეჭამა, თავისუფლად რატომ დადის? თან მისი დარღვევები და დანაშაულები ისეთი აშკარაა, ათასობით ადამიანი ჰყავს დაღუპული, რომლებიც სულ ჩივიან. აღმოვაჩინე, რომ რამდენჯერაც კრიტიკულ ზღვარზე მიდგება საქმე, იმდენი „ჩასაშვები“ საქმე ჰქონია მომზადებული. ბიზნესმენების დიდი ნაწილი მისი დაღუპულია.** რამდენიმე ბიზნესმენის გვარს გეტყვით, რომლებზეც უტყუარი ინფორმაცია მაქვს — მურმან მუმლაძე, ბეტონის ქარხნების მეპატრონე, გინტურის მიერ გაყალბებული საბუთების საფუძველზე „ნაცებმა“ ქონება წაართვეს; ზურაბ ზაქაიძე — ეს ადამიანიც გინტურის დაღუპულია.

**— გასაგებია, ბატონო თამაზ, „ნაცების“ დროს მას ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ დღეს ვინ მფარველობს?**

— არ ვიცი, პროკურატურის ძველი თანამშრომლები პატრონობენ თუ ახლები. ცვლილება მოხდა. გენერალური ინსპექცია პროკურატურას ცალკე ჰყავს და იუსტიციის სამინისტროს — ცალკე. დავინტერესდი და ვიკითხე, ნოტარიუსი ვის დარჩა სამეთვალყურეოდ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ **იუსტიციის სამინისტრომ ნოტარიუსების საქმიანობა უნდა გააკონტროლოს, მაგრამ გინტურზე მითხრეს, რომ მას იმდენი სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, პროკურატურის დაქვემდებარებაში დატოვესო.**

საქმეები ჭიანურდება. ამ დრომდე ნინო გინტური ყველას აშინებს და, ვიდრე კუბლაშვილი იქნება, მას ხელს ვერავინ ახლებს.

**— ე. ი. გინტურს ახალი ხელისუფლებაც აშკარად ხელს აფარებს.**

— ასე გამოდის. თან საქმეს ხშირად ისიც გვიფუჭებს, რომ მას ყველა ამხანაგობაში მოსყიდული ჰყავს ხალხი. **მოსყიდული ჰყავს პროკურატურაც და ასევე „პროკრედიტ ბანკი“, რომელიც სესხებს გაურკვეველ ვითარებაში, გაყალბებული საბუთების საფუძველზე გასცემდა.**

ამ ქალბატონს რამდენიმე სასამართლო პროცესი ჰქონდა, მის ყველა საქმეს მოსამართლე გიორგი სულაკაძე იხილავს, რომელიც დღესაც თავის ადგილზე ზის. ასეთი დამთხვევა წარმოუდგენელია.

მინდა, ყველა მის მიერ მოტყუებული ხალხი შევკრიბო და ერთობლივი ძალებით შევუტევთ. **ნინო გინტური ქალი კი არა, ყაჩაღია, მასთან ურთიერთობა ყველასთვის ციხის კართან დასრულდა.**

ნინო გინტურს დღესაც ვერის ბაღის შესასვლელთან სანოტარო ბიურო აქვს. ეს გახლავთ ქალბატონი, რომელიც ღამის სამ საათზე ხალხს ქონებასა და ბიზნესს ართმევდა, ზოგს ციხეში და ზოგსაც გარეთ. „ნაცებს“ თუკი რამ ქონება აქვთ მითვისებული, სულ ამ ქალის ხელით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## რას ნიშნავს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა?

**„ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო მოსკოვის ნაცვლად ბრიუსელს ირჩევს,“ — განაცხადა ევროკომისარმა შტეფან ფულემ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.**

ფულემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დოკუმენტის გარშემო ბევრი არასწორი წარმოდგენა და მითი არსებობს. „ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ასე მარტივი სახით წარმოადგინონ საქართველოს არჩევანი, კონფრონტაციაზე არიან ორიენტირებულნი. ნამდვილად არსებობს არჩევანი, მაგრამ ეს არჩევანი არ უნდა დავსახოთ, როგორც ქვეყნებს შორის არჩევანი. ნამდვილად არ მინდა, რომ ვინმეს არასწორად ესმოდეს ასოცირების ხელშეკრულების არსი. დოკუმენტი შექმნილი არ არის რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთიც დიდ სარგებელს მიიღებს ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციით. პროცესი ხელს შეუწყობს იმას, რომ შეიქმნას საერთო ეკონომიკური სივრცე“, — განაცხადა შტეფან ფულემ.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და პენსილვანიის უნივერსიტეტში ვმუშაობდი და ვიცი, რომ ამ სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ტოლია. იქ მეცნიერებას დიდ ყურადღებას აქცევენ, ჩვენთან კი უნივერსიტეტებს მიზერული თანხით აფინანსებენ და რომელ მეცნიერებაზეა საუბარი?!“**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

გიორგი კვესიტაძე:

# ქართველი მეცნიერის ამჟამინდელი ხელფასი მასხრად აგდებაა!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი (ოთარ) კვესიტაძე ცოტა ხნის წინათ შვეიცარიაში, ჟენევის მახლობლად მდებარე ატომური კვლევების ევროპულ ცენტრ „ცერნში“ (CERN - Conseil Europeen pour la Recherche Nucleaire) იმყოფებოდა. ბატონი ოთარი სწორედ „ცერნში“ ვიზიტსა და მეცნიერებათა აკადემიაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება.**

— 2013 წლის 20 ივნისს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტების, სწავლული მდივნის არჩევნები და მთლიანად გამოიცვალა მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა. წინა პრეზიდენტი, სახელგანთქმული მეცნიერი, ბატონი თამაზ გამყრელიძე ჰუმანიტარი იყო და მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მეცნიერებათა აკადემია ჰუმანიტარული მიმართულებით უფრო ვითარდებოდა, დღეს კი ვექტორი შეიცვალა. დღეს ვცდილობთ, რომ იმ შესაძლებლობებით, მიღწეული დონით, რომელიც საქართველოშია (არადა, ჩვენი მეცნიერული დონე საკმაოდ მაღალია), ტექნოლოგიები დავამუშავოთ. **თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, როდესაც მავანი სვამს კითხვას: დარჩა კი დღეს საქართველოში მეცნიერი? ქართველი მეცნიერები მსოფლიოში არიან აღიარებულნი.**

**— ტექნოლოგიების დამუშავებაში რას გულისხმობთ?**

— ტექნოლოგიების უკმარისობამ, მორალურად მოძველებულმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია ის, რომ საქართველოში სოფლები თანდათან დაიცალა ხალხისგან. ქვეყანაში მწვავედ დგას შიგა მიგრაციის საკითხი. მაღალმთიანი სოფლებიდან ხალხი მოდის და მხოლოდ სახლებიღა რჩება. ეს ტენდენცია თვალში საცემია მთა-თუშეთსა და ზემო სვანეთში, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მაღალმთიან აჭარაში. ბოლო 50 წლის განმავლობაში ამ მხარეებში მთავრობამ გაიყვანა უხარისხო გზა და ზოგიერთ სოფელში — ელექტროენერგია. იქაური მოსახლეობისთვის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომ ის, რასაც გლეხი საუკუნეების განმავლობაში აკეთებდა, მორალურად გაცვდა, დაძველდა და გლეხიც იძულებული შეიქნა, ქალაქში წასულიყო. სწორედ ამის ბრალია, რომ დღეს თბილისი თავკომბალას დაემსგავსა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად **ჩამოვაყალიბეთ ტექნოლოგიების კომისია, რომელიც არჩევს, აანალიზებს და აფასებს ქართულ მიწას. სწორედ ამგვარი მიდგომით ვაპირებთ სოფლისთვის მთელი რიგი ტექნოლოგიების დამუშავებას. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, თუმცა ათი ტექნოლოგია უკვე შემუშავებული გვაქვს.**

ასევე გვინდა, კავკასიური უნიკალური ბიომრავალფეროვნების წარმოჩენა და მრავალდარგობრივი ტექნოლოგიის განვითარება.

**— ამ ყველაფრის განვითარებაში სახელმწიფო თუ გეხმარებათ?**

— ჯერ მთავრობისთვის არ გაგვიცნია. ვაპირებთ, რომ მასალები ეკონომიკის სამინისტროს მივაწოდოთ. აგრეთვე, ვაპირებთ აკადემიაში პრემიერმინისტრის მოპატიჟებას ამ ყველაფრის გასაცნობად და ა.შ. იმედია, ამ ყველაფერს დადებითად შეხვდებიან, რადგან ჩვენი ქვეყანა ნამდვილად მოითხოვს ტექნოლოგიურ მოდერნიზებას. ასევე ვაპირებთ სხვა უნიკალური პროდუქტების წარმოებას, დაკონსერვებას. მაგალითად, ნიყვისა და მოცვის. **ადამიანი საქართველოში ცხოვრობდეს და მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდეს, წარმოუდგენელია, თუმცა ფაქტია,** ამიტომაც ვაპირებთ ჩვენი უნიკალური მინაწყლის და რესურსების ბოლომდე გამოყენებას.

**— რა პრობლემები დაგხვდათ მეცნიერებათა აკადემიაში?**

— პრობლემა იყო ის, რომ აკადემია მოწყვეტილი იყო იმ ჭეშმარიტ საქმიანობას, რომელიც ქვეყანას სჭირდება. არადა, აკადემია ფუნდამენტურ მეცნიერებას გულისხმობს, რომ პერსპექტივები ადრე თუ გვიან რეალობად იქცეს. დღეს მსოფლიოში ბიოტექნოლოგიებით ვაჭრობა ნავთობით ვაჭრობის შემდეგ მეორე ადგილზეა (თანხების ბრუნვას ვგულისხმობ). არადა, საქართველო, რომელიც უფალმა თითქოს ბიოტექნოლოგიის გასავითარებლად შექმნა, ამ მხრივ ძალიან დაბალ დონეზეა. საქართველოში „აფეთქებული“, განსხვავებული ბუნება და ხალხია, რაც ბიომრავალფეროვნების შედეგია. **მსოფლიოში 16 ჯიშის ხორბალი არსებობს. მათგან 4 ქართულია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საქართველოში 500 ჯიშის ვაზია ნაპოვნი, მაშინ, როდესაც ევროპაში სულ 100 ჯიში ხაროვს. 7 000 ბაზიდიალური სოკოა საქართველოში, უკრაინაში კი — მხოლოდ 1 500 ჯიში...**

**— მიხეილ სააკაშვილმა არაერთი ინსტიტუტი გაანადგურა საქართველოში, მაგალითად, ფიზიკის...**

— აკადემიიდან 46 ინსტიტუტია გაძევებული და ახლა ვიბრძვით, რომ უკან დავიბრუნოთ.

**— გაძევებული რას ნიშნავს?**

— **სააკაშვილმა ინსტიტუტები აკადემიის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ინსტიტუტების შენობები გაეყიდა.** ამ ინსტიტუტებს დღეს შენობები აღარ აქვთ, მაგრამ მეცნიერულად მაინც მაღალ დონეზე არიან. **ახლახან ამერიკაში გახლდით, ამერიკის არმიის განვითარების ცენტრში, სადაც შევხვდი გენერალ ედვარდ კენედის. მან გამომკითხა ჩვენი აკადემიის ამბები და მითხრა, მსოფლიოში უდიდესი რეპუტაციით სარგებლობთ ქართველი მეცნიერებიო, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნას 6-7 წელი სჭირდება, თავდაცვის სამინისტროს 10 წელი, მეცნიერებათა აკადემიას 50-60 წელი მაინც დასჭირდება და გაუფრთხილდით იმას, რაც გაქვთო.**

**— რამდენი აქვთ მეცნიერებს დღეს ხელფასი?**

— **ქართველი მეცნიერის ამჟამინდელი ხელფასი მასხრად აგდებაა!**

**მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და პენსილვანიის უნივერსიტეტში ვმუშაობდი და ვიცი, რომ ამ სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ტოლია. იქ მეცნიერებას დიდ ყურადღებას აქცევენ, ჩვენთან კი უნივერსიტეტებს მიზერული თანხით აფინანსებენ და რომელ მეცნიერებაზეა საუბარი?!** წინა ხელისუფლებამ აკადემიიდან სხვადასხვა ინსტიტუტი მოტყუებით გაიყვანა და ამტკიცებდა, ევროპაში ასეაო. ან ევროპას რატომ ვედრებით?! ესა თუ ის ინსტიტუტი ვიწრო ხაზს მისდევს, ხოლო მეცნიერებათა აკადემია სრულიად ქვეყანას ემსახურება.

**— საზღვარგარეთ რამდენი ქართველი მეცნიერი მუშაობს?**

— **მაღალრეიტინგიან უნივერსიტეტებსა და კომპანიებში 350 ქართველი მეცნიერი მოღვაწეობს, მაშინ, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სულ 110 მეცნიერილა მუშაობს. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, 350 მეცნიერის ქვეყნიდან გადახვეწა არ არის კარგი, თუმცა მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციებში მათი მოღვაწეობა ქვეყნის პრესტიჟია.**

**— ეს ე. წ. ტვინების გადინებაა?**

— ადრე მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ დღეს სხვაგვარად დგას საკითხი. სწორედ ამ ხალხის გამოყენებით ვცდილობთ ერთიანი სამეცნიერო სივრცის შექმნას. იყვნენ ის მეცნიერები იქ. მათთან გავგზავნით ჩვენს ახალგაზრდებს, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები თანამემამულეს უფრო მიხედავენ, ასწავლიან და ასე შევკრავთ ქართულ სამეცნიერო სივრცეს, რომელშიც საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პროფესორ-მეცნიერებიც იქნებიან ჩართულნი. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც ვიმყოფებოდი „ცერნში“.

**— ვიდრე „ცერნში“ ვიზიტზე ვისაუბრებდეთ, მითხარით, დღეს საქართველოში როგორ ცხოვრობენ მეცნიერები?**

— ძალიან უჭირთ. 20 წელიწადი ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი და იმ ინსტიტუტში 4-ჯერ მოხდა კადრების შემცირება. როდესაც თანამშრომლებს შევამცირებდი, შემოდიოდნენ და ისეთ რაღაცებს მეუბნებოდნენ... ერთმა ქალბატონმა, რომელსაც ჯამაგირი 35 ლარი ჰქონდა შემომჩივლა, რატომ შემამცირეთო. ვუპასუხე, 35 ლარი ხომ მაინც არაფერია-მეთქი, მიპასუხა, ეს არის ჩემი საარსებო საშუალებაო. **დღეს ვითარება შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც მეცნიერებას ემსახურებიან, სათანადო დაფასება მაინც არ აქვთ.**

**— „ცერნში“ რა მისიით იმყოფებოდით?**

— ამ ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა როლფდიტერ ჰოიერმა მიმიწვია, რადგან იქ 35 ქართველი მეცნიერი მუშაობს. „ცერნის“ ატომური კვლევების ლაბორატორიაში ქართველების წვლილი საკმაოდ დიდია და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ ამ ორგანიზაციაში მოვხვდი. „ცერნში“ ნაწილაკების აჩქარების სამი დონეა, რომელსაც დიდი ანდრონული კოლაიდერი ჰქვია. იქ ხდება აჩქარება ელემენტარული ნაწილაკებისა, რომლებიც პირველ შრეში სპეციალური მაგნატების ზემოქმედებით იწყებენ მოძრაობას. ამ ნაწილაკებს მეორე შრეში უფრო აჩქარებენ, მესამე შრეში — კიდევ უფრო და ბოლოს ერთმანეთს ეჯახებიან. დაჯახების მომენტში ნაწილაკების სიჩქარე ლამის სინათლის სიჩქარის ტოლია. **ნაწილაკების შეჯახების მომენტში ერთ წამში გამოიყოფა უზარმაზარი ენერგია და იმდენი ინფორმაცია, რომ 100 ათას კომპაქტდისკზე არ ეტევა.**

„ცერნში“ 8 დღე ვიმყოფებოდი. შევხვდი იქ მომუშავე ქართველებს, მოვიარე მთელი ორგანიზაცია. იქ ვერც ერთი სპეცსამსახურის თანამშრომელი ვერ შევა დირექციის ნებართვის გარეშე. ეს არის მსოფლიოს მეცნიერების მოწინავე ფრონტი, რომელშიც ქართველებიც შესანიშნავად მუშაობენ — „ცერნის“ ხელმძღვანელობამ ჩვენი თანამემამულეები ძალიან აქო. შეიძლება „ცერნის“ მსგავსი ლაბორატორია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსაც ჰქონდეს, მაგრამ სხვა ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. **„ცერნში“ ყოველდღიურად მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის 7000 ფიზიკოსი მუშაობს. თვითონ შენობა მიწისქვეშ 80 მეტრის სიღრმეშია და იმ სამი შრის გარშემო ველოსიპედებით დავდიოდით.** ამ ატომური ცენტრის კვლევების 95% ფიზიკის დარგს ემსახურება, 5% კი — ქიმიის, ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებს.

**— რომელი ქართველი მეცნიერები მუშაობენ „ცერნში“?**

— გივი სეხნიაძე, ირაკლი მინაშვილი, ალექსანდრე ღონღაძე, ირმა ღოლაძე, ალექსი მესტვირიშვილი, ალექსანდრე ბითაძე, ნუგზარ მოსულიშვილი, რომან აბრამიშვილი, ნიკო ცუცქირიძე, ნიკა შარმაზანაშვილი, სოფიო პატარაია, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ხუბუა და კიდევ უამრავი ქართველი. სხვათა შორის, ჯემალ ხუბუა „ცერნში“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელია.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

მოკლედ

## სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თბილისში, პარლამენტის შენობაში დაიწყებს მუშაობას

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში განთავსდება და პარლამენტის ბიუჯეტიდანვე დაფინანსდება. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საკონსტიტუციო კომისიის პირველ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

მისივე ინფორმაციით, კომისიის მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე იქნება, რომელიც ამ ეტაპზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იურიდიულ სამსახურში მუშაობს.

„სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის მიერ შეიქმნა. პარლამენტმა საკუთარ თავზე აიღო კომისიის საორგანიზაციო, სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში, ფინანსური თვალსაზრისით, დამატებით ხარჯებს არ გამოიწვევს, იგი პარლამენტის არსებული საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსდება. კომისიის აპარატი განთავსდება პარლამენტის შენობაში რუსთაველის გამზირზე და უახლოეს ხანებში, ერთი თვის ან თვე-ნახევრის განმავლობაში იქნება იმის შესაძლებლობა, რომ კომისიამ იქ დაიდოს ბინა. შესაბამისად, შეკრებების ჩატარება შესაძლებელი იქნება პარლამენტის შენობის დარბაზებში. კომისიას ეყოლება თავისი აპარატი, მაგრამ პარლამენტის აპარატიც კომისიის განკარგულებაში იქნება,“ — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ქართველმა არქეოლოგებმა კარგად იციან, რომ აბულმეგის მიდამოებში არსებული ოქროს საბადო მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქას. საბადოს კულტურულ ისტორიული მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნულია ეროვნული აკადემიის გრიფით დარეგისტრირებულ გ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის 1987 წლის ანგარიშში.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გთხოვთ, შეაჩეროთ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ხელყოფა

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს
## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო და ბატონო პრემიერმინისტრო, საკითხი რომელზეც თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ, პირადად თქვენს და ქვეყნის პრესტიჟს უკავშირდება, რომელსაც, როგორც არასდროს, გაფრთხილება და განმტკიცება სჭირდება.**



საკითხი ეხება საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს სტატუსთან დაკავშირებით განვითარებულ ვნებათაღელვას. იგი რამდენიმეჯერ გახდა საჯარო განხილვის საგანი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. რაც დრო გადის, საკითხის სიმწვავე მატულობს და, თუ მისი გადაწყვეტა დროულად არ მოხდა, უკიდურესად ცუდ შედეგს მოუტანს ქვეყნის ავტორიტეტს საერთაშორისო მასშტაბით.

საქმის ვითარება ასეთია: **გასული წლის აპრილში სამთამადნო კომპანიამ საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილობით მიმართა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის (საყდრისი-უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლია) გადატანის მზადყოფნის თაობაზე კომპანიის ,,ეკონომიკური ასპექტებისა" და „საბიუჯეტო შემოსავლების" ინტერესებიდან გამომდინარე. წერილი დაეწერა კულტურის მინისტრს, რომელმაც საკითხის შესწავლის მიზნით შექმნა კომისია. კომისიის დასკვნის საფუძველზე მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის შინაარსიც გულისხმობდა ობიექტისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნას და მოძრავი ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო ღონისძიებების გატარებას. კომისიის დასკვნა ტენდენციურია, არ შეესაბამება სინამდვილეს და მასში მოყვანილი არგუმენტები ეწინააღმდეგება დღემდე არსებულ ფაქტობრივ მასალებს, დოკუმენტებს და მეცნიერულ კვლევებს არქეოლოგიაში, გეოლოგიაში, მინერალოგიაში, მეტალურგიასა და ეკოლოგიაში.**

ალსანიშნავია, რომ **კომისიაში ცალკეული დარგის სპეციალისტები პიროვნულად იყვნენ წარმოდგენილნი, არ გამოხატავდნენ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მოსაზრებებსა და დამოკიდებულებას ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ. კომისიის დასკვნაზე არ არსებობდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოსაზრება.** კულტურის მინისტრის ბრძანების გამოცემიდან 25 დღის შემდეგ მიეცა საშუალება მეცნიერებათა აკადემიას, გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ძეგლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და დაადასტურა გერმანიის სამეცნიერო ცენტრების მიერ წარმოებული სამუშაოების გაფართოებისა და ძეგლების დაცვის სახელმწიფოებრივი ინტერესი, რის შესახებაც მიმართა კულტურის მინისტრს (წერილი № 010107-39/332, 31.07.2013)

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასული წლის 26 სექტემბერს, საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიუთითა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, კანონის შესაბამისად, საკითხის შესწავლაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჩართვის თაობაზე. **არქეოლოგიური კვლევები ჩაატარა შპს „არქეოლოგიურმა გაერთიანებამ" სამთამადნო კომპანიის დაფინანსებით ისე, რომ მეცნიერებათა აკადემიას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია არც არქეოლოგიური გაერთიანების ექსპედიციის შედგენაში და არც შესაბამისი ანგარიშის შემუშავებაში.** მეცნიერებათა აკადემიამ შეაფასა მხოლოდ არქეოლოგიური გაერთიანების მიერ ჩატარებული სამუშაოები, რომლებიც ეხებოდა ძეგლის იმ ნაწილს, რომელიც ან შესწავლილი იყო ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ ან, შესწავლის თვალსაზრისით, არ იყო საინტერესო. **აღსანიშნავია, რომ სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობა არ მიუღია არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, რომელიც წლების მანძილზე მონაწილეობდა კვლევებში გერმანელ მეცნიერებთან ერთად.** შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაკეთებულმა საგანგებო განცხადებებმა და წერილმა კულტურის მინისტრის მიმართ დაადასტურა ძეგლის მნიშვნელობა და მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობა. დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებიდან ინფორმირებული ბრძანდებით ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 7 იანვარს სამთამადნო კომპანიამ კანონის დარღვევით ძეგლის ნაწილი დააზიანა, რომლის ხარისხის შეფასების საშუალებაც დღემდე არ ეძლევა კულტურის სამინისტროსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

**2014 წლის 27 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებულმა სპეციალურმა საბჭომ ერთხმად გამოიტანა ობიექტური რეკომენდაცია ,,საყდრის ოქროს მაღაროსთვის" უძრავი ძეგლის სტატუსის აღდგენის შესახებ.** ეს იმას ნიშნავს, რომ 11-კაციანი კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოტანილი აბსურდული ბრძანება მაღაროსთვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ ავტომატურად უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

**ქართველმა არქეოლოგებმა კარგად იციან, რომ აბულმეგის მიდამოებში არსებული ოქროს საბადო მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქას. საბადოს კულტურულ ისტორიული მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნულია ეროვნული აკადემიის გრიფით დარეგისტრირებულ გ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის 1987 წლის ანგარიშში.**

იმისათვის, რომ არ მოხდეს გამოუსწორებელი შეცდომა, დაუშვებელია, ამ უნიკალური ძეგლის ბედი გადაწყდეს წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტების ოფიციალური დასკვნების გარეშე, ასეთი დასკვნები ხელეწიფება შემდეგ სამეცნიერო ორგანიზაციებს:

1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ა. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტსა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს;

2) საქართველოს ეროვნული მუზეუმის ,,არქეოლოგიური კვლევის ცენტრს";

3) გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტს;

4) ფერდინად თავაძის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს;

5) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს;

6) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიურ ინსტიტუტს";

7) საქართველოს ეროვნულ აკადემიას.

2013 წლის 9 დეკემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის დროს ქართულ სამთავრობო დელეგაციას გერმანელმა მეცნიერებმა ,,საყდრისის ოქროს მაღაროს" კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის შესაფასებლად შესთავაზეს დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ჩამოყალიბება. მათი დასკვნა გააადვილებდა პრობლემის სწორად გადაწყვეტას.

**ბატონო პრეზიდენტო და ბატონო პრემიერმინისტრო!**

კომპანიის მიერ „საყდრისის ოქროს მაღაროს" განადგურებას საზოგადოება აფასებს, როგორც ეთნოციდის მცდელობას. გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ძეგლზე საერთაშორისო საექსპერტო სამუშაოების ჩატარებას და შესაბამისი დასკვნის მიღებამდე შეაჩეროთ ძეგლის ხელყოფა სამთამადნო კომპანიის მხრიდან.





# ემზარ კვიციანი დუმილის უფლებას იყენებს

**საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის კოდორის ხეობაში — ემზარ კვიციანის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი დუმილის უფლებას იყენებს. მისივე თქმით, კვიციანი საქართველოში გამოძიებასთან თანამშრომლობის მიზნით ჩამოვიდა, რათა მის მიმართ წაყენებული მუხლების აბსურდულობა დაემტკიცებინა.**

„უამრავ პროცედურულ დარღვევას ჰქონდა ადგილი. ამასთანავე, გამოძიებამ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებს, ჩვენთვის საქმის მასალების გადმოცემაზე ბრალდების დადგენილების გამოთხოვნამდე უარი განაცხადა. გამომდინარე იქიდან, რომ არ ვიცით, რას ეყრდნობა ბრალდება, პროზიციებს ვერ ვაყალიბებთ და, სანამ საქმის მასალებს არ მივიღებთ, დუმილის უფლების გამოყენება გადავწყვიტეთ. გარდა ამისა, გვსურს, საქმე ბრალდების დადგენილებამდე ძიების პროცესშივე შევწყვიტოთ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიებას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა შეუძლია, თუ ვითარება შეიცვალა (ვითარება კი შეცვლილია, რადგან კოდორის ხეობა, რომლის დაცვასაც კვიციანი ცდილობდა, არა მან, არამედ ძველმა ხელისუფლებამ დაკარგა)", — განაცხადა ადვოკატმა. მისივე თქმით, იმ 10 მუხლიდან, რომლებიც კვიციანს ბრალად აქვს წაყენებული, მთავარი ამბოხებაა. გარდა ამისა, მას ბრალად ედება იარაღის უკანონო ტარება, უკანონო ფორმირებების შექმნა, თაღლითობა და ადამიანების გატაცება და ამ მუხლთა ნაწილი ამნისტირებულია. რაც შეეხება გატაცებებს, ადვოკატის თქმით, კვიციანი აცხადებს, რომ ეს ბრალდებები შეთითხნილია. ადვოკატი პროკურატურისა და კვიციანის კონტაქტს გამორიცხავს და აცხადებს, რომ „ემზარის გადაწყვეტილება ყველასთვის მოულოდნელი იყო".



# დიდი ბრიტანეთი არ აპირებს, რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო და ფინანსურ სანქციებს შეუერთდეს

**„დიდი ბრიტანეთი არ აპირებს, შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო და ფინანსურ სანქციებს, რომელიც, შესაძლოა, ევროკავშირმა შემოიღოს", — წერენ ბრიტანული გამოცემები — The Guardian და The Telegraph.**

დიდი ბრიტანეთის მთავრობა მუშაობს გეგმაზე, რომელიც საშუალებას მისცემს ოფიციალურ ლონდონს, ევროკავშირის მიერ სანქციების შემოღების შემთხვევაში, რუსული ინვესტიციებისთვის ღია დარჩეს, თუმცა დიდი ბრიტანეთი რუსი მაღალჩინოსნების მიმართ სავიზო სანქციების დაწესების წინააღმდეგი არ არის.

გარდა ამისა, ლონდონი სამხედრო მოქმედებების დაწყების წინააღმდეგი იქნება, მათ შორის ნატოს მხრიდან.

ამის ნაცვლად, ბრიტანეთი მხარს უჭერს გაეროსა და ეუთოს დამკვირვებლების მისიის ჩასვლას ყირიმში.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს გერმანიის მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი თვლის, რომ აშშ კიდევ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის მეგობრად, 70 პროცენტის აზრით კი, აშშ-ის ნდობა არ შეიძლება. გამოკითხულთა 82 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამერიკული სპეცსამსახურები კვლავაც განაგრძობენ გერმანიის მოქალაქეების თვალთვალს.**




## ევროპარლამენტის დებოშირი და მთვრალი ვიცეპრეზიდენტი პოლიციელებმა დააკავეს

**26 თებერვალს ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტი იაცეკ პროტასევიჩი მაინის ფრანკფურტის (გერმანია) აეროპორტში დააკავეს.**

პოლიციელთა განცხადებით, პროტასევიჩი ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა, ამასთანავე, ევროპარლამენტის მაღალჩინოსანი სიტყვიერად შეურაცხყოფდა აეროპორტის თანამშრომლებს — მებაჟეებსა და პოლიციელებს. მათ ნაცისტებს ეძახდა და გაჰყვიროდა: „ჰაილ ჰიტლერ!“

გამოფხიზლების შემდეგ პროტასევიჩმა განაცხადა, რომ ის აეროპორტის თანამშრომლებმა შეურაცხყვეს, მაგრამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნების შემდეგ თქვა, რომ „ზედმეტად ემოციურად მოიქცა“.

იაცეკ პროტასევიჩი ევროპარლამენტში პოლონეთის მმართველი პარტიის „სამოქალაქო პლატფორმის“ რიგებიდან მოხვდა.



## თინეიჯერებმა თანაკლასელს შუბლზე სვასტიკა ამოკაწრეს

**აშშ-ში მოზარდების ძალადობის ტალღა არ ცხრება — სროლა სკოლებში, სატანისტური რიტუალები, ე. წ. თამაში „ნოკაუტი“, რომლის დროსაც ქუჩაში გამვლელი ერთი დარტყმით უნდა წააქციო და ა. შ. ასეთ გართობებში პერიოდულად გამოერევა ხოლმე ნაციზმის ელემენტებიც.**

ორეგონის შტატში ოთხი მოსწავლე თავიანთი ამხანაგისთვის ფულისა და სკეიტბორდის გამოძალვას შეეცადა. 15 წლის დასტინზე თავდასხმაში მისი ოთხი სკოლელი მონაწილეობდა: ორი გოგონა (15 და 17 წლის) და ორი ბიჭი (14 და 15 წლის). კლასელმა გოგონამ დასტინს გაკვეთილების შემდეგ ერთად გასეირნება შესთავაზა და შეიტყუა სარდაფში, სადაც მას თანამზრახველები ელოდნენ. ერთ-ერთმა ბიჭმა დასტინს თავში რკინის კეტი ჩაარტყა, შემდეგ კი სამჯერ ესროლა პნევმატური პისტოლეტიდან — ტყვიები 15 წლის მოზარდს მკერდში, ხელში და საზარდულში მოხვდა.

დასტინს აიძულეს, კატის განავალი შეეჭამა, დაცინვისა და დამცირების კულმინაცია კი მის შუბლზე სამახსოვროდ ამოკაწრული ფაშისტური სვასტიკა იყო. გამოძიების მასალების მიხედვით, თავდამსხმელები მსხვერპლისთვის ფულისა და სკეიტბორდის წართმევას შეეცადნენ.

დასტინმა მწვალებლებისგან თავის დაღწევა ბანკომატიდან ფულის გამოტანის საბაბით მოახერხა. ის ბანკომატთან მისვლის ნაცვლად მაღაზიაში შევარდა და დახმარება ითხოვა.

პოლიციამ ბოროტმოქმედები ცხელ კვალზე დააკავა — დანაშაულის ჩადენის ადგილიდან ნახევარ კილომეტრში. ყველას, 14 წლის ბიჭის გარდა, თავდასხმის, მოტაცებისა და დანაშაულებრივი შეთქმულების ბრალდება წაუყენეს. თითოეულს გირაოდ 3 მილიონი დოლარი შეუფარდეს. ყველაზე უმცროსი დამნაშავის საქმეს კი სასამართლო მოგვიანებით განიხილავს.

# ევროპარლამენტი ანტიამერიკული გახდება

**აშშ-სა და ევროპას შორის მოჩვენებითი სიმშვიდე არ ნიშნავს მშვიდობიან თანამშრომლობას, ახალ ინიციატივებსა და პერსპექტივებს. პირიქით — ბარაკ ობამას კაბინეტისა და ევროკავშირის ალიანსს არ აქვს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. უფრო მეტიც, მშვიდი ტრანსატლანტიკური ურთიერთობა მხოლოდ ღრმა გამიჯვნაზე მიუთითებს.**



ამა წლის მაისში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (28 სახელმწიფო) ევროპარლამენტის მორიგი არჩევნები უნდა გაიმართოს. აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ევროპის რამდენიმე ქვეყნის პირველი პირების თვალთვალისა და მათი სატელეფონო საუბრების მოსმენის გამო ატეხილი სკანდალის შემდეგ, ექსპერტები ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეების დამარცხებას ვარაუდობენ: 766 მანდატის 40% შეიძლება ერგოს იმ პარტიებს, რომლებიც აშშ-თან მეგობრობის წინააღმდეგ გამოდიან.

ანტიამერიკული ძალები, რომლებიც ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი ევროპარლამენტში, ნაციონალური კონსერვატიზმის მიმდევრები არიან და ე.წ. ევროსკეპტიკოსებს მიეკუთვნებიან. ისინი ნეგატიურად აფასებენ ევროკავშირის შიგნით ინტეგრაციას — ფედერალიზაციას, საერთო ვალუტას და კონსტიტუციას.

**რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ის სკეპტიკოსების კრიტიკის ქარ-ცეცხლში დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ჩარევისა და მოკავშირეების ერთმანეთთან დაჯახების გამო ეხვევა.**

ანტიამერიკანიზმის მატარებლის ლოკომოტივი არის საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი, რომელსაც მარინ ლე პენი ხელმძღვანელობს. მისი აზრით, „ამერიკელები ევროკავშირს მსოფლიოზე დომინირებისთვის საჭირო ინსტრუმენტად იყენებენ და საფრანგეთის სუვერენიტეტის განადგურება სურთ“. შემთხვევითი არ არის, რომ საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობს გეოპოლიტიკის დოქტორი ემერიკ შოპარდი, რომელიც დარწმუნებულია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ვაშინგტონის მიერ იყო მოწყობილი, რათა კარტ-ბლანში მიეღო დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ საბრძოლველად. სავარაუდოდ, სწორედ შოპარდი ჩაუდგება სათავეში ნაციონალური ფრონტის ფრაქციას ევროპარლამენტში. **საარჩევნო კამპანიაში ფრანგების უახლესი მოკავშირეა პარტია „ნიდერლანდების თავისუფლებისთვის“**. მის ლიდერს ჰერტა ვილდემასს ფრანგ ნაციონალებთან კავშირის დამყარება „ისლამური სამყაროსადმი აშშ-ის დამოკიდებულებამ უბიძგა“. მისი თქმით, ბარაკ ობამამ „ისრაელი — ეს დასავლეთის ფორპოსტი — ბედის ანაბარა მიატოვა“.

**გარდა ამ პარტიებისა, ბლოკში შედის ავსტრიის თავისუფლების პარტია, რომლის ლიდერიც თავის დროზე ამტკიცებდა, რომ ჯორჯ ბუში არაფრით განსხვავდება სადამ ჰუსეინისგან, და ბელგიური „ფლამანდიის ინტერესები“.**



ამ ოთხ პარტიას თავისი ქვეყნების პარლამენტებში რეგულარულად აქვთ მანდატების საერთო რაოდენობის მეოთხედი, მაგრამ რადიკალური განწყობილების გამო, მათთან კოალიციაში შესვლა არავის სურს. აქედან გამომდინარე, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაშიც კი ნაციონალური მთავრობის ჩამოყალიბებას ვერ ახერხებენ. აი, **ევროპარლამენტში კი მაისის არჩევნების შემდეგ ისინი მძლავრი ფრაქციათაშორისი დაჯგუფების ჩამოყალიბებას შეძლებენ**. ექსპერტთა ვარაუდით, საფრანგეთში გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებში პირველ ადგილს დაიკავებს მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტი, კარგ შედეგებს მიიღებს დანარჩენი სამი პარტიაც საკუთარ ქვეყნებში.

ნაციონალ-კონსერვატორების ბლოკს, რა თქმა უნდა, აქვს რეზერვიც. **არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობენ ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია, ბულგარული „ატაკა“, ბერძნული „ოქროს განთიადი“ და ა.შ.**

თუმცა სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ანტიამერიკანიზმი მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ზეობს. **ამ არჩევნების უნიკალურობა არის ის, რომ ყველა მეტ-ნაკლებად ბრიუსელისა და აშშ-ის უკმაყოფილოა.**

**ორმხრივი ურთიერთობის იდეოლოგიურ ჩიხზე ევროპისა და აშშ-ის ბევრი ინტელექტუალი ალაპარაკდა**.

„უნდა ვაღიაროთ, აშშ-სა და ევროპას შორის მოჩვენებითი სიმშვიდე არ ნიშნავს მშვიდობიან თანამშრომლობას, ახალ ინიციატივებსა და პერსპექტივებს. პირიქით — ბარაკ ობამას კაბინეტისა და ევროკავშირის ალიანსს არ აქვს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. უფრო მეტიც, მშვიდი ტრანსატლანტიკური ურთიერთობა მხოლოდ ღრმა გამიჯვნაზე მიუთითებს“. — წერდა 2012 წლის შემოდგომაზე სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რასელ ბერმანი. ცოტა ხნის შემდეგ კი მსოფლიომ შეიტყო ამერიკის სპეცსამსახურის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, რომელიც მიმართული იყო, როგორც ვაშინგტონის წარმომადგენლებს უყვართ თქმა, „კეთილსინდისიერი პარტნიორების“ წინააღმდეგ. ედვარ სნოუდენის მამხილებელ დოკუმენტებს ვულკანის ამოფრქვევის ეფექტი ჰქონდა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლები 80 ქვეყნის საელჩოებსა და საკონსულოებს, აგრეთვე, ნატოს შტაბ-ბინას და ევროკავშირის სტრუქტურებს უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ.

**და რა გასაკვირია, რომ ანტიამერიკულ ძალებს მომავალ არჩევნებში ევროპელთა სულ უფრო მზარდი ანტიამერიკული განწყობის იმედი აქვთ?** მაგალითად, **დღეს გერმანიის მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი თვლის, რომ აშშ კიდევ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის მეგობრად, 70 პროცენტის აზრით კი, აშშ-ის ნდობა არ შეიძლება. გამოკითხულთა 82 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამერიკული სპეცსამსახურები კვლავაც განაგრძობენ გერმანიის მოქალაქეების თვალთვალს.**

იტალიური გაზეთი La Repubblica წერს „აშშ-ის მედიდურობაზე და აღნიშნავს, რომ „ობამა არ რეაგირებს ევროპელი ლიდერების პრეტენზიებზე, რადგან მათ არ აქვთ ერთიანი პოზიცია და ცალ-ცალკე ცდილობენ მოლაპარაკების გამართვას თვალთვალის შეწყვეტის შესახებ“.

ზემომოყვანილი პრობლემებიდან გამომდინარე, **მაისის შემდეგ ახალი ევროპარლამენტი თეთრი სახლისთვის თავის ტკივილად იქცევა.**

## სან ფრანცისკოში თვითმკვლელთა რაოდენობა რეკორდულად გაიზარდა

**2013 წელს კალიფორნიულ სან ფრანცისკოში 70 მეტრის სიმაღლის ხიდიდან გადამხტარი ადამიანების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა.** 46 დაღუპულის გარდა, კიდევ 118 ადამიანი შეეცადა თვითმკვლელობას, მაგრამ მათ განზრახვას პოლიციელებმა შეუშალეს ხელი.

ქალაქის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მიიღებს ზომებს სუიციდის ნაკადის შესამცირებლად და ხიდზე დამცავ ღობურებს დაამონტაჟებს, მაგრამ მაღალჩინოსნები ამ იდეის განხორციელებას არ ჩქარობენ — კონსტრუქციების დაყენება 66 მილიონი დოლარი დაჯდება.



**ბრიუსელთან ისლანდიის მოლაპარაკებები ჩიხში იმიტომ შევიდა, რომ მოთხოვნები, რომლებსაც ევროკავშირი უყენებდა, ისლანდიის თევზჭერისა და სასოფლო-სამეურნეო დარგებს განადგურების საფრთხეს შეუქმნიდა. ამა წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ისლანდიის მოსახლეობის 60,3% ევროინტეგრაციის წინააღმდეგია, 39,7% კი მხარს უჭერს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბარაკ ობამას მიერ დანიშნულმა ახალმა ელჩებმა არაფერი იციან იმ ქვეყნებზე, რომლებშიც უნდა იმუშაონ

**აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დანიშნული 4 ელჩი სენატორთა წინაშე გამართულ გამოცდაზე ჩაიჭრა — მათ თითქმის არაფერი იცოდნენ იმ ქვეყნებზე, რომლებშიც მუშაობა უნდა დაეწყოთ.**



ბარაკ ობამამ ეს „დიპლომატები“ იმ მილიონერთა რიგებიდან დანიშნა, რომლებმაც საარჩევნო კამპანია დაუფინანსეს. განსაკუთრებით ცუდი ცოდნა გამოამჟღავნეს იმ პირებმა, რომლებსაც ნორვეგიაში, არგენტინაში, ისლანდიასა და უნგრეთში უპირებენ ელჩად გამწესებას. არგენტინასა და ისლანდიაში ელჩად დანიშნულმა ნოი ბრაისენ მეიმეტმა და როი ბარბესმა გამოცდის მიმდინარეობისას აღიარეს, რომ არასოდეს ყოფილან ამ ქვეყნებში. გარდა ამისა, მეიმეტმა არგენტინა აშშ-ის მოკავშირედ დაასახელა და ამით სენატორების განცვიფრება გამოიწვია; კოლინ ბელმა, რომელმაც უნგრეთში უნდა იმუშაოს, ამ ქვეყნის შესახებ მხოლოდ ებრაელების მიმართ ულტრამემარჯვენეების დამოკიდებულებების შესახებ იცოდა. ნორვეგიაში დანიშნულმა ელჩმა ჯორჯ ტსუნისმა კი ისიც არ იცოდა, რომელი პარტია მართავს ამ ქვეყანას.

ბარაკ ობამას მეორე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში ისეთი საელჩოები, რომლებშიც დიპლომატების ნაცვლად ობამას ფინანსური მხარდამჭერები მუშაობენ, 53 პროცენტს შეადგენს.

სხვათა შორის, საინტერესოა, რა ცოდნისა და დამსახურებისთვის მოავლინა ობამამ საქართველოში რიჩარდ ნორლანდი.



# გამბიის პრეზიდენტმა ლგბტ გაშიფრა, როგორც დაავადებების ჩამონათვალი

**გამბიის პრეზიდენტმა იაია ჯამემ ჰომოსექსუალებს პარაზიტები უწოდა.**

**სახელმწიფოს მეთაურმა მთავრობას მოუწოდა, ებრძოლონ გეებს, როგორც „მალარიის გადამტან კოღოებს“.**

იაია ჯამემ განაცხადა, რომ „ქვეყნის ხელისუფლებას სურს, კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოს ყველა სახელმწიფოსთან, მაგრამ არასოდეს აღიარებს ამორალურ, სატანისტურ და ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო საქციელს“. ამიტომ, პრეზიდენტის თქმით, გამბიას მოუწევს, უარი თქვას სხვა ქვეყნებთან „მეგობრობასა“ და „დახმარებაზე“, თუ მათი მოთხოვნა ლგბტ-თა უფლებების აღიარება იქნება. ჯამემ საზოგადოებას აბრევიატურა ლგბტ-ს საკუთარი ვერსია შესთავაზა. მისი აზრით, ლგბტ ასე უნდა იკითხებოდეს: ლეპრა, გონორეა, ბაქტერიები, ტუბერკულოზი.

2013 წლის სექტემბერში იაია ჯამე გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გეებისა და ლესბოსელების კრიტიკით გამოვიდა. მან ჰომოსექსუალიზმს კაცობრიობის მთავარი მტერი უწოდა.

# ისლანდია უარს ამბობს ევროკავშირზე

**ისლანდია უარს ამბობს ევროკავშირში გაწევრებაზე და აუქმებს რეფერენდუმს ევროინტეგრაციის შესახებ. რეიკიავიკი და ბრიუსელი თევზჭერის საკითხზე ვერ შეთანხმდნენ.**



ისლანდია პირველი დიდი ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირში შესვლაზე უარის თქმას გეგმავს. მემარჯვენეცენტრისტულმა სამთავრობო კოალიციამ, რომელშიც გაერთიანებულია დამოუკიდებლობისა და პროგრესული პარტიები, გასულ კვირას მხარი დაუჭირა ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის, გუნარ ბრაგი სვენსონის, წინადადებას ევროკავშირში გაწევრებაზე საბოლოო უარის თქმის თაობაზე. შესაბამისად, ისლანდია უარს იტყვის ევროინტეგრაციის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე. სხვათა შორის, ევროკავშირთან მოლაპარაკებები, უკვე ერთი წელია, შეჩერებულია. გასული წლის მაისში მიიღეს გადაწყვეტილება, ვიდრე ისლანდიაში რეფერენდუმი არ ჩატარდებოდა, მოლაპარაკებები არ გამართულიყო. სექტემბერში კი საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაშალა ჯგუფი, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბრიუსელთან.

**ისლანდიამ განაცხადი ევროკავშირში შესვლაზე 2009 წელს მძიმე ფინანსური კრიზისის ფონზე (სახელმწიფო 2008 წელს დეფოლტის ზღვარზე იყო, ხელისუფლებამ დახმარებისთვის უცხოელ ინვესტორებს მიმართა) შეიტანა. ბრიუსელთან ისლანდიის მოლაპარაკებები ჩიხში იმიტომ შევიდა, რომ მოთხოვნები, რომლებსაც ევროკავშირი უყენებდა, ისლანდიის თევზჭერისა და სასოფლო-სამეურნეო დარგებს განადგურების საფრთხეს შეუქმნიდა.**

**ამა წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ისლანდიის მოსახლეობის 60,3% ევროინტეგრაციის წინააღმდეგია, 39,7% კი მხარს უჭერს.**

არ არის გამორიცხული, რომ ევროკავშირმა შოტლანდიაც დაკარგოს. ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ ახალი დამოუკიდებელი შოტლანდიის ევროკავშირში შესვლა „ძალიან რთული, ალბათ, შეუძლებელიც იქნება“.

თუ ამა წლის სექტემბრის რეფერენდუმის შედეგად შოტლანდია მიიღებს გადაწყვეტილებას დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფაზე, ის ავტომატურად ჩაითვლება ევროკავშირიდან, გაეროდან და ნატოდან გასულად.

ევროკავშირის 28-ვე ქვეყანამაც რომ დაუჭიროს მხარი შოტლანდიის გაწევრებას ევროკავშირში, პროცესი შეიძლება წლების განმავლობაში გაჭიანურდეს.



# ნიგერიელმა ქალმა გეიკატა სახლიდან გააგდო

ნიგერიის ქალაქ ლაფიას მცხოვრებმა სახლიდან გააგდო კატა, რომელიც „ცისფერად“ ჩათვალა. ქალმა განაცხადა, რომ მისი ხვადი კატის, სახელად ბელის, საქციელი ბუნების კანონებს არ შეესაბამებოდა — ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ ხვად კატებთან და ამიტომაც გააძევა სახლიდან.

**„ახლა ეს გეიკატა, ვისაც უნდა, იმან შეიფაროს“,** — განაცხადა ქალმა.



# ნარკომანმა 4 თვის გოგონა გააუპატიურა

**ბავშვების მიმართ ნარკომანი მშობლების არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი შეიქნა 4 თვის იზაბელა, რომელიც დედის საყვარელმა სცემა და გააუპატიურა, ვიდრე მშობელი სამრეცხაოში იმყოფებოდა.** იზაბელა მიიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ექიმებმა მის სხეულზე ცემისა და სექსუალური ძალადობის კვალი შეამჩნიეს. ექიმების თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, გოგონა გარდაიცვალა.

გოგონას ჯანმრთელობის თანდაყოლილი პრობლემები ჰქონდა იმის გამო, რომ დედამისი ნარკოტიკებს მოიხმარდა. დედის ე. წ. ბოიფრენდიც ნარკოდამოკიდებული იყო და დანაშაულის ჩადენის მომენტში „კაიფში“ იმყოფებოდა.

**მშობლების დაუდევარი და უპასუხისმგებლო მოპყრობის შედეგად აშშ-ში ყოველდღე იღუპება 4 ბავშვი და ისინი, ძირითადად, ნარკომანთა ოჯახებიდან არიან. აშშ ნარკოტიკების გასაღების უდიდესი ბაზარია მსოფლიოში. თუმცა, ტრაგედიების უმრავლესობა მძიმე ნარკოტიკის მიღების გამო კი არა, მათგან ყველაზე ხელმისაწვდომის — მარიხუანის მოწევის შემდეგ ხდება. დღეს ეს ნარკოტიკი თავისუფლად იყიდება აშშ-ის 20 შტატში.**

# აშშ-ში უცნობი დაავადება ვრცელდება



უცნობი ვირუსის გავრცელების არეალი კალიფორნიის შტატია, რომელშიც, ამჟამინდელი მონაცემებით, 25 კაცია ინფიცირებული. მათგან ზოგიერთს ხელებსა და ფეხებში სისუსტე აღენიშნებათ, ზოგს — კიდურების დამბლა.

გასულ წელს ექიმებმა 5 ბავშვს დაუსვეს პოლიომიელიტის დიაგნოზი, თუმცა პატარა პაციენტებს ადრე მიღებული ჰქონდათ ამ დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა. მათგან ორს ძალიან იშვიათი „ენტეროვირუსი 68“ აღმოუჩინეს. 2014 წლის თებერვალში უცნობი ვირუსით დასნებოვნებული ბავშვების რაოდენობამ 25-ს მიაღწია.




# ჰიტლერის ავტოგრაფიანი «მაინ კამპფი» 65 ათას დოლარად გაიყიდა

**27 თებერვალს ამერიკულ ონლაინ-აუქციონ Nate D.Sanders Auctions-ზე ადოლფ ჰიტლერის Mein Kampf („ჩემი ბრძოლა“)-ის ორი ეგზემპლარი 65 ათას დოლარად გაიყიდა.**

საბოლოო ფასმა ლოტის სასტარტო ღირებულებას 3-ჯერ გადააჭარბა. გარდა წიგნისა, აუქციონზე გამოტანილი იყო ჰიტლერის პირადი არქიტექტორის, ალბერტ შპეერის ტყავის პალტო, რომელიც ორჯერ ძვირად, 10 ათას დოლარად, გაიყიდა.

აუქციონზე გამოტანილი „მაინ კამპფის“ ეგზემპლარები 1926-1927 წლებში დაიბეჭდა. ყდაზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ჰიტლერმა ეს წიგნები შობის დღეს აჩუქა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრს, 1923 წლის „ლუდის პუტჩის“ მონაწილეს — იოზეფ ბაუერს.

**„მაინ კამპფის“ ეს ეგზემპლარები თავდაპირველად კერძო კოლექციონერმა 2012 წელს შეიძინა ბრიტანულ აუქციონ Bonhams-ზე, იმხანად მათი ფასი 25 ათასი დოლარი იყო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალზე ბუნდოვანი მომავალი ელით დამოუკიდებლობაზე მეოცნებე გრენლანდიელებსაც, რომლებიც დანიის გარეშე უკეთეს მომავალზე იმედებს საკუთარ მდიდარ წიაღისეულზე ამყარებენ. ეკონომისტები თვლიან, რომ ეს იმედები ძალზე გადაჭარბებულია.**

# ახალი სახელმწიფოები, რომლებიც ევროპის რუკაზე გაჩნდება

**თვითგამორკვევაზე მეოცნებე რეგიონებში არსებული სიტუაცია ახლა ორმაგ განცდებს უკავშირდება — თან უნდათ, თან შიშობენ. ახლა ევროპაში ორი პარალელური პროცესი მიმდინარეობს: სახელმწიფოების დონეზე იზრდება დაძაბულობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, სახელმწიფოებს შიგნით კი ძალას იკრებს სეპარატიზმი.**
**რამდენიმე დღის წინ დევიდ კემერონმა კიდევ ერთხელ მიმართა შოტლანდიელებს დაჟინებული თხოვნით, არ გამოეყონ გაერთიანებულ სამეფოს. იმისათვის, რომ გადაარჩინოს ის, კემერონმა 6 თებერვალს ლონდონის ოლიმპიური პარკის ველოდრომზე მსმენელები გააფრთხილა, რომ სულ ცოტა დარჩა — 7 თვე. შოტლანდიის თვითგამორკვევის ისტორიული რეფერენდუმი დანიშნულია მიმდინარე წლის 18 სექტემბრისთვის.**



## ერთი ბრენდი

შოტლანდიის პირველმა მინისტრმა და შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ლიდერმა ალექს სელმონდმა დევიდ კემერონის გამოსვლაში იმ პანიკის ნიშნები დაინახა, რომელმაც მისი რეზიდენცია იმის შესაბამისად მოიცვა, რამდენადაც **საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აჩვენებს შოტლანდიაში ნაციონალური განწყობის ნელ, მაგრამ მტკიცე ზრდას.** შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებს პანიკაზე ფიქრისკენ, შესაძლოა, იმან უბიძგა, რომ კემერონმა ყველა ინგლისელს მოუწოდა, აიღონ ტელეფონები და დაურეკონ ნათესავებსა და მეგობრებს შოტლანდიაში და თხოვონ მათ, სექტემბერში შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მისცენ ხმა.

**„ერთად ჩვენ ვართ, როგორც ერთი ბრენდი, მძლავრი ბრენდი,** — განაცხადა პრემიერმა კემერონმა. — **შოტლანდიის ამ ბრენდიდან ამოგლეჯა იგივეა, რაც მდინარე ტუიდის (რომელზეც ინგლისისა და შოტლანდიის საზღვარი გადის) და ჩრდილოეთის ზღვის წყლების გაყოფა".**

ახლა მთავარი კითხვა, რომელზე პასუხისთვისაც უნდა მოემზადოს როგორც ლონდონი, ისე ედინბურგიც რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვების შემთხვევაში, არის ვალუტა. **შოტლანდიაში იმედოვნებენ, რომ კვლავაც ფუნტი სტერლინგით ისარგებლებენ, მაგრამ კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ ეს ძალიან სარისკო იქნება და იხრებიან აზრისკენ, რომ დამოუკიდებელი შოტლანდია უნდა გადავიდეს ახალ ვალუტაზე, რადგან სავალუტო კავშირი დამღუპველი იქნება როგორც შოტლანდიის გარეშე დარჩენილი ბრიტანეთისთვის, ასევე შოტლანდიისთვისაც. ამ საკითხს ლეიბორისტებიც კი უჭერენ მხარს.**

დამოუკიდებლობის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც საკუთარ არგუმენტებს აყენებენ. ნაციონალისტები, რომელთა ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელი სერ შონ კონერი გახლავთ, ირწმუნებიან, რომ ინგლისელი ევროსკეპტიკოსების უღლის გადაგდებით დამოუკიდებელ შოტლანდიას ბრწყინვალე მომავლით უზრუნველყოფენ, რადგან თავად განკარგავენ ჩრდილოეთის ზღვის ნავთობს.

შოტლანდიის ნაციონალური პარტია ირწმუნება, რომ სახელმწიფო პენსიების გაცემა დაიწყება დაგეგმილზე ერთი წლით ადრე და რომ 200 ათას ოჯახს საშუალება ექნება, გაზარდოს ბავშვთა შემწეობა. **დამოუკიდებლობის მომხრეები საკუთარ მხარეს ბიზნესმენების გადაბირებას გადასახადების შემცირების დაპირებით ცდილობენ** და **ირწმუნებიან, რომ ეს საჭიროა როგორც შოტლანდიური ეკონომიკისთვის ბიძგის მისაცემად, ასევე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მათ მოსაზრებებში არც თუ ნაკლებმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლაიდის ბაზიდან ბირთვული წყალქვეშა ნავების გაყვანას.**

დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეები ნაციონალისტებს ყველა პუნქტის მიხედვით ედავებიან. მაგალითად, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ შოტლანდიელები გაღარიბდებიან, ქვეყანაში გაძვირდება ყველაფერი, პროდუქტებიდან დაწყებული მომსახურებების ჩათვლით. ისინი მიანიშნებენ, რომ ახლა შოტლანდიელები ინგლისელებზე უკეთ ცხოვრობენ, რადგან შოტლანდიის საშუალო მაცხოვრებელზე 1200 ფუნტით მეტია ყოველგვარი დახმარება, ვიდრე ინგლისელზე.

შოტლანდია დაკარგავს ფუნტ სტერლინგს, მდინარე ტუიდზე სასაზღვრო საგუშაგოები გაჩნდება და ისინი გახლეჩილი სამეფოს მოსახლეობას უცხოელებად აქცევენ.

**შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის შემთხვევაში, ლონდონსაც მნიშვნელოვანი დანაკარგები ელის. ყველა ამ დანაკარგის ახლა წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ მათგან მთავარი ჩამონათვალი ასეთია: ნავთობმილიარდების დაკარგვა, წყალქვეშა ნავებისთვის ახალი ბაზის გახსნის აუცილებლობა, რაც ასევე მილიარდები დაჯდება, და სახელწოდებისა და დროშის შეცვლა.**

## საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აჩვენებს შოტლანდიაში ნაციონალური განწყობის ნელ, მაგრამ მტკიცე ზრდას

**ბრიუსელში შოტლანდიის დამოუკიდებლობისადმი უარყოფითი განწყობა აქვთ და ამას განსაკუთრებით არც მალავენ.** ევროკავშირმა უკვე გააფრთხილა ედინბურგი, რომ, **თუ შოტლანდია გაერთიანებული სამეფოდან გამოეყოფა, უნდა დაივიწყოს ევროკავშირში ავტომატური შესვლა და მით უმეტეს ევროზონაში გაერთიანება. ყველა პროცედურულ საკითხს გადაწყვეტს იმავე წესით, როგორითაც, ვთქვათ, იგივე თურქეთი ან სერბეთი წყვეტს.** ევროპარლამენტი ემზადება, გააკეთოს ოფიციალური განცხადება შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ევროკავშირში მისი სწრაფი გაერთიანების შესაძლებლობებთან დაკავშირებითაც, რისი იმედიც აქვთ ნაციონალისტებს მარტში ან აპრილში. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პასუხი უარყოფითი იქნება.

## ჩრდილოელი სეპარატისტები

**ძალზე ბუნდოვანი მომავალი ელით დამოუკიდებლობაზე მეოცნებე გრენლანდიელებსაც, რომლებიც დანიის გარეშე უკეთეს მომავალზე იმედებს საკუთარ მდიდარ წიაღისეულზე ამყარებენ. ეკონომისტები თვლიან, რომ ეს იმედები ძალზე გადაჭარბებულია.**

ასეთი დასკვნა გააკეთა სკანდინავიური ქვეყნების 13 ექსპერტისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელიც კოპენჰაგენისა და ნუუკის უნივერსიტეტებმა და გრენლანდიის ადმინისტრაციულმა ცენტრმა შექმნეს. დანიური გაზეთი Politiken-ი ირწმუნება, რომ გრენლანდიელები კოპენჰაგენის სუბსიდიის გარეშე ვერ გადარჩებიან. ეს სუბსიდია ახლა 3,6 მილიარდ დანიურ კრონს შეადგენს (655 მილიონი დოლარი), ეს კი დანიის სამეფოს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის ლამის ორი მესამედია. ფეხზე დადგომას და ნამდვილად დამოუკიდებლობის მიღწევას ისინი ვერ შეძლებენ დაახლოებით 25 წელზე უფრო ადრე, ისიც იმ პირობით, რომ შეძლებენ სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად 24 მსხვილი მაღაროს აგებას. მათგან თითოეული 5 მილიარდი კრონი დაჯდება. ძალზე სერიოზული პრობლემა იქნება მუშახელის სიმცირე, რადგან გრენლანდიის მოსახლეობა სულ რაღაც 57 ათას ადამიანს შეადგენს.

ცხადია, ამგვარი კვლევის მიმართ დამოკიდებულებაში უნდა იყოს სკეპტიციზმის ცნობილი წილი ან, უკიდურეს შემთხვევაში, კვლევა აბსოლუტურად დამოუკიდებელ ექსპერტებს უნდა ჩაბარდეს. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისს იზიარებს გრენლანდიის პრემიერმინისტრი ალეკა ჰამონდიც, რომელიც ჟურნალისტების თხოვნაზე, გაეკეთებინა კვლევის შედეგების კომენტარი, აცხადებს, რომ ძველებურად ოცნებობს, გრენლანდიამ მის სიცოცხლეშივე მოიპოვოს დამოუკიდებლობა.

**გრენლანდია ფართო ავტონომიას ფლობს და ჰყავს თავისი პარლამენტი და მთავრობა, ასევე თავად განკარგავს საკუთარ უმდიდრეს ბუნებრივ რესურსებს. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იშვიათი ლითონების საბადოები. გეოლოგების შეფასებით, მსოფლიოს უდიდესი კუნძული ამ მხრივ, შესაძლოა, მსოფლიო მარაგის 9,16%-ს ფლობდეს. გარდა ამისა, გრენლანდიაში ნახშირწყალბადების, ალმასის, ოქროსა და სხვა წიაღისეულის დიდი მარაგია.** დანიამ გრენლანდია საკუთარ კოლონიად 1776 წელს გამოაცხადა და, მიუხედავად იმისა, რომ ორი ასწლეულის შემდეგ, 1979 წელს, ნუუკმა შიდა ავტონომია მიიღო, კუნძულის მეთაურად დანიის დედოფალი მარგარეტ II დარჩა. 2008 წლის ნოემბერში გრენლანდიელების 76%-მა თვითმმართველობას დაუჭირა მხარი. 22 მაისს კანონი გრენლანდიის სრულ თვითმმართველობაზე დანიის პარლამენტმა დაამტკიცა. ახლა გრენლანდიის იურისდიქციაში შედიან სასამართლოები, პოლიცია და სასაზღვრო დაცვა.

**კოპენჰაგენმა შეინარჩუნა კონტროლი თავდაცვაზე, საგარეო პოლიტიკასა და სავალუტო ოპერაციებზე, მაგრამ ახლა დანიელებისთვის აუცილებელია, შეუთანხმდნენ გრენლანდიელებს ყველა გადაწყვეტილებაზე, რომლებიც მათ კუნძულსაც შეეხება. კოპენჰაგენსა და ნუუკს შორის ახალი შეთანხმების თანახმად, გრენლანდიელების მიერ გამომუშავებული პირველი 75 მილიონი კრონი კუნძულის ბიუჯეტში წავა, დანარჩენ შემოსავალს კი დანიასთან შუაზე გაიყოფენ.**



## იურიდიული გადატრიალება

შოტლანდიაში სექტემბერში გამართულ რეფერენდუმს ძალიან დიდი გულისყურით ადევნებენ თვალს ევროპის მეორე ბოლოში, ესპანურ კატალონიაში. **კატალონიელები ოცნებობენ მად-** ▶

**კატალონიელებს ევროკავშირში გაწევრება იმავე წესებით მოუწევთ, როგორიც სხვებისთვის მოქმედებს, ანუ დიდხანს და მდორედ. ამასთან, ესპანეთი დანამდვილებით დაბლოკავს ევროკავშირში კატალონიის გაწევრებას. როგორც ყველაფრიდან ჩანს, იგივე სიტუაცია იქნება გაეროსა და ნატოში კატალონიის წევრობასთან დაკავშირებითაც.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მ**ადრიდისგან დამოუკიდებლობაზე არანაკლებ ოცნებობენ, ვიდრე შოტლანდიელები ოცნებობენ ლონდონისგან დამოუკიდებლობაზე. **ისინი დამოუკიდებლობის თემაზე საკუთარ რეფერენდუმსაც გამართავენ, ოღონდ შოტლანდიელებზე ოდნავ მოგვიანებით — მიმდინარე წლის 9 ნოემბერს.** კატალონიის მოსახლეობას ორ კითხვაზე ექნება პასუხი გასაცემი: **„გსურთ, რომ კატალონია სახელმწიფო გახდეს?“** და **„გსურთ, რომ კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს?“.**




შოტლანდიური რეფერენდუმი კატალონიურისგან მხოლოდ ჩატარების თარიღით არ განსხვავდება, არამედ იმითაც, რომ ლონდონი რეფერენდუმის წინააღმდეგი არ არის, რასაც ვერ ვიტყვით მადრიდზე.

**იანვრის შუა რიცხვებში კატალონიის პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ მადრიდში გაიგზავნა მოთხოვნა რეფერენდუმის ჩატარების ნებართვაზე, მაგრამ მარიანო რახოიას მთავრობისთვის ძნელი არ არის პასუხის გამოცნობა. როგორც ადრე, მადრიდი ახლაც უპასუხებს კატალონიას, რომ სამეფოდან გასვლის თემაზე რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება ქვეყნის 1978 წლის კონსტიტუციას.**

კატალონიელების აზრი ორად გაიყო. იმის შესახებ, რომ კატალონიაში დამოუკიდებლობის იდეა ასპროცენტიანი მხარდაჭერით ვერ დაიკვეხნის, პარლამენტში კენჭისყრის შედეგებიც მეტყველებს — დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა 87 დეპუტატმა, წინააღმდეგი კი 43 იყო. გამოკითხვების თანახმად, დამოუკიდებლობის სურვილს გამოთქვამს კატალონიის 7,5 მილიონიანი მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტი.

**ახლა კატალონიაში ბევრი თვლის, რომ მადრიდი ძარცვავს რეგიონს და სუბსიდიების სახით გაცილებით ნაკლებს უბრუნებს მას, ვიდრე გადასახადების სახით ართმევს. რეგიონული ხელისუფლების პრეზიდენტი არტურ მასი მკაცრად აკრიტიკებს ფედერალურ ხელისუფლებას რესურსების უსამართლო გადანაწილების გამო და იმედოვნებს, რომ დამოუკიდებლობა დაეხმარება კატალონიას, რომელსაც, სხვათა შორის, რეგიონებს შორის ყველაზე დიდი ვალი აქვს, არნახულ აყვავებაში დაეხმარება.**



დამოუკიდებლობის მომხრენი ესპანეთიდან გამოყოფას აპირებენ, მაგრამ ამავე დროს სურთ, ევროკავშირში დარჩნენ და ვალუტის სახით ევრო შეინარჩუნონ. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ 2012 წლის ბოლოს კადისში გამართულ იბერო-ამერიკულ სამიტზე დაადასტურა, რომ **კატალონიელებს ევროკავშირში გაწევრება იმავე წესებით მოუწევთ, როგორიც სხვებისთვის მოქმედებს, ანუ დიდხანს და მდორედ. ამასთან, ესპანეთი დანამდვილებით დაბლოკავს ევროკავშირში კატალონიის გაწევრებას. როგორც ყველაფრიდან ჩანს, იგივე სიტუაცია იქნება გაეროსა და ნატოში კატალონიის წევრობასთან დაკავშირებითაც.** ამასთან, გამოკითხვები აჩვენებს, რომ, თუ კატალონიას დამოუკიდებლობის მოპოვების სანაცვლოდ ევროკავშირის დატოვება მოუწევს, დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა რაოდენობა მოსახლეობაში 37%-მდე შემცირდება.

დამოუკიდებლობის გზაზე კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლება შეიძლება გახდეს ეკონომიკა. არტურ მასი ბევრს ლაპარაკობს კატალონიის ეკონომიკის თვითკმარობაზე, რადგან ის ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 19%-ს იძლევა. მაგრამ არაერთმა დიდმა კომპანიამ უკვე განაცხადა, რომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, რეგიონიდან წავლენ.

ჯერ ერთი, მსხვილ ბიზნესს არ სჭირდება დესტაბილიზაციის გამომწვევი ცვლილებები, რომელთა გარეშეც გამოყოფა ვერ ჩაივლის; მეორეც, ბიზნესმენები უპირატესობას ანიჭებენ გაფართოებას და არა შემცირებას. გამოყოფის შემთხვევაში კი გაფართოება წარმოუდგენელი იქნება.

ესპანეთის უმსხვილესი გამოცემის — Planeta-ს პრეზიდენტი მანუელ ლარა ბოში უკვე აცხადებდა, რომ, თუ კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება, შტაბ-ბინას ბარსელონიდან სხვა ქალაქში გადაიტანს. ანალოგიური განწყობილება სუფევს სხვა მრავალი მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელთა შორისაც.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ რა ტიტანურ შრომას მოითხოვს სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა. კატალონიაში ჰყავთ საკუთარი პოლიცია, მაგრამ არ აქვთ ცენტრალური ბანკი, დიპლომატიური სამსახურები და სხვა სამმართველოების, დეპარტამენტებისა და სააგენტოების ურიცხვი რაოდენობა.

**ცხადია, მადრიდი ყველა ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას კატალონიის გამოყოფა. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხოსე მანუელ გარსია-მარგალიო რეფერენდუმს „იურიდიულ გადატრიალებას“ უწოდებს, კაბინეტში მისი კოლეგა იუსტიციის მინისტრი ალბერტო რუის-გალარდონი კი მიიჩნევს, რომ კატალონიის გამოყოფა ნიშნავს ესპანეთის, როგორც სახელმწიფოს, აღსასრულს. საქმე ისაა, რომ ახლო მომავალში მას ბასკების ქვეყანა მიჰყვება, მის პარლამენტში კი სეპარატისტებს ადგილების ორი მესამედი ეკუთვნით.**

კატალონიისა და ბასკების ქვეყნის გარეშე ესპანეთის ეკონომიკა მეოთხედით შემცირდება, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი კი — 5%-ით. არ ღირს იმის დავიწყება, რომ ამ ორ რეგიონზე გადის იმ სარკინიგზო და საავტომობილო გზების უმეტესობა, რომლებიც ესპანეთს საფრანგეთთან აკავშირებენ.

## ყველა გზა რომში არ მიდის

**იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ავტონომიური რეგიონის — სამხრეთ ტიროლის მოსახლეობის უმეტესობას აღარ სურს არჩინოს ღატაკი და კორუმპირებული სამხრეთი.** რომის მიერ ავსტრიისგან პირველი მსოფლიო ომის დროს მიტაცებული ამ რეგიონის მოსახლეობის გაგება ძნელი არ არის. უმუშევრობის დონე იქ 4%-ს შეადგენს, ეს კი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელი ევროპის მასშტაბით. სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სისტემები ეტალონად ითვლება არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მაღალ შეფასებებს იმსახურებს მთელ კონტინენტზეც. ტიროლიელები ამაყობენ ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონით ევროპაში. სამხრეთ ტიროლს ყოველწლიურად 5 მილიონი ტურისტი სტუმრობს, ადგილობრივი ელექტროსადგურები ენერგიით ამარაგებს თითქმის მთელ ჩრდილოეთ იტალიას.

**ახლა ტიროლელები არც თუ უსაფუძვლოდ შიშობენ პროვილეგიებისა და სუბსიდიების დაკარგვას. არადა, ეს ყველაფერი მათ 1972 წლის ავტონომიის შესახებ შეთანხმების საფუძველზე ეკუთვნით. მათ აშკარად არ სურთ, იცხოვრონ ისევე, როგორც დანარჩენი იტალიელები ცხოვრობენ.**

თავისუფლების ვნებათაღელვას მოხერხებულად აღვივებენ ნაციონალისტური პარტიები, რომელთაც პროვინციულ პარლამენტში ადგილების 20%-ზე მეტი უჭირავთ. **სამხრეთ ტიროლში ანტიიტალიური განწყობა ახალი ძალით აგიზგიზდა მას შემდეგ, რაც მარიო მონტის ხელისუფლებამ დაიწყო მკაცრი ეკონომიისა და ხარჯების შემცირების პოლიტიკის განხორციელება.** რომმა მოითხოვა, რომ სამხრეთ ტიროლმა თითქმის 1 მილიარდი ევროთი შეამციროს ხარჯები, იმის მიუხედავად, რომ ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგება შეთანხმებას, რომლის თანახმადაც პროვინციაში შეგროვილი გადასახადების 90% სუბსიდიების სახით უნდა დაუბრუნდეს. შემოსავლების გადანაწილების შესახებ რთული მოლაპარაკებები იმართება ახლა ენრიკო ლეტას ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი რეგიონებთან დამოკიდებულების საკითხში თავისი წინამორბედის პოზიციას იზიარებს.

expert.ru

# ჩერნოგორია: მაფია, როგორც ევროატლანტიკური ინტეგრაციის გარანტი

**1999 წლის 30 აპრილს ნატოს ავიაციამ ორი სარაკეტო დარტყმა მიაყენა მურინოს დასახლებას — ჩერნოგორიაში მდებარე პატარა კურორტს. დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის სამი ბავშვი. 15 წლის შემდეგ ჩერნოგორიელმა დიქტატორმა მილო ჯუკანოვიჩმა გამოაცხადა, რომ ჩერნოგორიის პოლიტიკური პრიორიტეტი ნატოში შესვლაა. როგორც აღნიშნავენ, 2014 წელი გადამწყვეტია ჩერნოგორიას ატლანტიკური ინტეგრაციისთვის. აღმოსავლეთით ალიანსის მორიგ გაფართოებაზე საუბარი იქნება მიმდინარე წლის სექტემბერში ბრიტანეთში დაგეგმილ სამიტზე.**




**ხელისუფლება ირწმუნება, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ჩერნოგორია მთლიანად შეიცვალა — აღიარა კოსოვოსა და მეტოხიის დამოუკიდებლობა, დაივიწყა ნატოს აგრესიის დროინდელი მსხვერპლი და მზადაა, გერმანიის ფინანსური დახმარებით მეორე მსოფლიო ომის დროს ჩერნოგორიას ოკუპანტ ფაშისტებსაც კი დაუდგას ძეგლი.** გულუბოვცის სამხედრო აეროდრომზე, რომელსაც 1999 წელს ნატოს თვითმფრინავები ბომბავდნენ, გერმანელი ნაცისტების საფლავების აღდგენა იგეგმება.

ძველ და ახალ ნაცისტებს საერთო მახასიათებელი აქვთ — სერბებისა და რუსების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილი. თავის დროზე ჰიტლერმა ნაციების ლიგა დაარღვია, ნატომ კი იუგოსლავიის წინააღმდეგ აგრესიით შეძლო, რადიკალურად შეეცვალა გაეროს როლი საერთაშორისო არენაზე და მისი წესდება დაერღვია. ტყუილად ხომ არ ქმნიდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის დაზვერვას ჰიტლერისეული სპეციალისტები: გენერალი ჰენრიხ მიულერი, გენერალი რაინხარდ გელენი, ბარონი ოტო ფონ ბოლშვინგი, ემილ აუგსბურგი.

**ბოლო პერიოდში ჩერნოგორია მართლაც კარდინალურად შეიცვალა, მაგრამ მილო ჯუკანოვიჩი უცვლელი დარჩა. თავის დროზე მას ნატოს იდეალური პარტნიორის როლისთვის ამზადებდნენ.** საქმე ისაა, რომ, როგორც ბევრს ახსოვს, აშშ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიის განთავისუფლებისას ადგილობრივი მაფიის მომსახურებით სარგებლობდა. მაფიისა და აშშ-ს კავშირი, ისევე, როგორც მაფიისა და ნატოს კავშირი, ამ დრომდეც არსებობს. ვაშინგტონი კრიმინალური სტრუქტურების მომსახურებით სარგებლობს თავისი მოწინააღმდეგეების — ევროპის დამოუკიდებელი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ლიკვიდაციისთვის. ბალკანეთშიც აშშ და ნატო მაფიას ეყრდნობა. პრიშტინაში (ოკუპირებული სერბული მხარე კოსოვოსა და მეტოხიის ტერიტორიაზე) მათ ხელისუფლებაში მოიყვანეს ტერორისტები, ნარკოსაქმოსნები და ადამიანთა ორგანოებით მოვაჭრეები.

**იტალიის პროკურატურის ხელთ არსებული დოკუმენტების თანახმად, მილო ჯუკანოვიჩს მჭიდრო კავშირები აქვს იტალიურ და ამერიკულ მაფიასთან. პროკურორმა ჯუზეპე შელზიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს ადამიანი ჩერნოგორიის მთელი მაფიის შეფია.**

ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა 2012 წელს ნატოს ოფიციალურად შესთავაზა საქართველოს, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, მაკედონიისა და ჩერნოგორიის წევრად მიღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მილო ჯუკანოვიჩს შეხვდა, ჩერნოგორია ნომერ პირველ კანდიდატად იქცა. პარალელურად იტალიის პროკურორს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დასდეს ბრალად, ჯუკანოვიჩს კი ვაშინგტონიდან ცალსახად ანიშნეს, რომ, თუ ჩერნოგორიას ნატომდე მიიყვანს, ყველა ბრალდებას მოუხსნიან.

fondsk.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეთრმა სახლმა პენტაგონს ნება დართო, ცალმხრივ რეჟიმში შეიტანოს ცვლილებები სათანადო კოდექსში, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო სამართალდამცავი ორგანოების დაცვის მხარდაჭერა“. აშშ-ის არმიამ მიიღო უფლებამოსილება, საქმეში ჩაერიოს „საგანგებო სიტუაციების“ ან „სამოქალაქო არეულობების“ დროს. როგორც იურისტები ვარაუდობენ, ეს შესწორებები განაპირობებს აშშ-ის პოლიტიკის ყველა შიდა საქმეში სამხედროების გაცილებით აქტიურ მონაწილეობას.**

# ფარული სამხედრო გადატრიალება

**ობამას გენერლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი დრო დადგა. მორჩა, საკმარისია! მშობლიურ ამერიკაში დიდი უწესრიგობაა. დროა, ბოლო მოეღოს დემოკრატიას! მართალია, გენერლებმა დემოკრატიისთვის ბოლოს მოღება ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის პრეზიდენტობისას დაიწყეს, მაგრამ მათი წამოწყება დამუხრუჭდა: ბუში მათ ხან ავღანეთში გზავნიდა, ხან — ერაყში (რომელიც ვერა და ვერ იპოვა რუკაზე). ობამას პერიოდში აშშ-ში გამძვინვარდა ბუშის პერიოდიდან მემკვიდრეობით გადმოყოლილი ფინანსური კრიზისი, ობამამ და გენერლებმა კი მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. ვინც ვერ გაუგო ახალ პრეზიდენტს (მაგალითად, რობერტ გეიტსი, ლეონ პანეტა ან დევიდ პეტრეუსი), პენსიაზე მიაბრძანეს.**

XX-XXI საუკუნეებში აშშ-ში იმდენი პროტესტი იყო, რომ ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ისტორიაში, გაიგებდა: **ამერიკელი ხალხი, კარგა ხანია, მომწიფდა კარგი დიქტატურისთვის, ყოველგვარი ნამცხვრის გარეშე მათრახის ქვეშ ცხოვრებისთვის.**

**1932 წლის 7 მარტს დეტროიტელი პოლიციელები გაერთიანდნენ „საავტომობილო მეფე“ ფორდის შეიარაღებულ ხალხთან და დაცხრილეს დამშეულთა მარში.** ადრე ავტოქარხნებში დასაქმებულ უმუშევრებს საჭმელი და სამუშაო ადგილები უნდოდათ. ხუთი გარდაიცვალა, სამოცზე მეტი დაჭრილი შემდეგ დააპატიმრეს კიდეც. ყველა, ვისაც პროტესტანტებთან რაიმე კავშირი ჰქონდა ან ეჭვმიტანილი იყო ამგვარ კავშირში, სამსახურიდან გააგდეს.

**1967 წლის 23 ივლისის კვირა დილით იმავე დეტროიტში ნამდვილი ბუნტი დაიწყო.** მიზეზი: ღამით პოლიციელებმა გაჩხრიკეს ბარი, რომელსაც ღამით კლიენტების მომსახურების ლიცენზია არ ჰქონდა. პოლიციელები გადააწყდნენ 80-მდე მამაკაცს, რომლებიც ორი ვეტერანის ვიეტნამიდან შინ დაბრუნებას აღნიშნავდნენ. სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, დაეპატიმრებინათ ყველა, ვინც ბარში იყო. ბრბო უცებ შეგროვდა. დაპატიმრებულებით სავსე პოლიციელთა მანქანები წავიდნენ, ადგილზე კი არეულობა დაიწყო. ოთხი დღის მანძილზე ხანძარმა და ძარცვამ მთელი ქალაქი მოიცვა. გუბერნატორმა ჯორჯ რომნიმ პრეზიდენტს სთხოვა, შტატის ნაციონალური გვარდიიდან ჯარები გაეგზავნა. არმიის რეიდების შედეგი: 43 გარდაცვლილი, 467 დაჭრილი, 7200 დაკავებული. მოკლევადიანი „ომის“ პერიოდში ორი ათასამდე შენობა განადგურდა.

**1970 წლის 4 მაისს ოჰაიოს შტატში მდებარე კენტის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კამბოჯაში ამერიკული და სამხრეთვიეტნამური ჯარების შეჭრა გააპროტესტეს. ოჰაიოს ნაციონალური გვარდიის ქვეგანყოფილებამ ბრბოს ცეცხლი გაუხსნა.**

4 ადამიანი მოკვდა და 9 დაიჭრა. ეს დახვრეტა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე გახდა საუნივერსიტეტო პროტესტების მიზეზი. მკვლელთაგან არავინ დასჯილა. იმავე წლის 15 მაისს გვარდიელების ანალოგიურად მოიქცა პოლიცია. მისისიპის შტატის ჯექსონის უნივერსიტეტში პოლიციის ცეცხლს ორი ადამიანი ემსხვერპლა, 12 ადამიანი კი დაიჭრა.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია.

აი, კიდევ ერთი ახალი მაგალითი პაციფისტი ობამას ეპოქიდან.

**2011 წლის 30 სექტემბერს მოძრაობის „დაიკავე უოლ-სტრიტი“ მონაწილეებმა მარშით ნიუ იორკის პოლიციის შტაბ-ბინასთან ჩაიარეს. მეორე დღეს პოლიციამ შვიდასზე მეტი დემონსტრანტი დააკავა. ამის შემდეგ იყო სხვა აქციები. პროტესტების მონაწილეებს იჭერდნენ, ნარკოტიკების გავრცელების, ხანძრების ორგანიზების საქმეებს „უკერავდნენ“, ადანაშაულებდნენ მკვლელობაში, გაუპატიურებაში, ქურდობასა და ვანდალიზმის აქტებში. 2012 წლის დასაწყისისთვის, ღია წყაროების მონაცემების მიხედვით, პოლიციამ „დაიკავე უოლ-სტრიტთან“ დაკავშირებულ საქმეებზე 6 ათასზე მეტი ადამიანი დააკავა. შედეგად ამ მოძრაობიდან ბევრი აღარავინ და აღარაფერი დარჩენილა.**

არც თუ დიდი ხნის წინ „გარდიანის“ ბლოგში გამოქვეყნდა პოლიტიკური კვლევებისა და განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის, დოქტორ ნაფიზა ახმედის სტატია, რომელმაც შუქი მოჰფინა ამერიკული სამხედრო მანქანის ზოგიერთ ძალოვან ინიციატივას. საუბარია ამ სამხედრო მანქანის გამოყენებაზე არა საზღვარგარეთ (ძია სემის სამშობლოს ყბადაღებული ნაციონალური უსაფრთხოების მიზნით), არამედ ქვეყნის შიგნით მათ დასამორჩილებლად, ვისაც, იძულებულნი ხდებიან, ესროლონ ან ვისაც დასტა-დასტა აპატიმრებენ.

ავტორი ვარაუდობს, რომ **2008 წლის ეკონომიკური**




**ახლა აშშ-ში სამხედროები შეძლებენ ქუჩების პატრულირებას, მოქალაქეების დაკავებას და დაკითხვას ფედერალური პოლიციის საქმის კურსში ჩაყენებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ეს არის დარტყმა შტატების თავისუფლებაზე**

**კრიზისის შემდეგ უშიშროების სამსახურები, წარმოადგენენ რა კორპორატიულ ინტერესებს, სულ უფრო ხშირად ჯაშუშობენ პოლიტიკური აქტივისტების მიმართ. იმავე მიზანს ემსახურება აშშ-ში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კომპიუტერული პროგრამები. ამ პროგრამების საშუალებით კი, როგორც უკვე ცნობილი გახდა, ხორციელდება ქვეყნის მოსახლეობის მიმართ ჯაშუშობა.**

პენტაგონი **„შეშფოთებულია“ სამოქალაქო არეულობების რისკით და რაღაც „კატასტროფული მოვლენების“ მოსალოდნელობით. ეს მოვლენები, როგორც ვარაუდობენ, უნდა უკავშირდებოდეს კლიმატის ცვლას, ენერგეტიკულ რყევებს ან ეკონომიკურ კრიზისს, შესაძლოა, სამივე მიზეზს ერთადროულად.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედროების გაძლიერების ტენდენცია ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო. 2006 წელს „აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია“ ყველას აფრთხილებდა: **„მასშტაბური ეკონომიკური ნგრევები, ადამიანის აქტივობის მიზეზით მოხდება ეს თუ ბუნებრივი მეგაკატასტროფების გამო (წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, ცუნამი), შესაძლოა, იმის საბაბი გახდეს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კონტროლის შესაძლებლობები სრულად დაეცეს. ამის გამო, შესაძლოა, საჭირო გახდეს ნაციონალური შეიარაღებული ძალების თანამონაწილეობა“...**

2008 წელს აშშ-ის არმიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოაცხადა, რომ კრიზისმა, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი სამოქალაქო არეულობები განაპირობოს. „დამანგრეველმა შიდა შოკმა“, შესაძლოა, „პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის ფუნქციონირების დაკარგვა“ მოიტანოს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს „მიზანმიმართულ შიდა დაპირისპირებასა და ბუნტს...“ იმავე ინსტიტუტის რეკომენდაციით, **„ექსტრემალურ სიტუაციებში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს შიგნით მეამბოხე ჯგუფების წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნეს სამხედრო ძალა“.**

იმავე კრიზისულ 2008 წელს პენტაგონმა დაიწყო 20-ათასიანი სამხედრო შენაერთის ფორმირება. ეს შენაერთი მიზანმიმართულად განკუთვნილია „შიდა კატასტროფებზე“ ან „სამოქალაქო არეულობებზე“ სათანადო პასუხის გასაცემად. როგორც აღნიშნულია მეცნიერის სტატიაში, ეს პროგრამა შემუშავდა 2005 წლის შიდა უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე.

2010 წელს აშშ-ის გაერთიანებულ ძალთა სარდლობამ ჩაატარა კვლევა, რომელშიც საუბარი იყო „კონცეფციისა და ექსპერიმენტების ერთობლივ შემუშავებაზე თავდაცვის სამინისტროს მთელ ტერიტორიაზე“: ამერიკელი სამხედროების მიერ სამომავლო ტენდენციებისა და პოტენციური გლობალური საფრთხეების საბოლოო ხედვის ჩამოყალიბებაზე. კვლევაში ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ უკვე 2015 წლისთვის მსოფლიო ნავთობმოპოვება შესაძლოა საკმარისი აღარ ყოფილიყო ყველა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

**2010 წელს პენტაგონმა სამხედრო თამაშებიც ჩაატარა, რათა გამოეკვლია აშშ-ში „ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრახის“ შედეგები.**

**2013 წლის მაისში პენტაგონმა წამოაყენა ამერიკულ კანონებში ცალმხრივი ცვლილებების შეტანის წინადადება. ამ ცვლილებებით სამხედროებს ფორმალურად მიენიჭებოდათ საგანგებო უფლებამოსილებები „საგანგებო სიტუაციებში“ ან „სამოქალაქო არეულობებში“ ჩარევისთვის.** პროექტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ფედერალურ სამხედრო მეთაურებს უფლება აქვთ, განსაკუთრებით საგანგებო მდგომარეობებში, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც არ არის შესაძლებელი, პრეზიდენტისაგან მიღებულ იქნეს წინასწარი ნებართვა, დროებით განახორციელონ ქმედებები მასშტაბური და მოულოდნელი სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად.

ნაფიზ ახმედის აზრით, **პენტაგონში მშვენივრად ესმით, რომ ეკონომიკურმა, ეკოლოგიურმა და სხვა კრიზისებმა, შესაძლოა, ხელისუფლებისა და კორპორაციების მიმართ ფართო საზოგადოებრივი უკმაყოფილების პროვოცირება გამოიწვიოს. და ეს, შესაძლოა, უახლოეს წლებში მოხდეს.** სნოუდენის გულახდილობა მოსმენების გლობალური პროგრამებისა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან დაწესებული თვალთვალის შესახებ მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ბიზნესი, როგორც წესი, არასტაბილურობას ქმნის ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც და ამით მასობრივ უკმაყოფილებას ნერგავს. შედეგად **ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს განიხილავს, როგორც პოტენციურ მტრებს, თავად კი პოლიციურ სახელმწიფოზე ფიქრობს...** ▶

ამბები

## გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა კიდევ ერთი სასაკლაო იპოვეს

**გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა შინდისში ცხენის, ვირისა და სხვა პირუტყვის კიდევ ერთი სასაკლაო აღმოაჩინეს.** ძვლებისა და ხორცის ნარჩენები სოფელთან საძოვარზეა ნაპოვნი. ტერიტორიაზე, რომელიც ერთ-ერთ კომპანიას ეკუთვნის, სპეციალური ინფრასტრუქტურა მოწყობილი არ არის.



## მარტის ბოლოდან პარლამენტი მუშაობას პარალელურ რეჟიმში თბილისშიც დაიწყებს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელის განცხადებით, მარტის ბოლოდან პარლამენტი მუშაობას ქუთაისის პარალელურად თბილისშიც დაიწყებს.**

„როგორც ვიცი, მარტის ბოლოდან დაგეგმილია პარლამენტის თბილისში უმეტესწილი საქმიანობა, გარდა სესიებისა. საუბარია ბიუროს სხდომებზე, საკომიტეტო მოსმენებსა და პარლამენტის წევრების თბილისში მუშაობაზე,“ — განაცხადა ხიდაშელმა.

**აშშ-ის 104 კომერციული ბირთვული რეაქტორიდან 11 სექტემბრის ტერაქტის სტილის „მაქსიმალურად შესაძლო შეტევისგან“ ერთიც არ არის დაცული. ბირთვული ობიექტები, ფაქტიურად, არ არის დაცული საჰაერო დარტყმებისგან, ტერორისტების დიდი რაზმების შეტევებისაგან და სნაიპერების მძლავრი იარაღისგანაც კი. სიმართლე ისაა, რომ ამერიკა ტერაქტებისგან ბევრად უფრო დაუცველია, ვიდრე ეს ამერიკელთა უმრავლესობას წარმოუდგენია.**

მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ საკუთარ ბირთვულ სადგურებს ვერ იცავს

**კალიფორნიის ელექტროსადგურზე სნაიპერების რაზმმა 19 წუთის განმავლობაში 17 ტრანსფორმატორი გაანადგურა. როდესაც მსგავსი რეალური ტერაქტი ხორციელდება, საზოგადოება ამის შესახებ უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე თვის შემდეგ იგებს, ზოგჯერ კი ტერაქტები ბოლომდე საიდუმლოდ რჩება. კალიფორნიის ტერაქტისას ტერორისტებმა 17 ტრანსფორმატორი გაანადგურეს და იმდენად დიდი ზიანი მიაყენეს ელექტროსადგურს, რომ მან რამდენიმე თვით შეწყვიტა მუშაობა.**



აშშ-ში ხელისუფლების კრიზისმა, რომელმაც კულმინაციას ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია და რომელმაც ვერ შეძლო თავის გამოაშკარავება ვერც ქვეყნის შიგნით, ვერც საგარეო პოლიტიკაში, გასულ წელს უკვე განაპირობა ხელისუფლების „გამოთიშვა“ 16 დღით. **როგორც ობამას, ასევე კონგრესს ნდობის უკიდურესად დაბალი რეიტინგი აქვთ. უდავოა, რომ ობამა აშშ-ის ისტორიაში შევა, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პრეზიდენტი. და უდავოა, რომ სწორედ ობამა აკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ როგორმე შეინარჩუნოს ძალაუფლება. სწორედ ობამა კურირებს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მუშაობას. და უკვე უამრავჯერ დაიწერა, რომ სწორედ ამ სააგენტომ მილიონობით ვაზნა, უამრავი ჯავშანჟილეტი, ფარი, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ცეცხლგამძლე ჯიხური იყიდა.**

**თეთრმა სახლმა პენტაგონს ნება დართო, ცალმხრივ რეჟიმში შეიტანოს ცვლილებები სათანადო კოდექსში, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო სამართალდამცავი ორგანოების დაცვის მხარდაჭერა“. აშშ-ის არმიამ მიიღო უფლებამოსილება, საქმეში ჩაერიოს „საგანგებო სიტუაციების“ ან „სამოქალაქო არეულობების“ დროს.**

**როგორც იურისტები ვარაუდობენ, ეს შესწორებები განაპირობებს აშშ-ის პოლიტიკის ყველა შიდა საქმეში სამხედროების გაცილებით აქტიურ მონაწილეობას.** რატჯერსის უნივერსიტეტის საკონსტიტუციო უფლებების მასწავლებელი ბრიუს აფრენი ირწმუნება, რომ დე-ფაქტო ეს არის „შეიარაღებული ძალების მიერ ხელისუფლების ექსტრავაგანტული მიტაცება“. **„ეს ამაზრზენია,** — აღნიშნავს იგი, — **რადგან მიწასთან ასწორებდა ძველ დემოკრატიულ პრინციპს იმის თაობაზე, რომ შეიარაღებული ძალები სამოქალაქო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდნენ“.**

**ახლა აშშ-ში სამხედროები შეძლებენ ქუჩების პატრულირებას, მოქალაქეების დაკავებას და დაკითხვას ფედერალური პოლიციის საქმის კურსში ჩაყენებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ეს არის დარტყმა შტატების თავისუფლებაზე.**

ესეც თქვენი დემოკრატ-პაციფისტი ობამა, პაციფისტი ჰეიგელი (თავდაცვის მინისტრი) და პაციფისტი კერი (სახელმწიფო მდივანი) — ამერიკული ტოტალიტარიზმის წმინდა სამება.

topwar.ru

და ამ ყველაფრისთვის საკმარისი აღმოჩნდა 19 წუთის განმავლობაში სროლა. ცხადია, ამერიკელების უმეტესობას ოდნავი წარმოდგენაც კი არ აქვს ამ შემთხვევის შესახებ, რადგან ისინი ახალ ამბებს ცენტრალური მედიასაშუალებებიდან ეცნობიან. თუმცა ენერგეტიკის რეგულირების ფედერალური კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ **„მომხდარი ტერაქტების მთელი ჩამონათვალის გათვალისწინებით ეს შიდა ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ინციდენტი იყო“.** მიუხედავად ამისა, ახალი ამბების უდიდეს მაცნეებს ამის შესახებ სიტყვაც კი არ დასცდენიათ. ისინი ჯასტინ ბიბერთან დაკავშირებული სკანდალის გაშუქებით არიან დაკავებულნი.

შესაძლოა, ეს კარგიცაა, რომ ადამიანების უმეტესობამ არ იცის ამის შესახებ. **სიმართლე ისაა, რომ ამერიკა არის ქვეყანა, სადაც უამრავი „იოლი სამიზნეა“ და, თუ ადამიანები გაიგებენ, რამდენად დაუცველნი არიან სინამდვილეში, უბრალოდ, განრისხდებიან.**

სნაიპერებმა სილიკონის ველზე მდებარე ელექტროსადგური სრულად გამოიყვანეს მწყობრიდან და შემდეგ სიბნელეში გაუჩინარდნენ. გამომძიებლებმა შემთხვევის ადგილზე 100-ზე მეტი გამოყენებული მასრა იპოვეს, მაგრამ თითის ანაბეჭდები არც ერთზე არ აღმოჩნდა. ასევე იპოვეს ქვების მომცრო გროვები, ამ ქვებს, როგორც ჩანს, მზვერავები იყენებდნენ და შემდეგ ინფორმაციას მსროლელებს გადასცემდნენ.

**ქვესადგური მწყობრიდან გამოვიდა და მთელი თვით დაიკეტა, მაგრამ რა მოხდება, თუ შემდეგ ჯერზე ეს ჯგუფი გადაწყვეტს, ატომურ ელექტროსადგურს დაესხას თავს და გაცილებით უფრო მძლავრი იარაღი გამოიყენოს?**

**კიდევ ერთი ფუკუსიმა გაჩნდება, ოღონდ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ეს სულაც არ წარმოადგენს ფანტასტიკის სფეროს, რადგან ამერიკული ბირთვული ობიექტები პრაქტიკულად დაუცველია.**

აშშ-ის ყველა შტატში, როგორც კომერციულ, ასევე კვლევით ბირთვულ ობიექტებს ძალზე ცუდად იცავენ ტერორისტული საფრთხისგან და ეს დასკვნა გაკეთდა იმ ახალი კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ ტეხასის უნივერსიტეტთან არსებულმა ბირთვული ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგობის პროექტმა (Nuclear Proliferation Prevention Project NPPP) გამოაქვეყნა. ორი უმსხვილესი ტერორისტული საფრთხე, რომელსაც ეს ობიექტები ანგარიშის თანახმად ეჯახებიან, არის ატომური ბომბის წარმოებისთვის კომპონენტების მოპარვა და დივერსიები, რომლებიც მიმართულია ბირთვული რეაქტორის აფეთქებისკენ.

კვლევის სახლწოდებაა „აშშ-ის ბირთვული ობიექტების დაცვა ტერაქტებისგან — მოქმედი მიდგომის „ძირითადი საპროექტო საფრთხეები“ გადაფასება“. კვლევამ აჩვენა, რომ, **აშშ-ის 104 კომერციული ბირთვული რეაქტორიდან 11 სექტემბრის ტერაქტის სტილის „მაქსიმალურად შესაძლო შეტევისგან“ ერთიც არ არის დაცული. ბირთვული ობიექტები, ფაქტიურად, არ არის დაცული საჰაერო დარტყმებისგან, ტერორისტების დიდი რაზმების შეტევებისაგან და სნაიპერების მძლავრი იარაღისგანაც კი.**

**სიმართლე ისაა, რომ ამერიკა ტერაქტებისგან ბევრად უფრო დაუცველია, ვიდრე ეს ამერიკელთა უმრავლესობას წარმოუდგენია.**

რატომ არ აკეთებს ფედერალური ხელისუფლება ყველაფერს ქვეყნისა და ხალხის დასაცავად?

**რეალურად ფედერალური ხელისუფლების ქმედებები იმდენად შეუსაბამოა, რომ მას მხოლოდ საკუთარი კომპიუტერების დაცვაც კი არ შეუძლია. კიდევ ერთი ბოლოდროინდელი ანგარიშის თანახმად, სახელისუფლო კომპიუტერულ ქსელებში შეღწევის შემთხვევათა 40%-ს ვერავინ ამჩნევს.**

რესპუბლიკელმა სენატორმა ტომ კობერნმა ოკლაჰომიდან თავის ახალ ანგარიშში ყურადღება გაამახვილა ფედერალურ ხელისუფლებაში კიბერუსაფრთხოების დარღვევის ფართოდ გავრცელებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც საიდუმლო ინფორმაციის დაცვისთვის მრავალმილიარდიანი ბიუჯეტები იხარჯება.

ორიოდე დღის წინ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღმოჩენილია, რომ ხელისუფლების ქმედებებში საკუთარი კომპიუტერული ქსელის დაცვის მიმართულებით სერიოზული ხარვეზებია. ამას კიბერშეტევათა ის 40%-იც ადასტურებს, რომელიც საერთოდ აღმოუჩენელი რჩება.

**„უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენ ვნახეთ კიბერუსაფრთხოების მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს აშშ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას,** — აღნიშნულია ანგარიშში. — **ნაციონალური მონაცემები იმ მონაცემების ჩათვლით, რომელთაც დარღვევისა და განადგურების შემთხვევაში ამერიკელთა დახოცვა შეუძლია, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს. ატომური ელექტროსადგურების კიბერუსაფრთხოების შესახებ საიდუმლო დოკუმენტები კვლავაც დაუცველი რჩება. ჰაკერებმა ნიუ იორკის საფონდო ბირჟის საყრდენი სტრუქტურის ნახაზებიც კი მოიპარეს“.**

როგორც ჩანს, ამერიკელები შორს არიან იმ უსაფრთხოებისგან, რომელსაც ისურვებდნენ და რომელიც ეიმედებათ.

უკანასკნელი თვეების მანძილზე გასაგები გახდა, რომ აშშ-ის მოქალაქეთა პირადი ფინანსური ინფორმაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გაბნეული მსხვილი მაღაზიებისგანაც კი არაა დაცული. იმედია, ამერიკელთა ნაწილმა მაინც უკვე იცის უსაფრთხოების ნორმების იმ უხეში დარღვევის შესახებ, რომელსაც Target-ში ჰქონდა ადგილი.

სადღესასწაულო გაყიდვებისას განხორციელებული შეღწევა 110 მომხმარებელს შეეხო, მათ შორის 40 მილიონ საკრედიტო და სადებეტო ბარათს და 70 მილიონი მომხმარებლის პირად ინფორმაციას. მაღაზიათა ქსელმა შეღწევა დეკემბრის შუა რიცხვებში აღმოაჩინა, მაგრამ კლიენტებს ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აცნობა. გამოძიება უსაფრთხოების კერძო ფირმისა და სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობით დაიწყო.

ექსპერტები ამბობენ, რომ ვინაიდან საკრედიტო ბარათების კომპანიები ამცირებენ საკუთარ ხარჯებს მოძველებული და იაფფასიანი ტექნოლოგიების გამოყენებით, საკრედიტო ბარათების ანალოგიური ჰაკერული გატეხვები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება.

**რას გააკეთებს ადამიანი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ მისი საკრედიტო და სადებეტო ბარათებიდან ერთიც არ მუშაობს, რადგან ჰაკერებმა მთელი სისტემა გატეხეს?**

**რას გააკეთებს ადამიანი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ დენი არ აქვს, რადგან ტერორისტების რაზმმა მისი ოლქის ენერგოსისტემა გაანადგურა?**

**რას გააკეთებს ადამიანი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ რადიაციული გამოსხივების ზონაშია, რადგან ტერორისტებმა მისი სახლის მახლობლად მდებარე ატომური ელექტროსადგური ააფეთქეს?**

**ამერიკა არის ძალიან სუსტი ქვეყანა, რომელიც სავსეა მიმზიდველი „იოლი სამიზნეებით“, რომელთაც ნებისმიერ წუთს შეიძლება დაესხან თავს.**

thetruthwins.com

მოკლედ

## უკრაინის ხელისუფლება მოსკოვთან დიალოგის გზებს ეძებს

**უკრაინის ახალი ხელისუფლება მოსკოვთან დიალოგის გზებს ეძებს, — ამის შესახებ უკრაინის პრემიერმინისტრმა არსენი იაცენიუკმა განაცხადა.**

მისი თქმით, უკრაინასა და რუსეთს შორის მინისტრების დონეზე კონსულტაციები უკვე დაიწყო. „რუსეთსა და უკრაინას შორის მინისტრთა კაბინეტის წევრების მონაწილეობით კონსულტაცია ჯერ მდორედ მიმდინარეობს, მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა“, — განაცხადა იაცენიუკმა.

მან კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს, გაიყვანოს ჯარები უკრაინის ტერიტორიიდან და ყირიმში შავი ზღვის ფლოტის ბაზირების შესახებ შეთანხმება შეასრულოს.

## კიევის საკაბელო ტელევიზიამ რუსული არხების მაუწყებლობა გათიშა

**კიევში, უმსხვილესმა ინტერნეტპროვაიდერმა და საკაბელო ტელევიზია „ლანეტმა“ სამი რუსული არხის მაუწყებლობა გათიშა.** „ლიგა.ნეტ“-ის ინფორმაციით, გათიშულია „ერ-ტე-ერ პლანეტა“, „პირველი არხი“ და „ენ-ტე-ვე მირ“. ასეთი გადაწყვეტილება კომპანია „ლანეტმა“ აღნიშნული ტელეკომპანიების მიერ უკრაინული კანონმდებლობის დარღვევისა და საომარი მოწოდებების გამო მიიღო. „მშვიდობის შენარჩუნება ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა“, — ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემორალიზებული და აპათიაში ჩავარდნილი ხალხი ყოველთვის მზადაა, მიესალმოს დიდი ადამიანის უეცარ განცხადებას, რომელიც გვპირდება ყველა პრობლემის მოგვარებას და გარანტიას გვაძლევს, რომ ხალხი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი, ხოლო შიდა წინააღმდეგობები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ასეთ დიქტატორს – და ეს ზუსტად რომ დიქტატორი იქნება – ყველა ხელგაშლილი შეეგებება.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (236-242)

**რომის კლუბის პირველი კონფერენცია შეერთებულ შტატებში „300-თა კომიტეტმა“ 1969 წელს „რომის კლუბის ასოციაციის“ სახელით მოიწვია. შემდეგი შეხვედრა 1970 წელს ჩატარდა სახელწოდებით „რელიგიურ კვლევათა რივერდეილის ცენტრი“; მას თომას ბერნი ხელმძღვანელობდა. შემდეგ იყო ვუდლანდის კონფერენცია 1971 წელს ტეხასის შტატში, ქალაქ ჰიუსტონში. მას შემდეგ ვუდლანდში რეგულარული კონფერენციები ყოველწლიურად იმართება.**




ასევე 1971 წელს Mitchell Energy and Development Corporation-მა (მიტჩელის ენერგეტიკისა და მშენებლობის კორპორაცია) ორგანიზება გაუკეთა „რომის კლუბისთვის“ ენერგეტიკის დარგში სტრატეგიის შემმუშავებელ შეხვედრას. დომინანტური თემა იყო აშშ-ის ზრდის შეზღუდვა. მთელი ამ საქმიანობის კულმინაცია გახდა „მომავლის პრობლემების შესახებ პირველი გლობალური კონფერენცია“ 1980 წლის ივლისში, რომელსაც სოციალური საკითხებისა და ტვინის ცენტრების წევრი 4000 სპეციალისტი ესწრებოდა. ყველა მათგანი ან იმ ორგანიზაციის წევრი იყო, რომელიც „რომის კლუბის“ ეგიდით მუშაობდა, ან მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან.

**„მომავლის პრობლემების შესახებ პირველმა გლობალურმა კონფერენციამ“ თეთრი სახლის კურთხევა მიიღო, რომელმაც მისი სტენოგრამების საფუძველზე საკუთარი კონფერენცია ჩაატარა სახელწოდებით „თეთრი სახლის კომისია 1980-იანი წლების პრობლემების შესახებ“.** იგი ოფიციალურად უწევდა რეკომენდაციას „რომის კლუბის“ პოლიტიკას „აშშ-ის მომავალი პოლიტიკის მიმართულებისთვის“ და იმდენად შორს წავიდა, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკა ინდუსტრიული ფაზიდან გამომსვლელად დაასახელა. ეს სერ პიტერ ვიკერს-ჰოლისა და ზბიგნევ ბჟეზინსკის თემას ეხმიანება და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკას „300-თა კომიტეტი“ აკონტროლებს.**

როგორც 1981 წელს ვამბობდი, **პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად ჩვენ „რომის კლუბის“ გეგმების კლანჭებში ვართ მოქცეულნი. ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული. თუ გვინდა, გადავრჩეთ, უნდა დავიხსნათ თავი „300-თა კომიტეტის“ მიერ აშშ-ის ხელისუფლების კონტროლისგან.** „300-თა კომიტეტს“ შეეძლო თავისი აგენტების ჩანერგვა ყველა საკვანძო პოსტზე ხელისუფლებაში ყოველი არჩევნების შემდეგ, მას შემდეგ, რაც კალვინ კულრიჯმა კენჭი იყარა თეთრ სახლში. ასე რომ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს. მაგალითად, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი ფრანკლინ დ. რუზველტის შემდეგ საგულდაგულოდ ირჩეოდა საერთაშორისო ურთიერთობის საბჭოს მიერ, რომელიც სსსი-ს (საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის) ინსტრუქციებით მოქმედებდა.

1980 წლის არჩევნებზე უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პრაქტიკულად ყველა კანდიდატი აშშ-ში სუს-ის (საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს) მიერ იყო შერჩეული. ამიტომ შეთქმულთათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვინ მოიგებდა საპრეზიდენტო რბოლას. ისეთი „ტროას ცხენების“ წყალობით, როგორც „მემკვიდრეობის ფონდი“ და სუს-ია, ყველა საკვანძო პოლიტიკური პოსტი ახალ ადმინისტრაციაში საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს კანდიდატებმა დაიკავეს. მანამდე, 1960-იანი წლებიდან ბევრ ამ თანამდებობას ასევე ნატოსა და „რომის კლუბის“ მომხრეები იკავებდნენ, რის შედეგადაც **ყველა საკვანძო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას „რომის კლუბისა“ და სუს-ის, როგორც „300-თა კომიტეტის“ შემსრულებელი ორგანოების, წარუშლელი ბეჭედი ატყვია.**

**1984 და 1988 წლების არჩევნებიც ასევე წინასწარ განსაზღვრული სცენარით ჩატარდა. სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი სრულებით შეესაბამებოდა „300-თა კომიტეტის“ მოთხოვნებს ამ თანამდებობის კანდიდატის მიმართ.**

კარტერის ადმინისტრაციამ შეთქმულების აგენტების საკვანძო პოზიციებზე წარდგენის პროცესი დააჩქარა. კარტერის არჩევამდე, მისმა მთავარმა სტრატეგმა საარჩევნო კამპანიისას — ჰამილტონ ჯორდანმა თქვა, რომ თუ საირუს ვენსი ან ბჟეზინსკი მიიღებენ თანამდებობებს კარტერის კაბინეტში, მაშინ იგი, ჯორდანი, თანამდებობას დატოვებს. ისინი დანიშნეს, მაგრამ ჯორდანს თანამდებობა არ დაუტოვებია.

**სწორედ ტავისტოკის მიერ შემუშავებულმა მეთოდებმა აიძულა შეერთებული შტატები, ჩართულიყო მეორე მსოფლიო ომში და დოქტორ კურტ ლევინის ხელმძღვანელობით შექმნა სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველო – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წინამორბედი**

კარტერის მიერ პოლ უოლკერის არჩევა (ფაქტობრივად, უოლკერის დანიშვნა მას დევიდ როკფელერმა უბრძანა) აშშ-ის ეკონომიკის კრახის დასაწყისი გახდა, „რომის კლუბის“ გეგმის თანახმად.

ჩვენ უმძლავრეს ძალას შევეჯახეთ, რომელიც ერთიანი მსოფლიო მთავრობის მიზნებს მიჰყვებოდა. ბოლო 45 წლის განმავლობაში ჩვენ წინააღმდეგ დამანგრეველი და დამქანცველი ომი მიმდინარეობს, უბრალოდ, ჩვენ ვერ აღვიქვამთ მას, როგორც ასეთს. **ჩვენ მეთოდურად და სისტემატურად გვილაყებენ ტვინს, ხოლო ჩვენ კი ამას არც ვეჭვობთ. ტავისტოკის ინსტიტუტმა ამისთვის მთელი სისტემა შექმნა, შემდეგ კი მოქმედებაში მოიყვანა.**

**წინააღმდეგობის გაწევის ერთადერთი გზაა შეთქმულთა და მათი მფარველი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების გამოაშკარავება.** ჩვენ გვჭირდება გამოცდილი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ ჩვენი ფასდაუდებელი მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის ფორმულირებას, რომელიც დაკარგვის შემთხვევაში ველარ აღდგება. **ჩვენ უნდა შევისწავლოთ შეთქმულთა მეთოდები — შევისწავლოთ და მივიღოთ კონტრზომები. მხოლოდ წინააღმდეგობის დამანგრეველი პროგრამა შეაჩერებს ხრწნას, რომელიც ჩვენს ქვეყანას ალპობს.**



ზოგიერთისთვის რთული გასაგებია გლობალური შეთქმულების იდეა, რადგან ამაზე ბევრი მწერალი ფულს აკეთებს. სხვებს ეჭვი ეპარებათ ასეთი საქმიანობის გლობალურ მასშტაბებში, მისი წარმატებით განხორციელების შესაძლებლობაში. ისინი ხედავენ ჩვენი ხელისუფლების ამაზრზენ ბიუროკრატიას და ამბობენ: „კარგი, რატომ უნდა დავიჯეროთ ის, რომ ცალკე აღებულ ადამიანს შეუძლია გააკეთოს მეტი, ვიდრე ხელისუფლებას?“. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება ის ფაქტი, რომ ხელისუფლება თავად წარმოადგენს შეთქმულების ნაწილს. მათ აშკარა მტკიცებულებები უნდათ, ხოლო აშკარა მტკიცებულებების მიღება ძალიან რთულია.

მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ: „მერე რა, რა ჩემი საქმეა შეთქმულება?! მე ხმის მისაცემადაც კი არ დავდივარ“. ზუსტად ასეთი რეაქციის გამოწვევას ცდილობენ ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილისგან. ჩვენი ხალხი აპათიითა და გულგრილობითაა შეპყრობილი – ეს 45-წლიანი ომის შედეგია, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ მიმდინარეობს. კურტ ლევინის წიგნში მკაფიოდაა ნათქვამი, თუ როგორ კეთდება ეს, მაგრამ რამდენი ადამიანია, რომლებიც გასართობ ლიტერატურას სამეცნიერო წიგნის წაკითხვას ამჯობინებენ? ჩვენ სწორედ ისე ვრეაგირებთ, როგორც გვაპროგრამებენ. **დემორალიზებული და აპათიაში ჩავარდნილი ხალხი ყოველთვის მზადაა, მიესალმოს დიდი ადამიანის უეცარ განცხადებას, რომელიც გვპირდება ყველა პრობლემის მოგვარებას და გარანტიას გვაძლევს, რომ ხალხი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი, ხოლო შიდა წინააღმდეგობები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ასეთ დიქტატორს — და ეს ზუსტად რომ დიქტატორი იქნება — ყველა ხელგაშლილი შეეგებება.**

იცოდე, თუ ვინაა ჩვენი მტერი, სასიცოცხლო აუცილებლობაა. შეუძლებელია, ებრძოლო უცნობ მტერს. წინამდებარე წიგნი შეიძლება გამოიყენო, როგორც სამხედრო-საველე წესდება. შეისწავლეთ მისი შინაარსი და დაიმახსოვრეთ ყველა სახელი. ამ თავში მე ხშირად ვახსენებდი „პროფილირების“ ტექნიკას. „პროფილირების“ სრული განმარტება შემდეგ თავშია მოცემული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც „პროფილირების“ შესწავლიდან უნდა გავაკეთოთ, შედარებითი სიმარტივეა, რომლითაც იგი ხორციელდება პიროვნების, პარტიული ჯგუფის, პოლიტიკური გაერთიანებისა და ა. შ. დონეზე. როგორც კი ჩვენ გავაცნობიერებთ ამ სიმსუბუქეს, შეთქმულება აღარ იქნება რაღაც ისეთი, რაც ჩვენი ცნობიერების ფარგლებს სცილდება. ჩვენთვის ადვილად გასაგები გახდება პრეზიდენტ კენედის მკვლელობაც და პრეზიდენტ რეიგანზე თავდასხმაც. ▶

**სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებმა, «ბომბარდირ» ჰარისის სარდლობით, განახორციელეს ლევინის გეგმები, რომლის კულმინაციაც დრეზდენის საშინელი დაბომბვა გახდა, რომლის დროსაც 125 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, უმთავრესად — მოხუცები, ქალები და ბავშვები**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „300-თა კომიტეტს“ თავის განკარგულებაში აქვს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი, ასობით ტვინის ცენტრისა და ოფიციალური დაწესებულების ჩათვლით, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირთა და ორგანიზაციათა ფართო სპექტრს, კერძო ბიზნესიდან — სამთავრობო ლიდერებამდე.

### დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონტროლი

**პროფილირება — 1922 წელს „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ (სსსი) ბრძანებით შემუშავებული მეთოდი. მაიორმა ჯონ როულინგზ რიზიმ (John Rawlings Reese), ბრიტანელმა სამხედრო სპეციალისტმა, მიიღო მითითება, შეექმნა მსოფლიოში უდიდესი ტვინის გალაყების დაწესებულება „ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტთან“ ერთად, რომელიც სუსექსის უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედიოდა. იგი „ფსიქოლოგიური ომის ბრიტანული ბიუროს“ (Britain's Psychological Warfare Bureau) ბირთვად იქცა.** როდესაც 1970 წელს პირველად გავაცანი შეერთებულ შტატებს რიზისა და ტავისტოკის სახელები, ამან თითქმის არ გამოიწვია ინტერესი მკითხველში. მაგრამ გასულ წლებში მე სულ უფრო და უფრო ვხდიდი ფარდას ტავისტოკის საქმიანობასა და მის როლს შეთქმულებაში, ჩემი ადრინდელი კვლევების მიბაძვა მოდაში შემოვიდა და პოპულარული გახდა.

**„ფსიქოლოგიური ომის ბრიტანული ბიურო“ ფართოდ იყენებდა რიზის მიერ ბრიტანული ჯარისა და ტყვეების, 80 ათას „საცდელ კურდღელზე“ ჩატარებული სამუშაოს შედეგებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის ტესტირებას უტარებდნენ.** სწორედ ტავისტოკის მიერ შემუშავებულმა მეთოდებმა აიძულა შეერთებული შტატები, ჩართულიყო მეორე მსოფლიო ომში და დოქტორ კურტ ლევინის ხელმძღვანელობით შეექმნა სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველო — ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წინამორბედი. ლევინი გახდა „სტრატეგიული დაბომბვების დაგეგმარების სამმართველოს“ (Strategic Bombing Survey) ხელმძღვანელი, რომლის საქმიანობის შედეგიც იყო სამეფო სამხედრო საჰაერო ძალების მიერ გერმანული მუშათა საცხოვრებელი კვარტლების მასიური დაბომბვისა და სამხედრო ქარხნების უვნებლად დატოვების გეგმის შემუშავება. ორივე მებრძოლი მხარის სამხედრო ქარხნები საერთაშორისო ბანკირებს ეკუთვნოდათ, რომელთაც საკუთარი აქტივების განადგურება არ სურდათ.

**ომის შემდეგ ნატომ უბრძანა სუსექსის უნივერსიტეტს, ორგანიზება გაეწია ტვინის გალაყების სრულიად განსაკუთრებული ცენტრისთვის, რომელიც „ფსიქოლოგიური ომის ბრიტანული ბიუროს“ ნაწილი გახდა, მაგრამ ახლა მისი კვლევები მიმართული იყო არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო გამოყენებისკენ.**

სამოქალაქო საცხოვრებელი კვარტლების მასიური დაბომბვის მიზანი იყო გერმანელი მუშების მორალური სულის გატეხვა. ეს დაბომბვები არ ისახავდა მიზნად გერმანული სამხედრო მანქანის განადგურებას. ლევინმა და მისმა გუნდმა შემდეგი მიზნობრივი მონაცემები გამოიყვანეს: თუ გერმანელი მუშების საცხოვრებლის 65% სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ჩატარებული ღამის დაბომბვების შედეგად დაინგრევა, მოსახლეობა მორალურად დაეცემა. ამ საკითხის შესახებ რეალური სამუშაო დოკუმენტი სადაზღვევო კომპანია Prudential Assurance Company-მ მოამზადა.

**სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებმა, „ბომბარდირ“ ჰარისის სარდლობით, განახორციელეს ლევინის გეგმები, რომლის კულმინაციაც დრეზდენის საშინელი დაბომბვა გახდა, რომლის დროსაც 125 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, უმთავრესად — მოხუცები, ქალები და ბავშვები.** სიმართლე გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ „ბომბარდირი“ ჰარისის საშინელი რეიდების შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებული იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან კიდევ დიდი ხნის მანძილზე.



**სოციუმის მართვა ფართო მასშტაბებში მედიის გამოყენებით მიიღწევა, ამასთან, ბირთვული ომის საშინელების მიტანა მასების ცნობიერებამდე ტელევიზიის საშუალებით ხდება. დადგენილია, რომ ბირთვული ომის საშინელების დრამატიზებისთვის ძალიან ეფექტურია ქალთა ჟურნალები**

ტავისტოკმა შეიმუშავა დეტალური პროგრამების უმრავლესობა, რომელთა შედეგადაც შეიქმნა სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამმართველო (სსდს) (Office of Naval Intelligence (ONI), აშშ-ის ნომერი პირველი სადაზვრევო სამსახური, რომელთან შედარებითაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ჯუჯასავით გამოიყურება. **აშშ-ის მთავრობამ ტავისტოკთან მილიარდიანი კოტრაქტები გააფორმა, რომელთა სტრატეგიული დაგეგმარების სპეციალისტებმაც შეიმუშავეს იმ პროგრამების დიდი ნაწილი, რომლებსაც პენტაგონი ახლაც იყენებს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისთვის.** ეს იმ ბორკილების კიდევ ერთი ილუსტრაციაა, რომლითაც „300-თა კომიტეტს“ უჭირავს აშშ და მისი დაწესებულებების უმრავლესობა. **აშშ-ში ტავისტოკი მართავს 30-ზე მეტ კვლევით ინსტიტუტს.**

**წინააღმდეგობის გაწევის ერთადერთი გზაა შეთქმულთა და მათი მფარველი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების გამოაშკარავება**

ტავისტოკის ამ ინსტიტუტებიდან აშშ-ში ბევრი გიგანტურ მონსტრად იქცა. მათი გავლენა ჩვენი სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ყველა ასპექტში აღწევს და ყოველგვარი პოლიტიკის განსაზღვრის წამყვან ძალად იქცევა. ჩვენი ცხოვრების წესის ერთ-ერთი ტავისტოკელი დამანგრეველი დოქტორ ალექსანდრ კინგია, ნატოს დამფუძნებელი წევრი, „300-თა კომიტეტის“ ფავორიტი და ასევე „რომის კლუბის“ გამოჩენილი წევრი. **„რომის კლუბმა“ დაავალა დოქტორ კინგს განათლების ამერიკული სისტემის დანგრევა – „მასწავლებელთა ეროვნულ ასოციაციაზე“ კოტროლის დამყარებით და ზოგიერთ კანონმდებელსა და მოსამართლესთან მჭიდრო თანამშრომლობით.** თუ აქამდე „300-თა კომიტეტის“ ყოვლისმომცველი გავლენის შესახებ ფართოდ ცნობილი არ იყო, ეს წიგნი ამის შესახებ ეჭვების ნარჩენებსაც კი გააქარწყლებს.

„რომის კლუბის“ კრეატურის — საგანგებო სიტუაციების ფედერალური სააგენტოს (FEMA) გამოცდად პენსილვანიის შტატში, ჰარისბურგში, სამმილიან კუნძულზე არსებული ატომური ელექტროსადგურის გარშემო შექმნილი სიტუაცია იქცა. ისტერიულმა მედიამ ეს მაშინვე „ავარიად“ მონათლა, თუმცა ეს ავარია კი არა, FEMA-სთვის საგანგებოდ სატესტოდ შექმნილი სიტუაცია იყო. შედეგად მივიღეთ მედიის მიერ გაღვივებული შიში და ისტერია, რამაც რაიონიდან ხალხის გაქცევა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ მათ სინამდვილეში არაფერი ემუქრებოდა.

ეს FEMA-ს წარმატებად შეფასდა და ანტიბირთვულ ძალებს ბევრი ქულაც დაუწერა. სამმილიანი კუნძული იქცა ამოსავალ წერტილად ე. წ. გარემოს დამცველთათვის, უხვად დაფინანსებული მოძრაობისთვის, რომელსაც სრულებით აკონტროლებს ასპენის ინსტიტუტი „რომის კლუბის“ სახელით. მედიაში მოვლენათა გაშუქება ტელეკომპანია CBS-დან უილიამ პალეიმ (William Paley), ბრიტანული დაზვერვის ყოფილმა აგენტმა უფასოდ უზრუნველყო.

**FEMA მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სტრატეგიული დაბომბვების დაგეგმარების სამმართველოს ბუნებრივი მემკვიდრეა. დოქტორ კურტ ლევინი, იმის თეორეტიკოსი, რასაც ტავისტოკის შეთქმულები „კრიზისების მართვას“ უწოდებენ, აქტიურად მონაწილეობდა ამ კვლევებში. ლევინსა და ტავისტოკს შორის განუყრელი კავშირი არსებობს, რომელიც 37 წლის განმავლობაში გრძელდება.** ლევინმა შემოიღო FEMA-ში „სტრატეგიული დაბომბვების დაგეგმარების სამმართველოს“ მეთოდოლოგია მცირედი ცვლილებებით, რომელთა შორის ერთ-ერთიც მდგომარეობდა ზემოქმედების ობიექტის შეცვლაში: გერმანიის ნაცვლად ობიექტი შეერთებული შტატები გახდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ორმოცდახუთი წლის შემდეგ ტავისტოკს თითი კვლავ სასხლეტზე უჭირავს, მაგრამ ამჯერად იარაღი შეერთებულ შტატებზეა დამიზნებული.

აწ განსვენებული მარგარეტ მიდი (Margaret სეთd) ტავისტოკის ეგიდის ქვეშ საჰაერო თავდასხმების შემდეგ გერმანული და იაპონური მოსახლეობის სტრესზე რეაქციის ინტენსიურ შესწავლას ახორციელებდა. დოქტორ ირვინგ იანუსი (Irving Janus) მონაწილეობდა პროექტში, როგორც ასოცირებული პროფესორი, ხოლო პროექტის სრულ ხელმძღვანელობას დოქტორ ჯონ როულინგზ რიზი ასრულებდა, რომელიც ბრიტანული ჯარის ბრიგადის გენერლის წოდებამდე დააწინაურეს. კვლევის შედეგები FEMA-ს გადაეცა. იანუსმა მოგვიანებით ისინი თავის წიგნში „საჰაერო ომი და სტრესი“ გამოიყენა. სამმილიანი კუნძულის „კრიზისის“ დროს FEMA ამ წიგნის იდეებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. იანუსის აზრი მართლაც მარტივი იყო: ხელოვნურად შეიქმნას კრიზისების სერია და მოხერხდეს მოსახლეობის მანიპულაცია ლევინის ტერორის ტაქტიკის მიხედვით – ხალხი ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა.

ამ ექსპერიმენტის შესრულების დროს ლევინმა აღმოაჩინა ახალი რამ: **სოციუმის მართვა ფართო მასშტაბებში მედიის გამოყენებით მიიღწევა, ამასთან, ბირთვული ომის საშინელების მიტანა მასების ცნობიერებამდე ტელევიზიის საშუალებით ხდება. დადგენილია, რომ ბირთვული ომის საშინელების დრამატიზებისთვის ძალიან ეფექტურია ქალთა ჟურნალები.** იანუსმა ჩაატარა ტესტი, რომლის დროსაც ბეტი ბამპერსი (არკანზასელი სენატორის, დეილ ბამპერსის მეუღლე) წერდა ამის შესახებ ჟურნალ „მაკოლზისთვის“ (McCalls magazine).

სტატია „მაკოლზის“ 1983 წლის იანვრის ნომერში გაჩნდა. ფაქტობრივად, სტატია მისის ბამპერსს არ დაუწერია, იგი ტავისტოკელ მწერალთა ჯგუფმა მოამზადა, რომლებიც ამგვარ მასალებზე სპეციალიზდებიან. პუბლიკაცია წარმოადგენდა ტყუილის, დამახინჯებული ფაქტების, ინსინუაციებისა და ვარაუდების ნაზავს, რომლებიც სრულიად ყალბ ფონზე იყო აგებული. ბამპერსის სტატია გახდა ფსიქოლოგიური მანიპულაციის მაგალითი, რომელსაც კარგად ფლობს ტავისტოკი. ვერც ერთმა იმ ლედიმ, რომელიც კითხულობდა ჟურნალ „მაკოლზს“, ვერ შეეძლო, თავი დაეღწია იმ შთაბეჭდილებისთვის, რომელიც გამოიწვია საშინელმა ისტორიამ იმის შესახებ, თუ რას ჰგავს ბირთვული ომი.

**„300-თა კომიტეტს“ თავის განკარგულებაში აქვს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი, ასობით ტვინის ცენტრისა და ოფიციალური დაწესებულების ჩათვლით, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირთა და ორგანიზაციათა ფართო სპექტრს, კერძო ბიზნესიდან – სამთავრობო ლიდერებამდე.** მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ვახსენებ, დაწყებული მარშალის გერმანული ფონდიდან. მისი წევრების რიცხვში (ისინი ასევე ნატოსა და „რომის კლუბის“ წევრები არიან) შედიან ისეთი პიროვნებები, როგორიც დევიდ როკფელერია (David Rockefeller) Chase Manhattan Bank-დან: გაბრიელ ჰეიგი (Gabriel Hague) პრესტიჟული Hanover Trust and Finance Corporation-დან: მილტონ კატცი (Milton Katz) „ფორდის ფონდიდან“ (Ford Foundation); ვილი ბრანდტი, სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი, სუკის აგენტი და „300-თა კომიტეტის“ წევრი; ირვინგ ბლუსტოუნი (Irving Bluestone), პროფკავშირული ორგანიზაციის — „საავტომობილო მრეწველობის გაერთიანებული მუშების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე (United Auto Workers); რასელ ტრეინი (Russel Train), „ველური ბუნების მსოფლიო ფონდის“ ამერიკული განყოფილების პრეზიდენტი (World Wildlife Fund), რომელიც პრინც ფილიპისა და „რომის კლუბის“ პატრონაჟის ქვეშ მოქმედებს; ელიზაბეტ მიჯლი (Elizabeth Midgely), CBS-ის პროგრამების პროდიუსერი, ბ. რ. გიფორდი (B. R. Gifford), Russel Sage Foundation-ის ფონდის დირექტორი, გვიდო გოლდმანი „ასპენის ინსტიტუტიდან“, აწ განსვენებული ავერელ ჰარიმანი (Averill Harriman), „300-თა კომიტეტის“ ექსტრაორდინალური წევრი, თომას ლ. ჰაგისი (Thomas L. Hughes) კარნეგის ფონდიდან; დენის მიდოუზი და ჯეი ფორესტორი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის „მსოფლიო დინამიკიდან“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



**აშშ-ის მთავრობამ ტავისტოკთან მილიარდიანი კოტრაქტები გააფორმა, რომელთა სტრატეგიული დაგეგმარების სპეციალისტებმაც შეიმუშავეს იმ პროგრამების დიდი ნაწილი, რომლებსაც პენტაგონი ახლაც იყენებს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისთვის**

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სემინარიაში სწავლის წლებში, ზოგიერთი მონაცემით, იოსებ ჯუღაშვილის მოძღვარი იყო ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი. მონასტერი სამეფო სახლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა (მისი აღმშენებლის — ალექსანდრე II-ის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად). უბრალო სემინარისტს ამით დიდი პატივი დასდეს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ სემინარიელების მოძღვრად ჩვეულებრივ ნიშნავდნენ ადგილობრივი ტაძრის (ამ შემთხვევაში — თბილისის) წინამძღვარს. რატომ მოხვდა ჯუღაშვილი ახალათონელთან? იმიტომ ხომ არა, რომ იგი აპირებდა ბერად შედგომას ამ მონასტერში? ან, ეგებ, უხილავი მფარველები ამზადებდნენ მას რაღაც სხვა, არნახული კანონიკური მორჩილებისთვის?**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (236-242)**

ირემაშვილი ყვება: „გაკვეთილებზე, ლოცვისას და ღვთისმსახურების დროს ფარულად ვკითხულობდით „ჩვენს“ წიგნებს. ბიბლია მაგიდაზე გადაშლილი იდო, მუხლებზე კი გვედო დარვინი, მარქსი, პლეხანოვი და ლენინი“. თავიდან, იხსენებს ირემაშვილი, მე და სოსო ბევრ ქართულ ლიტერატურას ვკითხულობდით. საყვარელი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი იყო XII საუკუნის ქართული ეპიკური პოემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც სამი მეგობარი რაინდი ციხეში დატყვევებულ ულამაზეს ქალიშვილს ათავისუფლებს და ამრიგად, ათავისუფლებს იძულებითი ქორწინებისგან“.

**Такер Р. с. 88.**

საღამოს 9 საათზე ინსპექტორმა შეამჩნია აღსაზრდელთა ჯგუფი, რომელიც აღსაზრდელ ჯუღაშვილის გარშემო იყო შეკრებილი. იგი მათ რაღაცას უკითხავდა. ინსპექტორის მიახლოებისთანავე ჯუღაშვილი შეეცადა, დაემალა ბარათი, და მხოლოდ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გაბედა, ეჩვენებინა თავისი ჩანაწერი. გაირკვა, რომ ჯუღაშვილი კითხულობდა სემინარიის უფროსობის მიერ დაწუნებულ წიგნებს, აკეთებდა ჩანაწერებს მის მიერ წაკითხული სტატიების შესახებ.

**Из книги записей кростунков угащихся Тифлисской семинарии за 1898-1899 гг.**

**Цит. по: Яковлев Н.Н. с. 123.**

ძალიან საინტერესოა სასულიერო სემინარიის „კონდუიტურ ჟურნალში“ არსებული ჩანაწერები:

„გაირკვა, რომ ჯუღაშვილს აქვს „იაფი ბიბლიოთეკის“ სააბონენტო ფურცელი, რომლის წიგნებითაც იგი სარგებლობს. დღეს მას ჩამოვართვი ვ. ჰიუგოს ნაწარმოები „ზღვის მაშვრალნი“, რომელშიც ვიპოვე დასახელებული ფურცელი.

ინსპ. თანაშ. ს. მურახოვსკი“.

**წარწერა პატაკზე:**

**„დაისაჯოს გახანგრძლივებული კარცერით. უკვე გაფრთხილებული მყავდა გარეშე წიგნის — ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წლის“ გამო.**

**სემინარიის ინსპექტორი გერმოგენი. (1896 წლის ნოემბრის ჩანაწერი).**

„საღამოს 11 საათზე იოსებ ჯუღაშვილს ჩამოვართვი ლეტურნოს წიგნი „სახალხო რასების ლიტერატურული განვითარება“, რომელიც მან „იაფ ბიბლიოთეკაში“ აიღო. წიგნში აღმოჩნდა სააბონენტო ფურცელიც. აღნიშნულ წიგნს ჯუღაშვილი ეკლესიის კიბეზე კითხულობდა. „იაფი ბიბლიოთეკიდან“ გამოტანილი წიგნების კითხვაში აღნიშნული მოსწავლე უკვე 13-ჯერ იყო შემჩნეული. წიგნი წარვუდგინე მ. (მამა. — ე.გ.) ინსპექტორს.

ინსპექტორის თანაშ. ს. მურახოვსკი“.

**წარწერა პატაკზე:**

**„მ. რექტორის განკარგულებით, — გახანგრძლივებული კარცერი და მკაცრი გაფრთხილება“. (1897 წლის მარტის ჩანაწერი).**

„ინსპექციის წევრების მიერ მეხუთე კლასის ზოგიერთი მოსწავლის გაჩხრეკის დროს იოსებ ჯუღაშვილი (V, I) რამდენიმეჯერ შეეკამათა ინსპექციის წევრებს, თავის განცხადებებში გამოხატავდა უკმაყოფილებას დროდადრო მოსწავლეთა შორის ჩატარებული ჩხრეკის გამო, და, ამასთანავე, განაცხადა, რომ არც ერთ სხვა სემინარიაში მსგავსი ჩხრეკა არ ტარდება.

მოსწავლე ჯუღაშვილი საერთოდ უპატივცემლო და უხეშია უფროს პირებთან ურთიერთობაში, სისტემატურად არ ესალმება ერთ-ერთ მასწავლებელს (ს. ა. მურახოვსკის), რის შესახებაც ამ უკანასკნელმა არაერთხელ განუცხადა ინსპექციას.

ინსპექტორის თანაშ. ა. რჟავსკი“.

**წარწერა პატაკზე:**

**„გამოეცხადა საყვედური. მ. რექტორის განკარგულებით, 5 საათით მოთავსდა კარცერში (მ. დიმიტრი)“.**

**(1878 წლის 16 დეკემბრის ჩანაწერი)**

**Яковлев Н.Н. с. 26.**

იოსებმა თარგმანში წაიკითხა ბალზაკი, ჰიუგო და თეკერეი, რომლის „ამაოების ბაზარმა“ მასზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. კითხულობდა იგი წიგნებს ისტორიაზე, ეკონომიკასა და ბიოლოგიაზე, მათ შორის იყო დარვინის „ადამიანის წარმოშობა“; ფეიერბახის „ქრისტიანობის არსი“; სპინოზას „ეთიკა“; მენდელეევის „ქიმია“... ეს საკმაოდ გაბედული პროგრამა იყო ახალგაზრდა სემინარისტისთვის. წაკითხულიდან მას არაფერი ავიწყდებოდა. წლების შემდეგ სტალინი ციტირებდა ამ წიგნებიდან ბევრს.

**Грей Я. с. 26.**

სოსომ მხატვრული ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები წაიკითხა, მათ შორის — ტურგენევის „მამები და შვილები“. ამ წიგნის გავლენით მან დააყენა საკითხი, რამდენად შეიძლება ვერწმუნოთ ცნობილი პირების ავტორიტეტს, კრიტიკის გარეშე უნდა მივიღოთ თუ არა ამ თუ იმ მეცნიერის შეხედულებები. ამ საკითხზე ჩვენ შორის დიდი კამათი იმართებოდა.

**Неизвестный свидетель ранних революционных лет Сталина. РЦХИНДИ. Ф. 558, оп. 4, д. 665, л. 194.**

იგი წმინდანი იყო და თავი უცოდველად მიაჩნდა. არავის არასოდეს უნახავს ცრემლი მის თვალში. ზნეობრიობის მწვერვალი, მიუწვდომელი და გამყინვარებელი. იგი იყო სამართლიანი და საშიში თავის სამართლიანობაში. მღვდლისთვის რევოლუციაში შუაგული არ არსებობს. რევოლუციის უკულმართობამ შეიძლება მიიზიდოს მღვდელი მხოლოდ ყველაზე უმდაბლესი ან ყველაზე უმაღლესი განზრახვით; იგი ან ბილწია, ან დიადი. სიმურდენი დიადი იყო, მაგრამ ეს სიდიადე საკუთარ თავში ჩაიკეტა, შეყუჟული იყო მიუწვდომელ კბოდეებში, არასტუმართმოყვარულ მკვდრისებრ სფეროებში: უფსკრულებით შემორტყმული სიდიადე. მთის ზოგი მწვერვალი ასე ავბედითად წმინდაა...

ნაწყვეტი ვ. ჰიუგოს რომანიდან: „93 წელი“, რომელმაც დაარწმუნა სემინარისტი ი. ჯუღაშვილი, აერჩია რევოლუციური გზა.

**Гюго В. 93-й год: М.: Худ. лит., 1988.**






## «ყური მიგდე! მზეს, შიში ნუ გაქვს, გზა არ აებნევა. აი, შენ კი ისწავლე, რა გზით უნდა წავიდეს რევოლუციური საქმე, და დამეხმარე, მოვაწყო პატარა არალეგალური ტიპოგრაფია»

**წინააღმდეგობის გაწევისა და საკუთარი პროტესტის რაღაცნაირ თამაშად წარმოდგა მისთვის წიგნებით გატაცება, რომელთა წაკითხვა ოფიციალურად მიზანშეწონილად არ იყო მიჩნეული ან სულაც იკრძალებოდა. სემინარიაში კონტრაბანდულად შემოჰქონდათ არა მარტო რუსი კლასიკოსების წიგნები, არამედ პოლიტიკური გამოცემებიც, რომელთაც გარკვეული ფეთქებადი ძალა ჰქონდა, მაგალითად, წიგნები დარვინის ევოლუციური თეორიის შესახებ ან მარქსის „კაპიტალი“. ამ, როგორც მას მიაჩნდა, მეცნიერული საფუძვლების დაუფლების შემდეგ, მან ხელი მოჰკიდა სოციალისტური წრის ორგანიზებას, რომელშიც გაერთიანდა მისი რამდენიმე ამხანაგი, მათ შორის, ჩვენ მიერ უკვე ციტირებული ირემაშვილი.**

**Ноймайр А. с. 335.**

ირემაშვილის სიტყვით, სემინარიაში ახალგაზრდა სოციალისტების დისკუსიის დროს მას ჩეულებად ჰქონდა, დაჟინებით დაეცვა საკუთარი სიმართლე და უმოწყალოდ გაეკრიტიკებინა სხვა შეხედულებები. შედეგად ჯგუფი გაიყო, ერთი მხრივ, ისეთებად, ვინც დაემორჩილა წნეხს და დათანხმდა გამხდარიყო ჯუღაშვილის დამჯერე მიმდევრად, მეორე მხარეს დარჩნენ ისინი, ვინც უფრო დამოუკიდებლად აზროვნებდა და არ სურდა დამორჩილებოდა სოსოს დესპოტურ მეთოდებს.

**Такер Р. с. 87-88.**

ხანგრძლივმა საღვთისმეტყველო განათლებამ გამოიწვია აგრეთვე ის, რომ მან შეითვისა აზროვნების გარკვეული სქემები, რომლებმაც მოგვიანებით მის ლიტერატურულ შრომების სტილსა და არგუმენტაციას ასე დამახასიათებელი დოგმატიზმი და კატეხიზმოდან მომდინარე ყველაფრის აბსოლუტურად შავ-თეთრ კატეგორიებად ხისტად დაყოფა. ადამ უილიამი სტალინის ლიტერატურულ სტილს უწოდებდა „დეკლამატურს, რომელიც სავსე იყო გამეორებებითა და ლიტურგიული თანახმიერობით, რაც ასევე გამოიხატა მისი მეტყველების მანერაშიც „გამეორებული შეკითხვებისა და პასუხების ტიპიური სქემით“.

**Ноймайр А. с. 334.**

სემინარიაში სწავლის წლებში, ზოგიერთი მონაცემით, იოსებ ჯუღაშვილის მოძღვარი იყო ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი. მონასტერი სამეფო სახლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა (მისი აღმშენებლის — ალექსანდრე II-ის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად). უბრალო სემინარისტს ამით დიდი პატივი დასდეს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ სემინარიელების მოძღვრად ჩვეულებრივ ნიშნავდნენ ადგილობრივი ტაძრის (ამ შემთხვევაში — თბილისის) წინამძღვარს. რატომ მოხვდა ჯუღაშვილი ახალათონელთან? იმიტომ ხომ არა, რომ იგი აპირებდა ბერად შედგომას ამ მონასტერში? ან, ეგებ, უხილავი მფარველები ამზადებდნენ მას რაღაც სხვა, არნახული კანონიკური მორჩილებისთვის?

**Яковлев Н.Н. с.37.**

მეხუთე კურსზე იოსების არალეგალური მოღვაწეობა, რომელშიც არცთუ მცირე როლი შეასრულა მისმა კერპმა ლადომ (კეცხოველმა), ხელმძღვანელობამ შეაფასა, როგორც „არეულობისკენ წამქეზებლობა“ და იგი „უცნობი მიზეზების გამო“ გაირიცხა სემინარიიდან. სინამდვილეში ამ მიზეზების გარკვევა დღეს, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება.

**Ноймайр А. с. 336-337.**

1899-ში გაირიცხა სემინარიიდან, ზოგიერთი მონაცემით, რევოლუციური მოღვაწეობისთვის, სხვა მონაცემით — გამოცდაზე გამოუცხადებლობის გამო.

**Фельштинский Ю.1 с.3.**

„გამაძევეს მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიიდან მარქსიზმის პროპაგანდის გამო“.

**Из анкеты Сталина 1931 г.**

**ავადმყოფობის გამო შინ წამოვიყვანე. სემინარიაში რომ მოეწყო, ჯანმრთელი ბიჭი იყო. ზედმეტმა დაძაბულობამ და გადაჭარბებულმა მუშაობამ ჯანმრთელობა დაუსუსტა და ექიმებმა მითხრეს, რომ შეიძლება ჭლექი დაიმართოსო. ამიტომ წამოვიყვანე. არ უნდოდა სწავლის მიტოვება, მაგრამ წამოვიყვანე. ჩემი ერთადერთი შვილი იყო.**

**სტალინის დედის ინტერვიუდან ამერიკელ ჟურნალისტის გ. კნიკერბაკერისთვის.**

**ციტირებულია:** Фельштинский Ю. „Вожди в законе“, с. 223. итхежвта.

ირემაშვილი წერს, რომ „იოსებმა დატოვა სემინარია და თან წაიღო მწარე და ულმობელი სიძულვილი სკოლის ხელმძღვანელობის, ბურჟუაზიისა და საერთოდ ყველაფრის მიმართ, რაც მეფის რეჟიმს განასახიერებდა.

**Ноймайр А. с. 337.**

ნახევარი წელიწადი კერძო გაკვეთილებით გაჰქონდა თავი, 1899 წლის 28 დეკემბერს კი ეწყობა დამკვირვებელ-მეტეოროლოგად თბილისის ფიზიკურ ლაბორატორიაში.

**Яковлев Н.Н. с.43.**

## რევოლუციის ქარგალი

სემინარიიდან 19 წლისა არაკეთილსაიმედოობისთვის გარიცხეს. იმავე (1898) წელს იგი შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და თანმიმდევრობით იყო თბილისის, ბათუმის, ბაქოს კომიტეტების წევრი, რედაქტორობდა სხვადასხვა პარტიულ გამოცემას („ბრძოლა“, „დრო“, „ბაკინსკი რაბოჩი“), დაწერა რამდენიმე მარქსისტული მცირე მოცულობის წიგნი. ფრაქციის უმრავლესობას მიემხრო სოციალ-დემოკრატების გარემოში განხეთქილების მომენტიდანვე და ძალიან მალე მცირერიცხოვანი კავკასიელი ბოლშევიკების აღიარებული მეთაური გახდა.

**Алданов М. Сталин. Литература русского зарубежья: Антология в 6 т. М.; Книга, 1991, т. 2. с. 54.**

ერთხელ იოსებმა საკვირაო სკოლაში შეიხედა, ზღურბლიდანვე დაუწყო მუშებს კლასობრივი ბრძოლის განმარტება. მსმენელის გაოცებული მზერა თვალში მოხვდა და ჰკითხა: რას გასწავლიანო? თავგზის ამბნევი პასუხი მიიღო: — გვიხსნიან, როგორ მოძრაობს მზე. კობამ შეაფასა სიტუაციის კომიზმი და ასტრონომიის საწყისებს დაუფლებულს მიმართა: **„ყური მიგდე! მზეს, შიში ნუ გაქვს, გზა არ აებნევა. აი, შენ კი ისწავლე, რა გზით უნდა წავიდეს რევოლუციური საქმე, და დამეხმარე, მოვაწყო პატარა არალეგალური ტიპოგრაფია“.**

**Яковлев Н.Н. с.43.**

იოსები ობსერვატორიის დამკვირვებელ-გამომთვლელად მუშაობდა. იქ არ იდგა გამომთვლელი ხელსაწყოები, ამიტომ ამინდის ყველა ელემენტის სადღეღამისო რეგისტრაციას ცოცხალი დამკვირვებელი ახდენდა დღისით და ღამით. დღის მორიგე საღამოს ცხრა საათამდე მუშაობდა, ამ დროიდან მას ღამის მორიგე ცვლიდა.

**К. Домбровский.**

**Цит. по Радзинский с. 47-48.**

ტიპოგრაფია ზუსტად იქ დადგეს, სადაც ი. ჯუღაშვილი არალეგალურად ცხოვრობდა. ამ ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილე ათწლეულების შემდეგ იხსენებდა: **„ვიწრო, პატარა ოთახი, ნავთის ლამფით ოდნავ იყო განათებული. პატარა, მრგვალ მაგიდასთან ზის სტალინი და წერს. მის გვერდით საბეჭდი დაზგაა, რომელთანაც ასოთამწყობები ფუსფუსებენ. შრიფტი ასანთისა და პაპიროსის კოლოფებშია ჩაწყობილი. სტალინი ასოთამწყობებს თავის ნაწერს ხშირად გადასცემს ხოლმე“.**

**Яковлев Н.Н. с.43.**

რამდენიმეჯერ ვიყავი მასთან პატარა, უბადრუკ, ღატაკურად მოწყობილ ოთახში მიხაილოვის ქუჩაზე. კობას ეცვა უბრალო, რუსული შავი ბლუზი, ყველა სოციალ-დემოკრატისთვის დამახასიათებელი წითელი ჰალსტუხით. ზამთრობით ძველ ყავისფერ ლაბადას იცვამდა. ქუდად მხოლოდ რუსულ კარტუზს აღიარებდა. კობა სემინარიიდან რომ წავიდა, ყველა ახალგაზრდა სემინარიელი-მარქსისტი მისი მეგობარი არ ყოფილა, მაგრამ ყველანი დროდადრო აგროვებდნენ ფულს გაჭირვების შემთხვევაში მისთვის დახმარების გასაწევად.

**Иремашвили И. с. 233.**

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეატრალური საგამომცემლო სივრცის ამ განუკითხაობაში ბოლო ხანს ძალიან „დაწინაურდა“ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“, რომელსაც ხელმძღვანელობს მშვენიერი თეატრმცოდნე, მაგრამ სრულიად გამოუცდელი პოლიგრაფისტი, ქალბატონი მაკა ვასაძე – რაც უნდა კარგი ავტორი მივიდეს, ისე ცუდად, ისე უწიგნურად გამოსცემს, მტრისას.**

◀ აგენტურული მონაცემებით, რომლებიც ახლახან მივიღე, ჯუღაშვილი ორგანიზაციაში ცნობილი იყო მეტსახელებით სოსო და კობა, 1902 წლიდან მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ჯერ იყო მენშევიკი, შემდეგ — ბოლშევიკი, როგორც პროპაგანდისტი და პირველი რაიონის (რკინიგზელთა) ხელმძღვანელი.

პოლიციური პატაკიდან, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის მიერ საეჭვოდაა მიჩნეული.

**Цит. по: Заря Востока 1925. 23 дек.**

**В 1903 г. он женился.**
**Иремашвили И. с. 242.**

თავისი ცხოვრების უკვე კავკასიურ პერიოდში მან სახელი გაითქვა, როგორც მარტოსულმა; გაურბოდა მჭიდრო კონტაქტებს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მას არ აქვს ნორმალური ადამიანური ურთიერთობის უნარი. მიუხედავად ამისა, 1906 (?) წელს მან ეკატერინე სვანიძეზე, თავის სკოლის ერთ-ერთ ამხანაგის ქალიშვილზე (დაზე?) იქორწინა.

**Ноймайр А. с. 337.**

ტროცკი თავის მოგონებებში ეკატერინე სვანიძეს მოიხსენიებს „ახალგაზრდა, ნაკლებად კულტურულ“ ადამიანად, თუმცა ცნობილია: ამ ქალიშვილს ქართული სოფლიდან 14 წლამდე ჰყავდა შინამასწავლებლები, მისი ძმა კი ბერლინში სწავლობდა.

**Васильева Л.1 с. 190.**

**ღატაკური სახლი, სადაც იგი ცოლთან და ვაჟიშვილ იაკობთან ერთად ცხოვრობდა, იყო ის ადგილი, სადაც მან ერთადერთხელ თავის ცხოვრებაში იგრძნო ჭეშმარიტი სიყვარული. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს მტკიცება ჭეშმარიტებას შეესაბამება.**

**Ноймайр А. с. 341-342.**

საცოლე ეკატერინე სვანიძე ჯუღაშვილს შეეძლო გაეცნო მისი ძმის — ალექსანდრეს მეშვეობით, რომელთან ერთადაც თბილისის სემინარიაში სწავლობდა.

**Иремашвили И. с. 14.**

ეკატერინე სოფლელი გოგო იყო, მაგრამ გამოირჩეოდა ქართველი ქალებისთვის დამახასიათებელი სახის, გარეგნობისა და ქცევის ბუნებრივი არისტოკრატიზმით.

**Васильева Л.1 с. 173.**

ეს ჭეშმარიტად ქართველი ქალი... სულითა და გულით ზრუნავდა თავისი ქმრის ბედზე. დაუსრულებელ ღამეებს მხურვალე ლოცვაში ატარებდა და ელოდა თავის სოსოს, როცა იგი საიდუმლო შეკრებებში მონაწილეობდა. იგი ლოცულობდა, რათა კობას ზურგი ექცია თავისი ღვთისსაწინააღმდეგო იდეებისთვის მშვიდი ოჯახური ცხოვრების, შრომისა და კეთილდღეობის სასარგებლოდ.

**Иремашвили И. с. 242.**

...პირველი ცოლი იოსებს დედამ მოუძებნა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ერთი მრავალთაგან.

**Васильева Л.1 173.**

საქმე იმდენად იმდროინდელი ქართული ოჯახისთვის ტიპიური ცოლის თვინიერება კი არ იყო, რამდენადაც მასთან ყოფნისას იგი ყურადღებისა და მოფერების გარემოში ხვდებოდა — ცოლს დედასავით ეკატერინე ერქვა, ისინი გარეგნულადაც ჰგავდნენ ერთმანეთს.

**Яковлев Н.Н. с.59.**

**ბაბუაჩემისთვის იგი იდეალური ცოლი იყო, რადგან მასში სასწაულებრივად იყო შერწყმული ყველა თვისება, რომლითაც, როგორც ამბობენ, დაჯილდოებულია აღმოსავლეთის ყველა ქალი, თუმცა მათ ყველა ქალი როდი ფლობს. შესანიშნავი მკერავი და მზარეული, იგი (და ეს მთავარია) თავის ქმრის პრიორიტეტს ეჭვქვეშ არ აყენებდა ყველაზე უფრო უმნიშვნელო ოჯახურ საქმეშიც კი.**

**Джугашвили Г. с. 59.**

სტალინის პირველი ცოლის სახე ორდება, სამდება, ოთხდება: ხან ჩუმ ოჯახის ქალად ჩანს, ხან დახელოვნებული მკერავია, რომელიც თვით თბილისის გენერალ-გუბერნატორის, სვეჩინის, ცოლსაც კი უკერავს კაბებს, ხან შესანიშნავი მრეცხავი... ხან ლენინური „ისკრის“ დამტარებელია — ქმრის დამხმარე. ამ ბოლო საქმიანობის გამო თითქოს ციხეშიც მოხვდა.

**Васильева Л.1 173.**

სად ცხოვრობდა ცოლ-ქმარი იშვიათი შეხვედრების დროს, ჩვენთვის უცნობია. სავსებით შესაძლებელია, რომ ეკატერინეს მშობლების სახლის რომელიღაც ნაწილში, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, სოფელ დიდ ლილოში იყო, ჯუღაშვილის შორეული წინაპრების სამშობლოში.

**Такер Р. с. 104.**

სტალინის პირველი ცოლი, ეკატერინე სვანიძე, ახალგაზრდა გარდაიცვალა 1908 წელს.

**Слассер Р. с. 17.**

ცოლებში ბაბუაჩემს მაინცდამაინც არგაუმართლა. ბებიაჩემი, ასევე კატერინა, 24 წლის ასაკში გარდაიცვალა მუცლის ტიფით.

**Джугашвили Г. с. 59.**

კატო მას ხელში ჩააკვდა...
**Иремашвили И. с. 242.**

**გორში, სტალინის მუზეუმში იყო ერთი შესანიშნავი ფოტო, რომელზეც ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტალინი — 28 წლისა — თავისი პირველი ცოლის კუბოსთან დგას. იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, სიკვდილშიც კი ღვთაებრივი სილამაზის, ის კი თავდახრილი დგას სევდიანი სახით და აწეწილი შავი თმები შუბლზე აქვს ჩამოშლილი. ეს ფოტო არაერთხელ მინახავს, მაგრამ მუზეუმის დირექტორმა მითხრა, რომ ჩამოხსნეს იმიტომ, „რომ თმები დაულაგებელი ჰქონდა“. ო, წმინდა სიბრიყვევ! მათ სურდათ, რომ უკვე მაშინ ისეთივე გარეგნობის ყოფილიყო, როგორიც მონუმენტებშია — უზარმაზარი, მსუქანი, მძიმე. გამხდარი სახე, აწეწილი თმები „ექსპოზიციისთვის არ ვარგოდა“, მაგრამ ეს სწორედ ის იყო, რაც წლების შემდეგ მასში დაინახეს სულიერმა მოძღვრებმა და მათთვის ეს იმედის მომცემი ნიშანი იყო.**

**Аллилуева С. с. 209-210.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

# «კენტავრმა» თავი აიშვა, ანუ რა ეშველება თეატრალური საგამომცემლო სივრცის განუკითხაობას?



**1928 წელს, როცა მზადდებოდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ახალი გამოცემა, ავტორმა „სასიამოვნო მოვალეობად“ მიიჩნია, „მხურვალე, გულითადი მადლობა“ გადაეხადა არა მარტო რედაქტორისთვის („რომელიც ამ წიგნის ბეჭდვას თვალყურს ადევნებდა და თავიდან ბოლომდის ყველა კორექტურა გადაკითხული აქვს“), არამედ იმ კოლეგებისთვისაც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წიგნის გამოცემის რაღაც ეტაპზე და აღარ იკითხავთ, ვინ არიან ეს რედაქტორ-კოლეგები?! — სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვ.**



ვინლა დარჩა, ღვთის გულისათვის, იმდროინდელი მეცნიერული ელიტიდან?! ხედავთ, რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ჩვენი, თუ შეიძლება ითქვას, უახლოესი წინაპრები საგამომცემლო საქმეს, როგორ უდგნენ ერთმანეთს გვერდით, ენერგიასა და გამოცდილებას როგორ არ იშურებდნენ საერთო საქმისთვის — სტამბაშიც კი მიდიოდნენ კოლეგის ნაშრომის ე. წ. კორექტურის წასაკითხავად, რათა მისი უდიდებულესობა მკითხველისთვის დროულად და ღირსეულად მიეწოდებინათ უაღრესად ნაყოფიერი სულიერი საზრდო. რაც შეეხება **ნიკო ბერძენიშვილს** (რომელმაც ის-ის იყო წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სწორედ ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით დატოვეს ასპირანტურაში), მან **ლევან მუსხელიშვილთან** ერთად შეადგინა ნაშრომის საძიებლები, რისთვისაც ორივეს აქვე, ავტორის წინასიტყვაობაში დიდი მადლობა აქვთ გამოცხადებული („რომელთაც ამისათვის დიდად ვმადლობ“).

რა სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს (ერთი მხრივ, ავტორის უდიდესი, სანიმუშო პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე და მეორე მხრივ — ნამდვილი მეცნიერული და ადამიანური კოლეგიალობა) უცებ, მართლაც, თვალსა და ხელს შუა დაიკარგა ჩვენში და ამიტომაც არის ასეთი განუკითხაობა თანამედროვე საგამომცემლო სივრცეში, განსაკუთრებით ეს თვალში საცემია თეატრალურ დარგში, რისი ნიმუშიცაა თანამედროვე თეატრმცოდნეობის ორი, ყველაზე დამსახურებული და გამორჩეული ლიდერის — ს. ახმეტელის პრემიის ლაურეატის, პროფ. **ვასილ კიკნაძისა** და რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პროფ. **ნოდარ გურაბანიძის** ჩანაფიქრითაც და მოცულობითაც ფუნდამენტური ნაშრომები: **„ქართული დრამატული თეატრის ისტორია“** და **„ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“.**

ცხადია, საუბარია მხოლოდ გამოცემაზე, რედაქტორებისა და თვით გამომცემლობის მუშაკთა უპასუხისმგებლობასა და უწიგნურობაზე, რაკი ავტორისეულ ტექსტს არ გაუკეთდა რედაქცია, იგი მოუმზადებელია დასაბეჭდად. **უბრალოდ, გიკვირს კაცს, როგორ არ გამოიძებნენ ამ ცნობილ თეატრმცოდნეების მეგობრებსა და კოლეგებს შორის ისეთი თანამებრძოლები, რომლებიც, მსგავსად ზემორე მითითებული ერთობ საგულისხმო ფაქტისა, გამოცემამდე წაიკითხავდნენ ხსენებულ ნაშრომებს, მთლიანად თუ არა, ცალკეულ თავებს მაინც; ან ის როგორ გაუჭირდათ ბატონ ვ. კიკნაძესა და ბატონ ნ. გურაბანიძეს, რომ რომელიმე მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდა კოლეგისთვის დაევალებინათ საძიებლებისა თუ მეცნიერული აპარატის სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების შედგენა და ა. შ.**

თეატრალური საგამომცემლო სივრცის ამ განუკითხაობაში ბოლო ხანს ძალიან „დაწინაურდა“ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა **„კენტავრი“**, რომელსაც ხელმძღვანელობს მშვენიერი თეატრმცოდნე, მაგრამ სრულიად გამოუცდელი პოლიგრაფისტი, ქალბატონი **მაკა ვასაძე** – რაც უნდა კარგი ავტორი მივიდეს, ისე ცუდად, ისე უწიგნურად გამოსცემს, მტრისას! ამის ნიმუშია **ნოდარ გურაბანიძის** ზემომითითებული მონოგრაფია, აგრეთვე, ქართული სცენის დიდოსტატის — **აკაკი ვასაძის** მოგონებების მეორე გამოცემა (იხ. გაზ. „საკვირაო“, 12.XII.2013) და აგერ ახლა პროფ. **ვასილ კიკნაძის** ახალი წიგნიც **„მიახლოება საუკუნესთან“,** რომელშიც ყოფილი თეატრალური ინსტიტუტის (ახლანდელი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთ-ერთი მოამაგე დიდი სიყვარულითა და ზოგჯერ ნამდვილი ბელეტრისტიკული ნიჭიერებით გვთავაზობს ამ უმაღლეს სასწავლებელში მისი ერთობ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის საინტერესო ცხოვრებისეულ გზას, გვიხატავს კოლეგებისა და სტუდენტების (შემდგომ რომ ჩვენი კულტურის ჭეშმარიტ კორიფეებად იქცნენ) შემოქმედებითი წრთობისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების ფრიად დამახასიათებელ შტრიხებსა თუ დეტალებს და ა.შ. მაგრამ **სწორედ გამომცემლობის პროფესიული უმწიფარობის გამო, ყველაფერი ეს წყალში იყრება, იმდენადაა თვით ტექსტი მოუმზადებელი და დაუხვეწავი გამოსაცემად.** ერთი სიტყვით, რედაქტირება არაა გაკეთებული (რედაქტორი — ნ. გურაბანიძე), განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. ტექნიკურ რედაქციაზე, სრულიად უხარისხო ფოტოსურათებზე თუ შინაარსით უაღრესად საყურადღებო ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომელთა **ნორმალური** წარდგენა მკითხველის წინაშე ავტორისა და საერთოდ, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალ საინტერესო და, რაც მთავარია, სპეციფიკურ გარემოსა თუ დამახასიათებელ შტრიხს ახდის ფარდას...

მაგრამ ეს რაა, როცა ამ გამოცემის ტექსტში აბზაცებიც კი მეორდება, თანაც მეორდება არა აქა-იქ, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთსა და იმავე გვერდზეც კი (გვ. 240-241), – ამაზე შორს გამოცემის მესვეურების უპასუხისმგებლობა ვერც წავა! ძველი დრო რომ იყოს, ე.წ. ოტკა (OTK, ანუ ტექნიკური კონტროლის განყოფილება) მხოლოდ ამის გამო ამ გამოცემას, როგორც წუნს, ამოიღებდა ხმარებიდან. განა ამას იმსახურებს ღვაწლმოსილი ვ. კიკნაძე მშობლიური უნივერსიტეტისგან, რომელსაც შესწირა მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება?!

ბოლო ოთხი წელიწადია, გლახა ჭრიაშვილივით სულ ამას გავიძახი, მაგრამ ვერც რექტორს გავაგებინე რამე და ვერც აკადემიურ საბჭოს. მერე კულტურის სამინისტროს მივმართე, მაგრამ **ბატონი გურამ ოდიშარია მხოლოდ თავისი წიგნების გამოცემითაა დაკავებული და საერთოდ არ აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს სწავლა ქვეყნის თეატრისა და კინოს ერთადერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში, რა დამხმარე სახელმძღვანელოები გამოდის ამ მიზნით და ა.შ.** მაშინ ავდექი და პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტს მივმართე, როგორც პირადი წერილით, ისე პრესით (გაზ. „რაო-რაო“? 31.X.2013), მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა **ივანე კილურაძემ** მიპასუხა, მისამართი შეგეშალათ, ეს არაა ჩვენი კომპეტენციაო, რასაც ჩემი მობოდიშება მოჰყვა, ცხადია, ისევ პრესაში (გაზ. **„საკვირაო“**, 25.XII.2013), მაპატიეთ, რომ თეატრისა და კინოს პრობლემებზე პარლამენტის კულტურის კომიტეტი შევაწუხე-მეთქი...

**სანამ გაგრძელდება ეს განუკითხაობა თეატრალურ საგამომცემლო საქმეში?** პასუხი ერთია: მანამ საქართველოს თეატრალური საზოგადოება (**გოგი ქავთარაძე**) და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი (**გიორგი მარგველაშვილი**) არ მიხვდებიან, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს...

**გოგი დოლიძე,**
პროფესორი,
აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონსულტანტი

## ასლან აბაშიძის ვაჟი სამშობლოში დაბრუნდა

**3 მარტს ასლან აბაშიძის ვაჟი, გიორგი აბაშიძე, საქართველოში ჩამოვიდა. გიორგი აბაშიძე ძებნილი არ არის და, შესაბამისად, არ დაუკავებიათ. მან განაცხადა, რომ საქართველოში დაბრუნების მიზეზი არ უკავშირდება მის მოსალოდნელ პოლიტიკურ აქტივობას.** „ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი მოსკოვსა და ვენაში, ამჟამად მაქვს სამშენებლო ბიზნესი ორივე ქალაქში. ძალიან მიხარია, რომ სახლში დავბრუნდი, თანაც თბილისში აფხაზეთთან ომიანობის შემდეგ არ ვყოფილვარ — იმ პერიოდში სასწავლებლად ვიყავი წასული და ამის გამო. განსაკუთრებით მენატრება ბათუმი და აუცილებლად ჩავალ“, — განაცხადა გიორგი აბაშიძემ და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ იცის, რამდენ ხანს დარჩება საქართველოში.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ყველაზე გლობალური დაპირება

**ნიუ იორკში მდებარე ორგანიზაცია Media Development Investment Fund გეგმავს, უფასო ინტერნეტი დედამიწის ყველა მცხოვრებს მიაწოდოს.**

პროექტი, სახელწოდებით Outernet, 2015 წელს განხორციელდება. ორგანიზაცია გეგმავს, ორბიტაზე ათასობით სატელიტი გაუშვას. პროექტი უზრუნველყოფს ინტერნეტის შეუზღუდავ მიწოდებას იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომლებშიც ქსელზე ცენზურა მოქმედებს, მათ შორის ჩრდილოეთ კორეაში.

Media Development Investment Fund-ი მონაცემებს ფართო რადიოტალღებით გაგზავნის. ისინი იმედოვნებენ, რომ პროექტის განსახორციელებლად შემოწირულობის სახით, რამდენიმე მილიონი დოლარის შეგროვებას შეძლებენ.

მიუხედავად იმისა, რომ Wi-Fi ფართოდ არის გავრცელებული, ბევრი ქვეყანა ვერ ახერხებს ან არ სურს, ადამიანები საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოს. ტელეკომების ოპერატორები ყველა ხერხით ცდილობენ, პროექტი დახურონ, თუმცა Outernet-ის პროექტის ხელმძღვანელი საი კარიმი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ დანებებას არ აპირებენ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდება, ორგანიზაცია მიზნად ისახავს, სთხოვოს NASA-ს ნებართვა, რომ ტექნოლოგიის ტესტირება საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ჩატარდეს.





# ყველაზე ულმობელი ტბა

**„ბოროტი ტბა“, სახელად ნატრონი, აღმოაჩინეს ტანზანიაში. მასში აღმოჩენილია ისეთი ნივთიერებები, რომლებიც არა მარტო კლავს, არამედ აქვავებს სულიერ არსებებს. ქიმიური ნივთიერებების მოქმედების შედეგები თავის ფოტოებზე აღბეჭდა ფოტოგრაფმა ნიკ ბრანდტმა.**

ტბაში დიდი რაოდენობითაა წყალბადი, აგრეთვე, სოდა და მარილი. წყალი დაახლოებით 60 გრადუსამდე ცხელია. ტბის სიღრმე სამი მეტრია. მისი ასეთი ქიმიური შემადგენლობა ძველი ვულკანის შედეგია. მიუხედავად ამისა, ტბის პირას ფლამინგოები იბუდებენ. ბრანდტმა დაღუპული ფაუნის წარმომადგენლები ბუნებრივ პოზაში დააყენა, შედეგად ისეთი სურათები გამოუვიდა, რომ საშინელებათა ფილმის კადრები გეგონებათ.









# ყველაზე სწრაფი რობოტი

**რობოტტექნიკა დღითიდღე ვითარდება. განვითარებული ქვეყნების მეცნიერები მუშაობენ რობოტების განვითარებაზე და მათთვის ახალი ფუნქციების მინიჭებაზე.**

კალიფორნიაში National Robotics Week-ის კონფერენციაზე ჩატარდა დემონსტრაცია, თუ როგორ მუშაობს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი რობოტი **Adept Quattro s650.** ჩვენების ნებისმიერ სტუმარს შეეძლო შეჯიბრებოდა რობოტს დისტანციური მართვის პულტით **Wiimote.**

**Adept Quattro s650** გახდა პირველი რობოტი თავის კლასში, რომელმაც გადალახა ბარიერი — ხუთი ოპერაცია წამში.

**Adept Quattro s650** გამოიყენება კონვეიერებზე მფუთავად და დამლაგებლად. რობოტს შეუძლია ავტომატურად გამოიცნოს პროდუქტის ზომა და შეასრულოს სხვადასხვა ოპერაცია.




# კვიცი აინშტეაინი — ბუნების ციცქნა საოცრება

**ბოლო დრომდე ქალაქ ბარნსტედის ფერმა „Tiz Miniature Horse“ არაფრით გამოირჩეოდა სხვა ფერმებისგან. მაგრამ სწორედ აქ გაჩნდა პინტოს ჯიშის ძალიან პატარა კვიცი.**

ძველი დროიდან ამ ჯიშს ამერიკელი ინდიელები შეიარაღებული დაპირისპირების დროს იყენებდნენ. ინდიელებს ეს ჯიში ბუნებრივი კომუფლიაჟური შეფერილობის გამო შეუყვარდათ. მხოლოდ ამ ცხენებს შეეძლოთ, სიმაღლეში მეტრ-ნახევრისთვის მიეღწიათ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მათ შთამომავალზე.

სულ 35 სანტიმეტრი სიმაღლისა და 3 კილოგრამი წონის კვიცი მთელი ფერმის საყვარელი არსება გახდა და, რაც ყველაზე გასაკვირია, თავს მშვენივრად გრძნობს. საქმე ისაა, რომ კვიცი უცნაური მინიატურული ცხენია და არა ჯუჯა. კვიცს პატრონმა აინშტეანი დაარქვა.






## Project Ara

Motorola-მ ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს განაცხადა, რომ ქმნიდა უნივერსალურ სმარტფონ-კონსტრუქტორს Project Ara. სმარტფონი გაყიდვაში იქნება 2014 წლის ბოლოს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე საინტერესო გამოგონებები, რომელთაც წელს ვიხილავთ

ორიოდე თვეა, ახალი წელი დადგა და ბევრმა კომპანიამ უკვე გამოაქვეყნა იმ მოწყობილობების სრული სია, რომლებსაც მომხმარებელი 2014 წელს ბაზარზე იხილავს.




## iWatch

**„ჭკვიანი“ საათები ბოლო დროს მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარული გახდა, მხოლოდ პროექტმა Pebble-მ შემოქმედებითი, სამეცნიერო და სამრეწველო გამოგონებებისთვის სახსრების მოსახვეჭ საიტ კიკსტარტერზე 10 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი მოაგროვა.** მიმდინარე წელს კი კომპანია Apple გეგმავს, გამოუშვას iWatch-ი, რომელიც, სავარაუდოდ, ოქტომბერში გამოჩნდება.

მოწყობილობა არის ერთგვარი ელექტრონული საათი, რომელიც სინქრონიზირდება სმარტფონთან. მის დისპლეიზე გამოჩნდება შემომავალი ზარების შესახებ ინფორმაცია და სეძლებთ, წაიკითხოთ შეტყობინებიც. სავარაუდოდ, iWatch-ი აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიით, რომლითაც შესაძლებელი იქნება საათის დატენვა უსადენო ქსელით 1 მეტრის რადიუსში. iWatch-ი დაახლოებით 200 ამერიკული დოლარი ეღირება.



## ახალი iPad

**ყოველწლიურად „ვაშლის“ აიპედები რაღაც ახალ სიურპრიზს უმზადებენ მომხმარებელს და არც ეს წელი იქნება გამონაკლისი.** წელს გაყიდვაში უნდა ჩაეშვას ახალი – 13-დიუმიანი დიაგონალის მქონე აიპედი. ახალი აიპედის დისპლეის გაფართოება შეადგენს 2732ხ2048 პიქსელს. დამატებითი ინფორმაცია არ ხმაურდება.




## Samsung Galaxy Gear

Samsung-იც არ ჩამორჩა საათების ბუმს. ის აპირებს, გამოუშვას Galaxy Gear-ის ახალი მოდელი. Galaxy Gear-ის პრეორდერის მაჯაზე გაკეთება ახლაც შესაძლებელია 299 ამერიკულ დოლარად. საათი აღჭურვილია დინამიკით, მიკროფონით და 1.9 მეგაპიქსელიანი კამერით.




## Acer-ის მონობლოკი

**2014 წელს ბაზარზე გამოჩნდება Acer-ის ახალი მონობლოკი Android-ის ოპერაციული სისტემის ბაზაზე.** კომპიუტერი აღჭურვილი იქნება 27-დიუმიანი დისპლეით, გაფართოება კი იქნება 2560ხ1440, ასევე იქნება vidia Tegra 3-ის ოთხბირთვიანი პროცესორით და ფრონტალური კამერით. მონობლოკი ეღირება 1100 ამერიკული დოლარი.



## Lima

**Lima აერთიანებს სახლის ყველა მოწყობილობის „ტვინს“ და უკვე აღარაა საჭირო, რომ სახლის კომპიუტერზე, სმარტფონზე ან ნოუთბუქზე გაკეთდეს ერთი და იმავე ფაილის რამდენიმე ასლი.** ამ პატარა მოწყობილობის და უკაბელო ქსელის საშუალებით შეგიძლიათ ერთ-ერთ მოწყობილობაზე შენახული ნებისმიერი ინფორმაცია ნახოთ ყველა სხვა მოწყობილობაზეც, რომელიც დაფარვის რადიუსშია. ამავე დროს თქვენი ინფორმაცია სრულიად დაცულია.



## Egg

**მოწყობილობა Egg-ის შექმნის შემდეგ შინაური ცხოველები შეწყვეტენ ლარნაკების მტვრევას, შპალერების კაწვრას და სხვა მსგავს მავნე ცელქობებს. მოწყობილობა ვიბრირებს და იქცევს შინაური ცხოველის ყურადღებას. Egg-I, სავარაუდოდ, ზაფხულში გამოვა და 30 ამერიკული დოლარი ეღირება.**




## Zeus

**3D პრინტერისა და სკანერის გაერთიანებით კომპანია AIO Robotics-მა შექმნა უნივერსალური მოწყობილობა. Zeus-ი ასკანერებს ობიექტს ლაზერების საშუალებით და შეუძლია, რომ დაბეჭდოს თითქმის ასეთივე ობიექტი „საკუთარი ძალებით“.** მოწყობილობას არ სჭირდება კომპიუტერზე მიერთება. მას შეუძლია, რომ გადაიღოს სურათი და ის გაუგზავნოს შემდეგ სხვა „ზევსს“. Zeus-ი კიკსტარტერზე დაფინანსდა ჯერ კიდევ ოქტომბერში, ხოლო 2014 წლის ზაფხულში, ალბათ, პირველ ეგზემპლარებსაც ვიხილავთ.




## Oculus Rift

**ვირტუალური რეალობის სათვალეები იმათ მოეწონებათ, ვისაც ძლიერ უყვართ თამაშები.** Oculus Rift-ი მონიტორის ჩვეულებრივ გამოსახულებას გამოსახავს მოცულობაში და იქმნება წარმოუდგენლად რეალური ვირტუალური ატმოსფერო. მიმდინარე წლის ბოლოს გამოვა მოწყობილობის ფინალური ვერსია, რომელსაც მსურველები 300 ამერიკულ დოლარად შეიძენენ.



## SpaceGlasses META.01

**ინტერაქტიულ სათვალეს SpaceGlasses გააჩნია უფრო მეტი ფუნქცია, ვიდრე Google Glass.** მათი საშუალებით შესაძლებელია ვირტუალური მოწყობილობის შექმნა და მათი დათვალიერება პირდაპირ თქვენ თვალწინ. სათვალის გამოსვლა იგეგმება 2014 წლის ბოლოს. სავარაუდო ფასი არის 650 ამერიკული დოლარი.





ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ფუმფულა კურდღელი

**მსოფლიოში ყველაზე ფუმფულა კურდღელი ანგორის ჯიშისაა. ამ უზარმაზარ ბუმბულის გორგალში ჩვეულებრივი კურდღელი იმალება.** არსებული ცნობით, ეს ჯიში თავდაპირველად თურქეთში გაჩნდა. მსოფლიოში ანგორას კურდღლის 5 ჯიშია გავრცელებული. ინგლისური სახეობა იმდენად ფუმფულაა, რომ ადგილობრივები ისე ექცევიან, როგორც შინაურ ცხოველს. რაც შეეხება ფრანგულს, ამ ჯიშის კურდღლის ბეწვისგან ტანსაცმელს ამზადებენ. ჩვეულებრივ, ანგორას ჯიშის კურდღლის წონა 3-დან 6 კილოგრამამდე მერყეობს.

# ყველაზე პატარა ბოდიბილდერი



**23 წლის ინდოელი ადიტია დევი, მეტსახელად რომეო, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა ბოდიბილდერი, სამწუხაროდ ის მოულოდნელად გარდაიცვალა.**

როგორც დაადგინეს, გარდაცვალების მიზეზი ტვინის ანევრიზმა გახდა. დიაგნოზი ჯერ კიდევ 2008 წელს დაუსვეს.

ანევრიზმა არის გავრცელებული სიმპტომი სინდრომ MOPD II-ისა, რომელიც განაპირობებს იმას, რომ ადამიანი აღარ იზრდება.

რომეო სიმაღლით მხოლოდ 80 სანტიმეტრი იყო და 9 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ კილოგრამნახევრიან ჰანტელებს წევდა და სწორედ ამის წყალობით გახდა ცნობილი ადამიანი. სიმაღლე და წონა რომეოს სრულფასოვან ცხოვრებაში ხელს არ უშლიდა. ბოლო პერიოდში ის ოცნების ქალის ძიებით იყო დაკავებული, რათა ცოლად მოეყვანა, მაგრამ მისი ოცნება აუხდენელი დარჩა.





# წყალქვეშა მინისასტუმრო

**მინისასტუმროს წარმოადგენს რეალური წყალქვეშა ნავი, რომელიც აღჭურვილია ყველაფრით, რითაც კი შეუძლია თავი მოიწონოს ნებისმიერმა მდიდრულმა სასტუმრომ. წყალქვეშა ნავს ეწოდება „Lovers Deep“.**

ნავზე „Lovers Deep“ განსაკუთრებული ფუფუნების მოყვარულთათვის ლუქსებიცაა. სასტუმროს ყველა ოთახი აღჭურვილია თხევადკრისტალური ტელევიზორებით, ინდივიდუალური კლიმატის კონტროლით, მუსიკალური სალონითა და აუზით.

ნავი-ოტელის თითოეული სტუმრის განკარგულებაშია პირადი მსახურთუფროსი (ბატლერი) და კონსიერჟი.

გემში ჩაჯდომისთანავე წყვილს ხანმოკლე დასვენების მერე ეპატიჟებიან რომანტიკულ ვახშამზე.

მოთხოვნისთანავე შეყვარებულ წყვილს შეუძლია ოკეანეში გასვლა, განმარტოება და შერწყმა წყალქვეშა სამყაროსთან.

ყველაფერ ამაში სტუმრები 140 000 დოლარს იხდიან, ამიტომაც აუცილებელია მაქსიმალური კომფორტით უზრუნველყოფა და სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესაძლებისდაგვარად გათვალისწინება.









# GOOGLE-ის სათვალე

**სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმების გმირებს უამრავი ფუტურისტული მოწყობილობა აქვთ, რომლებიც მათ ცხოვრებას უმარტივებს. Google-მა ერთ-ერთის რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა გადაწყვიტა. ესაა სათვალე, რომელიც მინიკამერითაა აღჭურვილი და თავად კომპიუტერის ეკრანს წარმოადგენს. თუკი პროექტმა გაამართლა, ის ერთნაირად გაახარებს როგორც სმარტფონების მომხმარებლებს, რომლებსაც ერთი წუთითაც არ შეუძლიათ მათ გარეშე ცხოვრება, ასევე ფანტასტიკის მოყვარულებს.**



პროექტ Google Glass-ზე კომპანიამ ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში დაიწყო მუშაობა — ინტერნეტში პირველი ცნობა სწორედ მაშინ გამოჩნდა. უფრო სრული ინფორმაცია მხოლოდ თებერვლის შუა რიცხვებში გავრცელდა, ოდნავ მოგვიანებით კი Google-ის სოციალურ ქსელში ამ პროექტის მონაწილეების გვერდი გაჩნდა. თავად Google-ის სპიკერი ჯერჯერობით ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელია Google-ის თანადამაარსებელი სერგეი ბრინი. სათვალის კონცეპტზე მუშაობს Google-ის გასაიდუმლოებული ტექნოლოგიური ლაბორატორია Google X lab-ი, სადაც კიდევ ბევრი განხორციელებული და განუხორციელებელი ფუტურისტული პროექტი აქვთ.

პროექტზე ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ესაა ცნობილი, მაგრამ მასზე მომუშავე ზოგიერთი თანამშრომლისგან მაინც გავრცელდა დამატებითი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ Google Glass-ი, ერთი შეხედვით, ძალიან რთული გაჯეტი ჩანს, რეალურად ის ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე სმარტფონი იქნება. სავარაუდო ფასიც სმარტფონისას გაუტოლდება — 250-დან 600 დოლარამდე. შემქმნელების თქმით, ეს არის ახალი ტექნოლოგია, რომლის დანერგვითაც მომხმარებელს მიეცემა საშუალება, მცირედი ცხოვრებისეული სიხარული სოციალური ქსელების დახმარებით უფრო ადვილად გაუზიაროს მეგობრებს, განახორციელოს ზარები ან თუნდაც იმესიჯოს და ეს ყველაფერი — ხელის გაუნძრევლად.

თავად სათვალის ზედაპირი წარმოადგენს ეკრანს, რომელზე ასახული ინფორმაციაც პირდაპირ ხვდება თვალში. რა თქმა უნდა, გარე სამყაროს დანახვაც შესაძლებელია. სათვალეს გარე ქსელთან წვდომა ექნება 3G ან 4G შეერთებით. ასევე, აღჭურვილი იქნება GPS სისტემით და მოძრაობის სენსორით, რომელიც მის სივრცეში გადაადგილებას აღნუსხავს.

რაც შეეხება პროგრამულ უზრუნველყოფას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის ანდროიდის ბაზაზე შეიქმნება. სათვალეში ჩაშენებული დაბალი გაფართოების კამერა მუდმივად აკონტროლებს გარემოს და ინფორმაციას Google-ნავიგატორში ასახავს. შესაძლებელი იქნება ახლომდებარე მეგობრების მონახვა, მათთან დაკავშირება და შეხვედრის ადგილზე შეთანხმება. ოპერაციულ სისტემაში ხმის ამოცნობის სისტემაც იქნება გათვალისწინებული (Apple-ის მიერ გამოყენებული SIRI-ს მსგავსი).

ცხადია, რომ სისტემა თავიდან მხოლოდ ინგლისურ ენაზე იქნება მორგებული. როგორც Google Glass-ის შემქმნელები ამბობენ, ის მუდმივი გამოყენებისთვის არ იქნება განკუთვნილი, თუმცა აუცილებლად გამოჩნდებიან ტექნოფილები, რომლებიც ამ მოწყობილობას ტერმინატორის სათვალედ აქცევენ. აქვე თავს იჩენს ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტის მეთოდზე Google X lab-ის თანამშრომლები ჯერ კიდევ ფიქრობენ — სათვალეში ჩამონტაჟებული კამერით შესაძლებელი გახდება ვიდეოს ფარულად გადაღება და ამ გზით გადაღებული სუბიექტების პირად სივრცეში შეჭრა.

აპარატის შესაძლო უარყოფითი მხარეები უკვე შეამჩნიეს ინტერნეტის მომხმარებლებმაც. შედეგად, Google Glass-ის თემაზე საკმაოდ ბევრი კარიკატურა თუ პაროდია გამოჩნდა. Google-ის შექმნილ პრომორგოლზე გაკეთებული ვიდეოპაროდია ცხადად გვიჩვენებს, როგორ შეიძლება მოწყობილობაში ზედმეტად ჩაფლული ადამიანი იმდენად მოსწყდეს გარე სამყაროს, რომ ქუჩაში მიმავალი ბოძს დაეჯახოს. ასევე საინტერესო სანახავი იქნება Google Ads-ის სარეკლამო განცხადებები, რომლებიც პირდაპირ თვალწინ ამოუხტება მომხმარებელს და ადამიანებს მუდმივი რეკლამის ფონზე მოუწევთ არსებობა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია, რადგან რეალური Google Glass-ი ჯერ არავის უნახავს, მისი შემქმნელების გარდა.



## ჩინელმა ფერმერებმა ფულისგან კედელი ააშენეს

**ჩინელმა ფერმერებმა, რომელთაც კოოპერატივმა, 2013 წლის შედეგებით, დივიდენდები გადაუხადა, მიღებული ფულით კედელი ააშენეს.** არსებული ინფორმაციით, სიჩუანის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში ფულისგან ორი მეტრის სიგანისა და ნახევარი მეტრის სიმაღლის კონსტრუქცია აშენდა. სულ კედლის შექმნას დაახლოებით 13,1 მილიონი იუანი (დაახლოებით 2,2 მილიონი დოლარი) დასჭირდა. ფული სოფელში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მიიტანეს. სანამ ფერმერებს ფულს მისცემდნენ, გარკვეული დროის მანძილზე დარაჯობდნენ. ღამით შესაძლო ძარცვა რომ აეცილებინათ თავიდან, მათ ფულისგან ლეიბები და ბალიშები გააკეთეს. კოოპერატივში, რომელმაც ფერმერებს ფული გადაუხადა, ბოსტნეულის მინდვრები და ხილის პლანტაციები შედის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის რეკორდები



**ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა გახდა ყველაზე გრძელი და ყველაზე ხანგრძლივი პროცესი მთელ ისტორიაში. 2013 წლის 7 ოქტომბრიდან მოსკოვიდან ოლიმპიურმა ჩირაღდანმა 40 000 კილომეტრი გაიარა, მოიარა 83 რესპუბლიკა, რეგიონი და რაიონი. ჩირაღდანმა ამ ოლიმპიადამდე დაახლოებით 14 ათასი ადამიანის ხელში გამოიარა.**

● რუსმა მომღერალმა ალინა არტცმა შეასრულა სიმღერა „ოლიმპიური ცეკვა“, რომელიც ეძღვნება 2014 წლის სოჭის ოლიმპიადას. მომღერალი თან მიჰყვებოდა ოლიმპიურ ჩირაღდანს 3 თვის განმავლობაში, 50 ქალაქზე მეტი მოიარა და გახდა ერთადერთი მომღერალი მსოფლიოში, რომელმაც დროის ასე მცირე მონაკვეთში ამდენ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

● ოლიმპიადის ჩატარების ხარჯები შეადგენს 50 მილიარდზე მეტ ამერიკულ დოლარს. ეს დაახლოებით უდრის კომპანიების — Google, Intel და Coca-Cola-ს საშუალო წლიურ შემოსავალს.

● ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდანი პირველად იყო კოსმოსში. ეს იყო სარელეო მოძრაობის... ამოსავალი წერტილი.

● ოლიმპიადაზე მოსახვედრად ყველაზე იაფი ბილეთის ღირებულებაა 500 რუბლი, ხოლო ყველაზე ძვირიანი ბილეთის ღირებულება – 50 000 რუბლი.

● კონკურსის 17 დღის მანძილზე ყველა ოლიმპიურ სპორტულ სახეობაში გათამაშებული იქნება ჯილდოების რეკორდული რაოდენობა — 98 კომპლექტი (1254 მედალი).

● ოლიმპიურ თამაშებში სულ მონაწილეობს 6000 სპორტსმენი დაახლოებით 85 ქვეყნიდან.

● სპორტულ პროგრამაში „სოჭი 2014“ მითითებული იყო რიგი ახალი სახეობების შეჯიბრებები, რომლებიც შეტანილ იქნა სპორტულ პროგრამაში.

● საშუალო ტემპერატურით 8,3°C სანაპირო ზოლში სოჭი არის ყველაზე თბილი ქალაქი იმ ქალაქებიდან, რომლებმაც უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს.







● მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დაახლოებით 3 მილიარდი ტელემაყურებელი უყურებდა ოლიპიურ თამაშებს სოჭში.

● მედლები, რომლებიც დამზადდა სამამულო ქარხანაში „Adamas“, წარმოადგენს ყველაზე დიდ მედლებს ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მათი დიამეტრი 10სმ-ს, ხოლო სისქე — 1სმ-ს უდრის. მესამე ადგილისთვის სპორტსმენები იღებენ ბრინჯაოს მედალს (460 გ), მეორე ადგილისთვის — ვერცხლის (525გ), ხოლო აბსოლუტური გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მოოქროვილი ვერცხლით (531გ).

● ჯილდოების დამზადებაში დაიხარჯა 3 კილოგრამი ოქრო, 2 ტონა ვერცხლი და 700 კილოგრამი ბრინჯაო. ექსპერტების ცნობით, ოქროს მედალი ღირს დაახლოებით 6 ათასი ამერიკული დოლარი. შედარებისთვის: 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის ოქროს მედალი ღირდა მხოლოდ 500 დოლარი.

● რუსეთის სპორტსმენები, რომლებმიც მოიპოვებენ სოჭის ზამთრის ოლიმპიადის თამაშებზე ოქროს მედალს, მიიღებენ 4 მილიონ რუბლს, მეორე ადგილზე გასული სპორტსმენები მიიღებენ 2,5 მილიონ რუბლს, მესამე ადგილზე კი — 1,7 მილიონ რუბლს.

● რუსეთის ქალაქებში ოლიმპიური ჩირაღდნის მოძრაობისას ცეცხლი ჩაქრა 100-ჯერ. ასეთი რამ არ მომხდარა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

# პირამიდების მშენებლობის საიდუმლო ამოხსნეს

**ცნობილი ბრიტანელი ინჟინერ-მშენებელი პიტერ ჯეიმსი თავის კომპანია CintecInternational -თან ერთად, თითქმის ოცი წელია, ეგვიპტის პირამიდების რესტავრირებითაა დაკავებული. მან დიდი წვლილი შეიტანა ჯოსერისა და წითელი პირამიდის აღდგენაში.**



ჯეიმსი ეგვიპტეში მიიწვიეს 1992 წლის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც სერიოზულად დააზიანა ეს ნაგებობები. ამ ხნის განმავლობაში ჯოსერს ჩამოუყალიბდა თავისი თეორია ამ გიგანტური კონსტრუქციების მშენებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ თეორიებიდან ბევრი წინააღმდეგობრივია წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ვერსიებთან.

მაგალითად, ინჟინერი არასწორად თვლის იმ მოსაზრებას, თითქოს პირამიდები შენდებოდა უზარმაზარი ერთნაირი ქვის ლოდების მეშვეობით. ეს იმიტომაცაა წარმოუდგენელი, რომ, თუ ეგვიპტურ პაპირუსებს დავუჯერებთ, ჯოსერის პირამიდა, რომელიც 25 წელი შენდებოდა, აგებულია 2 მილიონი ასეთი ქვის ლოდისგან და ამ რაოდენობის ქვის ბლოკების მისაღებად ეგვიპტელ ქვის მთლელებს ყოველ 3 წამში ერთი ასეთი ლოდი უნდა გაეთალათ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.



მეორე თეორია, რომელსაც ჯეიმსი უმართებულოდ მიიჩნევს, ესაა ამწესმაგვარი ხარაჩო-ოწინარები, რომლების დახმარებით ქვის ბლოკებს ზევით სწევდნენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ამ მოწყობილობის საშუალო სიგრძე ერთ კილომეტრზე მეტი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ სიმძიმის ქვის ლოდებს ვერ მოერეოდა.

პიტერ ჯეიმსი თვლის, რომ ბლოკებით აგებულია პირამიდების მხოლოდ უმნიშვნელო — მეათედი ნაწილი, ძირითადად გარეთა მხარე და მათ ზემოთ სწევდნენ ჩვეულებრივი თოკების და არა ოწინარის დახმარებით. პირამიდების დანარჩენი 90% აგებულია ჩვეულებრივი გრანიტის ქვით, რომელთა აწევაც ქვის მთლელებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

**ჯეიმსმა, აგრეთვე, ამოხსნა პირამიდების გარეთა მოპირკეთების არქონის საიდუმლო. ითვლებოდა, რომ ფასადის ნაწილები ქურდებმა მოიპარეს, მაგრამ ბრიტანელმა ინჟინერმა გამოთქვა ვერსია, რომ პირამიდების ფასადი თავადვე დაიშალა მაღალი ტეპერატურის ზემოქმედების გამო.** უფრო სწორად, მასალაზე ძალიან ცუდად იმოქმედა დღისა და ღამის ტემპერატურებს შორის დიდმა სხვაობამ, რომელიც ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი.

# ახალი სახეობის მედუზა

**ახლახან ავსტრალიის სანაპიროებთან გიგანტური მედუზა აღმოაჩინეს.**

ავსტრალიელი მეცნიერები დღემდე ცდილობენ, დაადგინონ რომელ სახეობას მიეკუთვნება გიგანტური მედუზა, რომელიც ტასმანიის სანაპიროზე გამოირიყა. ნაპოვნი არსების დიამეტრი 1,5 მეტრს უტოლდება. როგორც იტყობინებიან, მედუზა შემთხვევით აღმოაჩინა მამაკაცმა, როდესაც ოჯახთან ერთად სანაპიროზე სეირნობდა.

ავსტრალიელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს მედუზა არქტიკული ციანეიას ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა ვერ ხვდებიან, როგორ მოხვდა სამხრეთის წყლებში, რადგან, როგორც წესი, გიგანტური მედუზები მხოლოდ ჩრდილოეთის ცივ წყლებში ბინადრობენ.

არქტიკული ციანეია, იგივე თმიანი მედუზა, მსოფლიო ოკეანის ყველაზე დიდ მედუზად ითვლება. გვხვდება 2 მეტრამდე დიამეტრის მქონე ეგზემპლარებიც, რომელთა საცეცების სიგრძე 20 მეტრამდეც კი აღწევს. რაც შეეხება საფრთხეს, იგი არაა შხამიანი და მისი საცეცების შეხებას, მაქსიმუმ, ალერგიული რეაქციის გამოწვევა შეუძლია. როგორც მედუზების უმეტესობა, არქტიკული ციანეიაც მტაცებელია, იკვებება ზოოპლანქტონითა და მცირე ზომის თევზებით.



# უკრაინის «მემარჯვენე სექტორის» ლიდერის დიმიტრი იაროშის მიმართ ტერორიზმისკენ მოწოდების გამო საქმე აღიძრა



**„მემარჯვენე სექტორის" ლიდერმა დიმიტრი იაროშმა ჩეჩენი ტერორისტების მეთაურს დოკუ უმაროვს მხარდაჭერის თხოვნით მიმართა და ამის შესახებ სოციალურ ქსელ „ვ კონტაქტე"-ში დაწერა „მემარჯვენე სექტორის" გვერდზე.**

ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა საქმე აღძრა „მემარჯვენე სექტორის" ლიდერის დიმიტრი იაროშის მიმართ ტერორიზმისკენ მოწოდების გამო, იუწყებოდა რფ სკ-ს წარმომადგენელი ვლადიმერ მარკინი.

„გამოძიების აზრით, უკრაინული ულტრანაციონალისტური ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის" ხელმძღვანელი დიმიტრი იაროში თავის გამოსვლებში საჯაროდ მოუწოდებს ანტირუსულ ძალებს რუსეთის ტერიტორიაზე ექსტრემისტული ქმედებებისა და ტერორისაკენ", — აღნიშნა მარკინმა.

გამომძიებლები თხოვნით მიმართავენ სასამართლოს, იაროში დაუსწრებლად იქნეს დაპატიმრებული, რის შემდეგ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება, დააზუსტა საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა.

„ჩეჩნეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები შეამოწმებენ ჩრდილოეთ კავკასიის ტერორისტებსა და „მემარჯვენე სექტორის" წარმომადგენლებს შორის კავშირების არსებობას. თუკი ინფორმაცია დადასტურდება, ჩვენი პასუხი იქნება სამართლიანი და მკაცრი. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ყველას პასუხი მოეთხოვება", — განაცხადა, თავის მხრივ, რამზან კადიროვმა.

წყაროები ჩრდილოეთ კავკასიის ძალოვან სტრუქტურებში უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ უკრაინელი ნაციონალისტები ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ექსტრემისტების მხარეს იბრძვიან, ფინანსურ და სხვა დახმარებას უწევენ მათ.

„გვიანღა გაახსენდათ, ჯერ ტერორისტებს მიმართეს დასახმარებლად, მერე ამის უარყოფა დაიწყეს. ახლა კი, დაე, პასუხი აგონ თავიანთი განცხადებების და მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, ანგარიშსწორების დრო მოვიდა", — თქვა ჩეჩნეთის მეთაურმა და დასძინა, რომ ჩეჩნეთში ათიათასობით მოხალისე მზად არის, უკრაინელი ხალხი მაიდნელი რადიკლებისგან დაიცვას.



# პარლამენტი უკრაინასთან დაკავშირებით კიდევ ერთ დადგენილებას მიიღებს

**უკრაინასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთ დადგენილებას მიიღებს, რომლის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში 5 მარტს გაიმართება.**

როგორც „ინტერპრესნიუსის" საპარლამენტო კორესპონდენტი იტყობინება, ბიურომ 4 მარტის სხდომაზე პლენარული სესიის დღის წესრიგი დაამტკიცა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის — დავით ბერძენიშვილის მოთხოვნით, უკრაინასთან დაკავშირებით დადგენილების საკითხის განხილვა გაიმართება.

**„ვფიქრობ, ამისთვის არ არის საჭირო საგანგებო სხდომის მოწვევა. უკეთესია, ხვალინდელ გეგმიურ პლენარულ სხდომაზე განვიხილოთ უკრაინასთან დაკავშირებით დადგენილების საკითხი",** — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობა კი უკრაინის საკითხთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. როგორც ბიუროს სხდომაზე უმცირესობის წარმომადგენელმა გია თევდორაძემ განაცხადა, მნიშვნელოვანი და აუცილებელია მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელისუფლების პოზიცია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

„ჯერჯერობით პრეზიდენტის პასუხი არ ვიცით საგანგებო სესიის მოწვევასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, ასეთ რეჟიმში განვიხილოთ უკრაინის საკითხი. ჩვენ არ გვაქვს დასრულებული რეზოლუცია, ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობას ვთხოვთ, რეზოლუციის პროექტზე ერთად ვიმუშაოთ და მივიღოთ გადაწყვეტილება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით", — განაცხადა გია თევდორაძემ.

# ჩინეთმა სრულად დაუჭირა მხარი რუსეთს

**ოფიციალურმა ჩინეთმა განაცხადა, რომ უკრინის სიტუაციასთან დაკავშირებით მისი შეხედულებები სრულიად თანხვდება რუსეთისას, — განაცხადეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და მისმა ჩინელმა კოლეგამ ვან იმ უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. „ორივე მინისტრმა აღნიშნა შეხედულებების ფართო თანხვედრა იქ შექმნილი სიტუაციის ირგვლივ", — განაცხადეს დიპლომატებმა და დასძინეს, რომ რფ-ის და ჩინეთის მჭიდრო კონტაქტები ამ თემასთან დაკავშირებით მუდმივი იქნება.**



შეგახსენებთ, რომ ადრე გაეროს კულუარებში დიპლომატიურ წყაროებზე მითითებით პრესა იტყობინებოდა, რომ ჩინეთი (რომელმაც ადრე უკვე გამოუცხადა გაეროს უშიშროების საბჭოზე რუსეთთან ერთად ვეტო აშშ-ს ინტერვენციას სირიაში და დაბლოკა ლიბიაში შეჭრა) ვეტოს დაადებს გაეროს უშიშროების საბჭოს ნებისმიერ სანქციას რუსეთის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, დიპლომატები იტყობინებიან ჩინეთის მოლაპარაკების შესახებ თურქეთის ლიდერ ერდოღანთან ბოსფორის სრუტეში ნატოს ფლოტის გატარების დაუშვებლობის შესახებ და, აგრეთვე, იმის თაობაზე, რომ ჩინეთი გეგმავს დაიწყოს აშშ-სგან 3 ტრილიონი დოლარი სახელმწიფო ვალის მოთხოვნა სავალო ხელწერილების თანახმად. თანაც ჩინეთს ამ ვალის მიღება დოლარებით კი არა... ოქროთი სურს, თუნდაც ცოტ-ცოტა, თითო-თითო ცენტნერად... ამ რაოდენობის ოქრო აშშ-ს, ბუნებრივია, არ გააჩნია.

# «ევროკავშირის მხარდაჭერის იმედი გვაქვს, რომ იმ საფრთხეებს აგვაცილებენ, რომლის წინაშეც დადგა უკრაინა»

**საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, უკრაინის მოვლენების გათვალისწინებით, საქართველო რუსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებას ელის.**

**„გამომდინარე იმ გამოცდილებიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს და გამომდინარე იმ მოვლენებიდან, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ უკრაინაში, რასაკვირველია, რუსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებას ველით. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ სოჭის ოლიმპიადის დასრულებიდან მეორე დღესვე რუსეთმა განაახლა მავთულხლართების გავლება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არის 11-კილომეტრიანი ე. წ. უსაფრთხოების ზოლი, რომელიც რუსეთმა გადმოსწია და რომელიც, წესით, პარაოლიმპიური თამაშების შემდეგ უნდა გაუქმდეს. ასეთი სახის ზეწოლას და პროვოკაციას ველოდებით და ვცდილობთ, მზად ვიყოთ,"** — განაცხადა ფანჯიკიძემ შტეფან ფულესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.



მისივე თქმით, 14 მარტს დაგეგმილია ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ უფრო გაირკვევა სიტუაცია და უკეთ გვეცოდინება, რას უნდა ველოდოთ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე რუსეთისგან.

**„ჩვენ გვაქვს ევროკავშირის მხარდაჭერის, ჩვენი მეგობრების დახმარების იმედი, რომ აგვაცილებენ იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც დადგა უკრაინა და რომელთა წინაშეც შეიძლება სხვაც დადგეს. ჩვენ ერთობლივად განვიხილავთ ამ საფრთხეებს, ვემზადებით და იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ მათ თავიდან აცილებას",** — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**




# ოპერის თეატრი «ბალ-მასკარადს» წარმოადგენს

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 6 მარტს, 19 საათზე გიწვევთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით აჟღერდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადი".**

ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება გერმანიაში მოღვაწე ქართველი დირიჟორი **დავით კინწურაშვილი.** მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: **არმაზ დარაშვილი** (გრაფი რიკარდო), **ზაალ ხელაია** (რენატო), **მარიამ ქობალიანი** (ამელია), **ელენა პუტილოვა** (ულრიკა), **მარიკა მაჩიტიძე** (ოსკარი), **გოჩა დათუსანი-ჯიღაური** (სილვანო), **ვანო გალუაშვილი** (სამუელი), **ტარიელ ჭიჭინაძე** (ტომაზო), **იური ასლანიშვილი** (მსაჯული).

**მოისმინეთ „ბალ-მასკარადი" და ისიამოვნეთ.**


# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი**



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009